გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

№15 (771) 11 - 12 თებერვალი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## 20 გვერდი 40 თეთრი

## სად ინახება „ოცნების" წევრთა პირადი ცხოვრების ამსახველი ამაზრზენი ფარული ჩანაწერების ორიგინალები

რა ინფორმაციას ფლობს უშიშროების ექსპერტი

„პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მყოფი სპეცსამსახურები უკანონო ჩაწერებს დღესაც ახორციელებენ!"

გვ. 7



## „საკონსტიტუციო ცვლილებისთვის „ოცნებას" უკვე 108 კაცი გვყავს!"

ბიძინა გუჯაბიძე არ გამორიცხავს, რომ პარლამენტმა სააკაშვილის იმპიჩმენტი დაიწყოს

გვ. 5

დიტო გელოვანი

## მისი წიაღის გენერლები

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

გვ. 2

## რეალურად დაასაქმებს თუ არა ახალი ხელისუფლება 65 წლამდე ასაკის ადამიანებს

გვ. 4



## „ახალი ხელისუფლება ვალდებულია, ხალხის აგრესიის განეიტრალებაზე იზრუნოს"

რა კავშირს ხედავს ხათუნა ლაგაზიძე კახა ბენდუქიძისა და ცესკო-ს თავმჯდომარის ინიციატივებს შორის

გვ. 3

## პოლიციამ ნარკოპაციენტი, რომელმაც ჯარიმა ვერ გადაიხადა, კლინიკაში მკურნალობის დროს დააპატიმრა

გვ. 10

## ლადო ბედუკაძე მუშაობას სასჯელაღსრულების სამინისტროში იწყებს?



## „ციხის ვიდეოების" ავტორის საიდუმლო ვიზიტები „გლდანის ციხეში"

გვ. 6

## „ქართულმა კინომ ეროვნულობა დაკარგა!"

რატომ აკრიტიკებს თეატრალურ უნივერსიტეტს და რით ხიბლავს უცხოელ პროდიუსერებს რეჟისორი გიორგი ოვაშვილი

გვ. 14

## რა პრობლემებს იწვევს არასწორად შერჩეული საღებავი და რომელი ფირმის საღებავი უნდა იყიდოთ თქვენი სახლის რემონტისთვის?!

გვ. 13

## „ქრისტიან-დემოკრატებს" ლევან ვეფხვაძეც ტოვებს?

ვინ ჩაანაცვლებს გიორგი თარგამაძეს ქდმ-ს თავმჯდომარის პოსტზე და რატომ ახსენდება არჩევნებზე საუბრისას ლევან ვეფხვაძეს ივანიშვილის პინგვინები



გვ. 8



სკანვორდი

სუდოკუ

კულტურა

ჰოროსკოპი

დაიჯესტი

სპორტი



დიტო გელოვანი

**უცებ, წინ შემოგვეგება გაშმაგებული ბრბო, ხელში ჩირაღდნები ეჭირათ, იყო ერთი ღრიანცელი, ყიჟინა, ტაფების ცემა და ნაღარის ხმა. ჩვენ განზე გავდექით, რომ ბრბოსთვის გზა დაგვეთმო. უეცრად დავინახეთ, რომ ხალხს სარზე შემომსხდარი მეფე და ჰერცოგი მოჰყავდა, უფრო სწორად, ვიცანი, ეს მეფე და ჰერცოგი იყვნენ, თორემ მთლად კუპრით და ბუმბულით დაფარულებს ადამიანის სახე აღარ ჰქონდათ; რომ შეგეხედათ, ორი უზარმაზარი ჯიღა მოგაგონდებოდათ, ჯარისკაცებს რომ აქვთ ხოლმე მუზარადზე. გული ამემღვრა ამ სანახაობაზე, შემეცოდნენ საბრალო არამზადები. ასე მეგონა, გულში მათ მიმართ წყრომას აღარასოდეს გავივლებდი.**

***(მარკ ტვენი, „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“)***

# მისი წიაღის გენერლები

თენგიზ სხირტლაძის ილუსტრაცია




აი, ხომ არის ხოლმე, ადამიანები რაღაცას ან ვიღაცას უსამართლოდ დაივიწყებენ, ჩამიჩუმი რომ არ ისმის, არ ახსენებენ, არ წერენ და არც ფიქრობენ. შემდეგ, ვინმე მოიფიქრებს ხოლმე, აქციას ჩაატარებს, სიუჟეტს მიუძღვნის ან სტატიას დაწერს. შემდეგ, მას ვინმე მიბაძავს და თემა აქტუალური ხდება ანუ გასაგებად რომ ვთქვათ – ცვეტშია...

გასულ კვირაში რაღაც ამდაგვარი მოხდა, მოხდა უნებურად და რაც უნებურად ხდება, როგორც წესი, ისევ დავიწყებას ეძლევა ხოლმე.

გასული კვირის ბოლოს, საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა ბიბლიოთეკა. გასული კვირის ბოლოს ბიბლიოთეკა ცვეტში იყო. ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკა... ბედნიერი ვიქნებოდი, უფრო მეტ ადამიანს აეღო ხელში წიგნი, რაღაც ახალი გაეგო, ძველი გაეხსენებინა, რაღაც გადაეფიქრებინა და რაღაცაში კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო და იქნებ, ის რაღაც, რაშიც კიდევ ერთხელ დარწმუნდებოდა და, ჩვენ, ყველანი დავრწმუნდებოდით, არის ის, რომ არავინ და არაფერია დავიწყებული, ხოლო ის, რაც სულ ახლახან გავიგეთ, არასოდეს დაგვავიწყდება... და თუ შეხსენებაა, ზოგჯერ გუგლია საჭირო და ზოგჯერ მუშტი.

და, მაინც, რატომ ბიბლიოთეკა? რატომ გადაწყვიტა სააკაშვილმა, რომ სწორედ ბიბლიოთეკა იყო ის ადგილი, სადაც ყველაზე უპრიანი იქნებოდა უკანასკნელი სეფე-სიტყვის წარმოთქმა? პასუხი ფასადებშია – სუფთა, ლამაზად შეღებილ ფასადებში, რომლის უკანაც ხშირად, ჩვენთან კი – ყოველთვის, ტალახი, ჭუჭყი, ჭლექი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ჭეშმარიტი არსი იმალება.

ბიბლიოთეკა განათლების, ცოდნის, ფიქრისა და მეხსიერების სიმბოლოა, თუმცა სააკაშვილისთვის – უადგილო. მხატვარი რომ ვიყო, აუცილებლად დავხატავდი რომელიმე მიგდებული სახინკლის (ისეთის, კოლმეურნეობის მოედანზე, კუთხეში რომ იყო) უბორნიაში სიტყვით გამოსულ მიხეილ სააკაშვილს, თუჯის ბნელ და აყროლებულ ხვრელს რომ ჩასცქერის და საკუთარ თანამებრძოლებს რომ მიმართავს. მათი ადგილი პარაშაშია... და რა შუაში იყო ბიბლიოთეკა?

ის, რაც ბიბლიოთეკასთან მოხდა, იყო ლოგიკური, რადგან რაც მოსალოდნელია, ის ლოგიკურია. მოსალოდნელი რომ იყო, ამაზე არავინ კამათობს – თუ სპექტაკლის პირველ მოქმედებაში კედელზე ცოცხია ჩამოკიდებული, მეორე მოქმედებაში რამდენიმე ათეული და ასეული ათასი აღშფოთებული მამრობითი სქესის ადამიანი ცოცხის ავტორისა და რეჟისორის დედასთან აპირებს ღამის გათენებას. აი, მესამე მოქმედებაში კი...

შეგახსენებთ, რომ სპექტაკლი სამმოქმედებიანია.

პირველ მოქმედებაში იყო სისხლის მდინარეები, ცოცხი და კამათი – ერთი ტონა რკინა უფრო მძიმეა თუ ერთი ტონა ბამბა; მეორე მოქმედებაში იყო და არის ცოცხი, ერთი წვეთი სისხლი და კამათი – ერთი ტონა სისხლი უფრო მეტია თუ ერთი წვეთი სისხლი. რა იქნება მესამე მოქმედებაში? იმედი მაქვს, მესამე მოქმედებაში აღარ იქნება სისხლი, აღარ იქნება ცოცხი, მაგრამ აუცილებლად იქნება კედელი, რომელზეც პირველ მოქმედებაში ცოცხი ეკიდა, ხოლო კედელზე, ცოცხის ნაცვლად, ადნროპოვისა და შევარდნაძის ნარჩენები – სააკაშვილები, გაბაშვილები, უგულავები... და, საოცრად მრავლისმეტყველი იყო სათაური ნიუსისა, რომელიც გასულ კვირაში წავიკითხე – „მანანა კობახიძე უმცირესობას „სააკაშვილის წიაღიდან გამოსვლისკენ“ მოუწოდებს“.

მე მომწონს სათაური... თუმცა ასეთი სათაურიც შეიძლებოდა – „სააკაშვილს ნაციონალური მოძრაობა საკუთარ წიაღში აქვს და გარეთ ეძებს“ ან „სააკაშვილის მიერ საკუთარი წიაღიდან ნაციონალური მოძრაობის გამოღების მორიგი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა“ ან „ნაციონალური მოძრაობის სააკაშვილის წიაღიდან გამოსვლამ კანალიზაცია დააზიანა“.

ეს ბოლოც კარგი იყო და გასულ კვირაში, როდესაც გიორგი ღვინიაშვილმა ერთი ნაცმაცუნური ფრაქცია დატოვა და მეორე ნაცმაცუნურ ფრაქციაში გადავიდა, დავით ბაქრაძემ აღნიშნა, ეს იყო წმინდა ტაქტიკური გადაადგილებაო. ვახ!!! პირველად გავიგე, რომ ბაქრაძისა და კომპანიისთვის არსებობს რაღაც წმინდა. გავიგე, მაგრამ მჯერა? რომ არ მჯერა? ვის სჯერა? სჯერა ვინმეს? არც არავის! მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რომ როდესაც გასულ კვირაში დაკავებული და შემდეგ გათავისუფლებული გურამ დონაძე ალაპარაკდება, აღმოჩნდეს, რომ სააკაშვილის გარემოცვაში ყველაზე წმინდა სწორედ გურამ დონაძეა, ხოლო შემდეგ – მაიმუნა, ქილერა, მასტერა და სხვები. სად აღმოჩნდება პადოშა? ამაზე ოდნავ ქვემოთ. მანამდე კი, რამდენიმე სიტყვა დავით ბაქრაძის საკითხებზე.

გასულ კვირაში, ბიძინა ივანიშვილმა, არ მახსოვს რატომ და რასთან დაკავშირებით, თქვა, დავით ბაქრაძე უფრო ჭკვიანი მეგონაო... მინდა, ვუთხრა ბ-ნ პრემიერ-მინისტრს, რომ ყველა, ვინც ხშირად ჩანს ტელევიზორში, სულაც არ არის ჭკვიანი. რაც შეეხება ბაქრაძეს, როგორც ცნობილია, ინსტრუმენტების ექსპერტებმა დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ დავით ბაქრაძე არის ქლიბი, ქლიბი კი, როგორც მოგეხსენებათ, შეუძლებელია, იყოს ჭკვიანი. ქლიბი არსებობს სამკუთხედი, ოთხკუთხედი, მრგვალი, უხეში, ნაკლებად უხეში, ჟანგიანი... გაუთლელი ქლიბებიც არსებობენ, რომელთა უმრავლესობა არც გათლას ექვემდებარება და არც გაქლიბვას. დაინტერესებულმა პირებმა სწორედ ამ ქლიბებს შორის და, კონკრეტულად, სააკაშვილის წიაღში უნდა ეძებონ დავით ბაქრაძე.

„ეროვნულ ბიბლიოთეკასთან უსაფრთხო დერეფნები თუ არსებობდა, მაშინ რატომ არ ისარგებლეს ამით ელჩებმა, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა, დავით ბაქრაძემ შსს-ს განცხადების კომენტირებისას განუცხადა, რომლის მიხედვითაც, გუშინ ბიბლიოთეკაში შესასვლელად ორი ალტერნატიული დერეფანი არსებობდა“, – იუწყებოდა „ინტერპრესნიუსი“.

ვაჰ, შე მართლა ქლიბო, შენა!.. თუ სექსი არ მაქვს, რად მინდა პრეზერვატივი? რაში სჭირდებოდათ ელჩებს უსაფრთხოების დერეფნები?! დაინტერესებულ პირებს ვურჩევ, თუ დავით ბაქრაძის მოძებნა სურთ, სააკაშვილის წიაღში უსაფრთხო დერეფანში მოთავსებული მრგვალი ქლიბი მოიკითხონ, ოღონდ, მას შემდეგ, რაც იმავე სააკაშვილის თვალში დირეს აღმოაჩენენ.

გია თორთლაძის მოძიება კი იმავე ვადაგასულის ფეხსაცმელზეა შესაძლებელი. მაგარი რამეა წრიაპებიანი ლანჩა, მაგრამ „ლენდკრუიზერზე“ შემომჯდარი წრიაპებიანი ლანჩა უფრო მაგარია. ხომ გახსოვთ... ერთი ნული – გეპეის სტუდენტი, ორი ნული – ტუალეტი, სამი ნული – გეპეის სტუდენტი, ოთხი ნული – გეპეის ორი სტუდენტი ტუალეტში, ხუთი ნული – ოლიმპიადა, ექვსი ნული – გეპეის სტუდენტი ოლიმპიადაზე, შვიდი ნული – ოლიმპიური ტუალეტი, რვა ნული – გეპეის სტუდენტი ოლიმპიურ ტუალეტში და ა.შ.

გაი თორთლაძე არის „ლენდკრუიზერზე“ შემომჯდარი წრიაპებიანი ლანჩა სააკაშვილის ფეხსაცმელზე.

„დეოკუპაციის ცენტრის“ ხელმძღვანელი გია თორთლაძე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის განცხადებებს ბოდვას უწოდებს. როგორც თორთლაძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნა, ავტომანქანა მთავრობის განკარგულებით უვადოდ და უსასყიდლოდ გადაეცა, ხოლო მას შემდეგ, რაც ცენტრს ვალი დაედო, მანქანა გაყიდა და ავტომობილის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა ბიუჯეტში შეიტანა, რისი დამადასტურებელი საბუთიც გააჩნია. „ავტომანქანა სახელმწიფო ქონება არ იყო, ჩემი, დეოკუპაციის ცენტრის ქონება იყო, რომელიც გადმომეცა უვადოდ და უსასყიდლოდ. ჩემი საკუთრება იყო, გავყიდე და ის ფული შევუტანე სახელმწიფოს. არავითარი სხვისი ქონება არ გამისხვისებია. მთავრობის განკარგულებით და სამინისტროს ბრძანებით, ჩემი ქონება იყო, სადაც არც ერთი სიტყვა არ წერია, რომ გაყიდვის უფლების გარეშე მაქვს“, — განმარტა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას გია თორთლაძემ.

ამასთან, თორთლაძე უარყოფს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციას, რომ მან მანქანის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა პირადი მიზნებისთვის მოიხმარა. „ტყუილია, რომელი პირადი საჭიროებისთვის, ხელში მიჭირავს დოკუმენტი, 81 625 ლარი შევიტანე ბიუჯეტში. ჩემი პირადი საკუთრება არის ბიუჯეტი? თუ ჩემია, მაჩუქეთ ეგ ბიუჯეტი და მაშინ ვაღიარებ. ასეთი ნაძირლები რომ არიან, გამოდიან უვიცები. ისიც არ იციან, რამდენი ქონება გადმომეცა, 120 000 გამოაცხადა, 131 000 გადმომეცა, 81 000 უკან შევიტანე, მეტი რა ვქნა. ეს ქალი რომ გამოვიდა, ბოდავს რაღაცებს. ისიც ვერ გაუგია, სახელმწიფომ რამდენი ქონება გადმომცა“, — განაცხადა თორთლაძემ“.

ძალიანაც მინდოდა, ეს ნიუსი შემემოკლებინა, მოკლე შინაარსი გადმომეცა, მაგრამ ვერ შევძელი. ის კი არა, მთავარი აბზაცი ჯერ კიდევ წინ არის და აი, ისიც: მაგათ არ აწყობთ, რომ საქართველოში იყოს დეოკუპაციის ცენტრი ისევე, როგორც არ აწყობს პუტინს და ერთად არ აწყობთ მათ ყველას. ეს არის ჩემი პოლიტიკური განცხადება. ეს არის ზეწოლა არასამთავრობო ორგანიზაციაზე, „დეოკუპაციის ცენტრზე და პირადად ჩემზე. ვერ მოინელა, რომ მას მე ხშირად ძალიან მწვავედ ვაკრიტიკებდი, მოინელოს, თუ ვერ ინელებს, მოვანელებინებ“, — აღნიშნა თორთლაძემ.

სხვათა შორის, ამ ბოლო დროს, პუტინი რაღაც დაბნეულად გამოიყურებოდა, ფერი არ ედო სახეზე... ეტყობა, უთხრეს, გია თორთლაძემ დეოკუპაციის ცენტრი შექმნა და ბაირამ-დუდუკს გაუფრთხილდიო. თავიდან, პუტინს სასაცილოდ არ ეყო, მაგრამ რომ გაიგო, თორთლაძე „ლენდკრუიზერით“ დადისო, ფერიც დაკარგა და მოსვენებაც.

ჩვენში დარჩეს და, რაში სჭირდება დეოკუპაციის ცენტრს „ლენდკრუიზერი“? რა ვალები უნდა დასდებოდა დეოკუპაციის ცენტრს? და, საერთოდ, რა სიმაღლეები უნდა დაიპყროს ალპინისტმა, რომელიც სააკაშვილის ღრმა წიაღში სუფევს? ამ კითხვებზე პასუხი ისევ კითხვის სახით მაქვს – თუ „თეატრალური კვარტეტის“ დამკვრელები ალპინისტებად იყვნენ გაფორმებულები, გია თორთლაძე რომელიმე მოკრძალებულ რესტორანში ფანდურად ან ჩონგურად ხომ არ გაგვეფორმებინა?.. ეგ კი გააფორმა არმაგედონის ზანგმა!!!

გოგოლა კალანდაძე მძღოლად ყოფილა გაფორმებული. მიხაელ შუმახერი? ჩემი ნება რომ იყოს, თეა თუთბერიძეს ცოცხად გავაფორმებდი ბაჩო ახალაიას საკანში, რომელიც ასევე, გურამ დონაძის საკანიც იქნებოდა.

არავინ თქვას, არ გავბოროტდებიო... ვამბობდი და აღარ ვამბობ. „ნაცები“ ოცნებებში გადაცვივდნენ, ოცნებებში გადაცვივდნენ ჰალსტუხიანი ხვლიკის კუდები, ძველი მეოცნებეები ფულსა და თანამდებობებს ითხოვენ – ეს იყო ჩვენო ოცნებაო... მონასტერი რომ არეულიყო, კიდევ არა უშავს – არეული მონასტერიც მონასტერია. საღორე და საქათმე აირია, ძაღლი პატრონს ვერ ცნობს, დედა შვილს არ აიყვანს, მაგრამ ეკა ბესელიამ აიყვანა მარიკა ვერულაშვილი. მარიკა ვერულაშვილმა დატოვა ნაციონალური მოძრაობა და საქმიანობას დამოუკიდებელი კანონმდებლის სტატუსით გააგრძელებს ანუ ბიძინას ყოველთვის ეკიდა, მიშას უკვე ჰკიდია. შემოიაროს ახლა კახეთის სოფლები და 80-ს გადაცილებულ ქალებს მოუყვეს, როგორ აუპატიურებდნენ რუსი ჯარისკაცები 106 წლის კარგად შენახულ ქალბატონს.

კარგად შენახული ქლიბის, დავით ბაქრაძის აზრით, ვერულაშვილზე მოხდა ზეწოლა. პრინციპში, არც ეს არის გამორიცხული – არიან ადამიანები, რომლებიც კარგი, სერიოზული ზეწოლის გარეშე, ნაბიჯს არ გადადგამენ. ანეკდოტიც რომ არის, მარო მიხოს რომ ეუბნება, მომექცევი ადამიანურად – მოგექცევი ადამიანურადო.

რა ცოტა ყოფნის ადამიანს ბედნიერებისთვის... ოღონდ მანამ, სანამ მაიმუნობას არ დაიწყებს. ჩემი აზრით, ადამიანები ორ ნაწილად იყოფიან – ვინც ღმერთმა შექმნა და ვინც მაიმუნისგან წარმოიშვა. მოძალადე ყოველთვის მაიმუნია, მაგრამ ის უფრო დიდი მაიმუნია, „არა ძალადობის“ დროშის ფრიალით ფულს რომ შოულობს.

სხვათა შორის, ჩიორა თაქთაქიშვილმაც (რომელიც ერთ დროს მართლა ძალიან კარგი გოგო იყო) აღნიშნა – მალე მოვა დრო, როცა მარიკა ვერულაშვილი მასთან სამარცხვინო გარიგების დეტალებს თავად მოყვებაო. ეეე... ვერულაშვილის მონაყოლი ასი წელი ვერ მოვა იმასთან, კბილაშვილს რომ აქვს მოსაყოლი...

ერთ ამბავს მოვყვები მოკლედ; ჩემმა მეგობარმა, ამირან ძოწენიძემ, გაგანია კომუნისტების დროს სტალინის დაბადების დღის წინა საღამოს სტალინის ძეგლთან რამდენიმე ლიტრი კატაბალახა (ჩვენებურად „ვალერიანკა“) მოასხა. ბელადის ძეგლის მოსალოცად მისულ ბელადის თაყვანისმცემლებს მონუმენტთან რამდენიმე ასეული ადგილობრივი კატა დახვდათ. კატები კნაოდნენ, ჩხაოდნენ, მარტში საკეთებელს დეკემბერში აკეთებდნენ...

გასულ კვირაში რომელიღაც რაიონის რომელიღაც სოფელში ვიღაცამ სტალინის ბიუსტი გადმოაგდო (აბა, მერილინ მონროს ბიუსტზე ვინ არ გადმოაგდებს ენას?!) და ვარდისფრად შეღება. ერთი-ორი დღეც და ალბათ, ყველამ ვნახეთ ვიდეორგოლი, რომელშიც ათი თუ თორმეტი ახალგაზრდა თავმომწონედ აცხადებს – მე შევღებეო...

რა შეიძლება, ითქვას ანტისტალინურ გაგებასა და სტალინურ სიყვარულში? მხოლოდ ეს: ერთმა სირმა სტალინი გენსეკად დანიშნა, მეორე სირმა სტალინის ძეგლები მოაშთო, მესამე სირმა, ახლახან, სტალინის ძეგლი აღადგინა, მეოთხემ ჩამოაგდო და შეღება, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე... მეათე და მეთერთმეტე სირებმა, სირების რჩევითა და ხელშეწყობით, გადაიღეს ვიდეორგოლი – მე შევღებეო... ამას ჰქვია სირთა ვარამი. რაღა დროს სტალინია! მორჩა, დამთავრდა. მაშინ დამთავრდა, როდესაც ოთხმოციანების ბოლოს, კატებმა მარტში საკეთებელი სტალინის ძეგლთან, დეკემბერში გააკეთეს.

აქაოდა, სოციალურად აქტიურები ვართო, პროდასავლურებიო, ლიბერალებიო... განაგდეთ ხელიდან საგრანტო განაცხადი, მორჩით ჩუკენობას, აზრზე მოდით, თორემ ხომ ხედავთ, სადამდე მივიდა სააკაშვილი – ერთადერთხელ გადაწყვიტა ბიბლიოთეკაში მისვლა და მაშინაც არ მიუშვეს! გამომივიდნენ, ალისტრახო თავგანწირულები!

აი, თავგანწირვის მაგალითი, წაიკითხეთ და ისწავლეთ: „დღეს საქართველოში ყოფილი სოციალური აგენტების დაკითხვა მიმდინარეობს, რომელთა რაოდენობა 23 ათას ადამიანს შეადგენს, — ამის შესახებ დღევანდელ ბრიფინგზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალურმა მდივანმა, ვანო მერაბიშვილმა განაცხადა. მისი თქმით, მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, დაანებონ თავი 23 ათასი აგენტისა და ასევე დაბალი თანამდებობის პირების დაკითხვას. ჩემი ინიციატივა იყო დასაქმების სამინისტროს შექმნა და თუ მათ რაიმე კითხვები აქვთ, მე გავცემ პასუხს, — განაცხადა ვანო მერაბიშვილმა“... და „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ გორის რაიონული ორგანიზაცია ხმაურის მიუხედავად დაფუძნდა“, – ეს უკვე სათაური იყო, თითქოს უადგილო, მაგრამ ეპოქის სული ხომ უნდა ვიგრძნოთ? „პარლამენტარები, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები მიხეილ მაჭავარიანი და გიგი წერეთელი აშშ-ს სენატის მიწვევით, სამუშაო ვიზიტით, ვაშინგტონში გაემგზავრნენ. მიხეილ მაჭავარიანი და გიგი წერეთელი მიწვეულნი არიან ყოველწლიურ ტრადიციულ საუზმეზე, რომელიც ამერიკის პრეზიდენტის, ბარაკ ობამას სახელით იმართება ქალაქ ვაშინგტონში“, – ესეც ეპოქის სულის ამბავში იყო. ეპოქას ჰქვია „ვერ გაძლა მაგათი მუცელი“. იგივე ამბავში: „დავით უსუფაშვილი მზადაა, დებატებზე მისთვის განკუთვნილი ბოლო 15 წუთი განმარტებისთვის იმ დეპუტატებს დაუთმოს, ვისზეც „ზეწოლა განხორციელდა“.

უკაცრავად, მაგრამ რომელ ზეწოლაზეა საუბარი? შემთხვევით, იმაზე ხომ არა, რომლის ოთხმოცი ფირიც არსებობს? ვინმე დაიჯერებს, რომ ის ფირები დატოვეს და ასლები არ წაუღიათ?! ზოგი ალპინისტ-დამგველებად გააფორმეს და ზოგიც, უბრალოდ, ანეტამ დაუძახა და, გააფორმეს და გააფორმეს!

„ქდმ-ს დატოვება ჯერ კიდევ არჩევნებამდე მქონდა განზრახული. თუმცა ეს არ გავაკეთე, რომ არჩევნების წინ პარტიისა და მისი წევრების ინტერესები არ დამეზარალებინა“, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ზაზა გაბუნიამ“... მომკლავს ამათი თავმდაბლობა. ზუსტად ვიცი, ზაზა გაბუნიას ქდმ-ს დატოვება ჯერ კიდევ ქდმ-ს შექმნამდე ჰქონდა განზრახული. „ჯაბა სამუშია — ქდმ ჯერ კიდევ დეკემბერში დავტოვე“, – რავა ყველაფერი ყველაზე გვიან მე უნდა გავიგო!

„არჩილ კბილაშვილი არ გამორიცხავს, რომ დეპუტატებიც საკუთარ კაბინეტებში დაიკითხონ“, – კბილაშვილმა კარგად იცის, რომ ეგეთი დეპუტატებისთვის კაბინეტი იგივეა, რაც ეგეთივე

*დასასრული მე-3 გვერდზე*

მე-2 გვერდიდან

ავადმყოფებისთვის ლოგინი. „დავით კირკიტაძე ითხოვს, ვაუჩერები ქალაქების მაცხოვრებლებმაც მიიღონ“, – კარგია, ჯაგა, გოროდი?!

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ პარლამენტს მოუწოდებს, საკანონმდებლო პროექტების განხილვისა და დამტკიცების პროცესი იმგვარად დაგეგმოს, სამოქალაქო სექტორს მასში ჩართვისა და მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცეს“, – ტაშიიი, ტაში!!!

სამი ოცნება მაქვს: 1. ვნახო რომი. 2. ვნახო პარიზი. 3. ვნახო ენჯეოშნიკი, რომელიც გამარჯობას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე გეტყვის.

„თუ თქვენ სააკაშვილი გაშინებთ, ჩვენ გვაშინებს ივანიშვილი“, — ასე მიმართა უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, დავით დარჩიაშვილმა პარლამენტის დღევანდელ პლენარულ სხდომაზე უმრავლესობას“, – დარჩიაშვილი ენჯეოშნიკებზე გამახსენდა.

„ზეწოლების მიუხედავად, ნაციონალური მოძრაობის გატეხვა, სიამაყით გეტყვით, რომ ვერ შეძელით, ვერ შეძელით თავისუფლების დამარცხება და ესაა დიდი იმპულსი, რომ მომავლისთვის ბრძოლა გავაგრძელოთ“, – განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა“, – დარჩიაშვილმა წიკლაური გამახსენა და რა გამოდის? გამოდის, რომ ენჯეოშნიკებზე ყველა წიკლა და წაკლა უნდა გამახსენდეს? ოოო, ჩვენ ამას არ დავუშვებთ!!!

„ზურაბ ჯაფარიძე — მთელი საშემოდგომო სესია დავუთმეთ იმას, რომ ხორკლებს ვითვლიდით პრეზერვატივზე“, – ენჯეოშნიკებზე ზურაბ ჯაფარიძეც გაგახსენდება, მაგრამ აწი, ზურაბ ჯაფარიძე გაგახსენდება პრეზერვატივზეც და არც არაფერი დაშავდება, თუ პირიქითაც მოხდება, რადგან ვამბობთ ლენინს და ვგულისხმობთ პარტიას.

ხოლო ამ ყველაფერზე – პრეზერვატივსა და ჯაფარიძეზე, დარჩიაშვილსა და წაკლაზე, ზაზა გაბუნიასა და ყვარყვარეზე, ბაქრაძესა და ქლიბზე, სააკაშვილსა და უბორნიაზე – ყოველთვის გაგახსენდებათ ის, რასაც ახლა მოზრდილი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი (კონტექსტის დეფლორაციის გარეშე) ციტატის სახით შემოგთავაზებთ:

„ორშაბათს, 11 თებერვალს გადაწყდება, დარჩებიან თუ არა „იმედის“ დილის ეთერის წამყვანებად დათო ქაცარავა და სალომე გოგიაშვილი. მათი ტელევიზიაში დარჩენის საკითხი დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც 18 იანვარს „ტელეიმედის“ გადაცემა „იმედის დილაში“ გავიდა სიუჟეტი, საიდანაც ირკვეოდა, რომ სუროგატმა დედამ მომღერალ ელტონ ჯონსა და მისი მეუღლეს მეორე შვილი გაუჩინა.

სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ, რამდენიმე წუთში გადაცემის წამყვანებმა გააკეთეს ორი კომენტარი: (1) „გულწრფელად მეცოდება ელტონ ჯონის ორივე სუროგატი შვილი“; (2) „ნამდვილად არ მშურს ელტონ ჯონის სუროგატი შვილის, რომ გაიზრდება და ორი მამა რომ ეყოლება, არ იქნება სახარბიელო მდგომარეობა, რომ გითხრა“.

ადმინისტრაციის ინიციატივით, 21 იანვარს „იმედის“ ეთიკის საბჭო „იმედის დილის“ სარედაქციო ჯგუფს შეხვდა. ეთიკის საბჭოს შემადგენლობაში არიან ჟურნალისტები შორენა შავერდაშვილი და ზვიად ქორიძე, იურისტი ლია მუხაშავრია, პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი და არხის მფლობელი კომპანიის დირექტორი, ბადრი პატარკაციშვილის ქალიშვილი ლიანა ჟმოტოვა (ლიკა პატარკაციშვილი). „გასაუბრების მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რამ განაპირობა წამყვანების კომენტარები პირდაპირ ეთერში, რომელმაც საზოგადოების ცალკეული ჯგუფების მწვავე რეაქცია გამოიწვია“, — ამბობს შორენა შავერდაშვილი და აღნიშნავს, რომ საბჭოს დასკვნით, წამყვანებმა მართლაც, გააკეთეს პირდაპირ ეთერში ჰომოფობიური განცხადებები, რითაც დაირღვა ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტი. მისივე თქმით, ეთიკის საბჭომ შეიმუშავა რეკომენდაცია, „იმედის“ ყველა ჟურნალისტს ჩაუტარდეს ტრენინგი იმისთვის, რომ მათ გააცნობიერონ მაუწყებლობის შესახებ კანონი და ის ეთიკის ნორმები, რომელსაც ხელს აწერს „იმედი“.

აბა, ყოველივე ამის შემდეგ, როგორ გავბედავ და ვიტყვი, არც მე ვისურვებდი იმ ბავშვის ადგილზე ყოფნას! თქვენ თუ გაბედავთ? ნუთუ ვერც თქვენ?! ვინ შეგვაშინა, რამ დაგვაჩაჩანაკა...

ჰოდა, რადგან ასეა, გადავიღოთ ვიდეორგოლი და ყველამ ცალ-ცალკე და ყველამ ერთად ვთქვათ ეს სიტყვები: „მე მინდა, ვიყო ბავშვი, რომელსაც თეა თუთბერიძე გიგა ნასარიძესა და ალისტრახო როხვაძეს გაუჩენს“...

ამის შემდეგ რაღა უნდა ვთქვა და გავიხსენო? ალბათ, მხოლოდ ის, რაც შალვა ნათელაშვილმა თქვა – „შალვა იყოს და პოლიტკომიტეტი ბაღდადიდან მოვა“.

შალვა იყოსო... იყოს, რა!

ოღონდ, ბუზებს, გარდა თაფლისა, სხვა რამეც უყვართ.

**ს.ვ.პ. (საწყალი ვადაგასული პრეზიდენტი) ვიღაც ქუჩის მაწანწალებს ვკითხეთ და იმათ გვიამბეს, ყველა ისე მივიდა წარმოდგენაზე, ვითომ არაფერი იცოდა; სულ ჩუმად ისხდნენ, სანამ საწყალი ბებერი მეფე სცენაზე კუნტრუშს არ მოჰყვა. მაშინ კი, ხალხს ვიღაცამ ანიშნა, ყველანი წამოიშალნენ და იმათ მისცვივდნენ.**

***(მარკ ტვენი, „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“)***

# „ახალი ხელისუფლება ვალდებულია, ხალხის აგრესიის განეიტრალებაზე იზრუნოს“



ნინო კომახიძე
პოლიტიკა



რა კავშირს ხედავს ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე კახა ბენდუქიძისა და ცესკო-ს თავმჯდომარის ინიციატივებს შორის და იქნება თუ არა პრეზიდენტობის კანდიდატობა მერაბიშვილისთვის ჯავშანი

**„ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური შანსი ნულის ტოლია, ოღონდ ამის შესახებ „ნაციონალებმა“ მხოლოდ 8 თებერვალს, სააკაშვილის ორგზის ჩაშლილი გამოსვლის დღეს გაიგეს. საჯარო ბიბლიოთეკის წინ განვითარებული მოვლენები ახალი ხელისუფლების მიერ პროვოცირებული არაა, რადგან ამით, დასავლეთის თვალში, მხოლოდ საკუთარ იმიჯს დაიზარალებდნენ. ისე, ბევრად ეფექტური იქნებოდა, შს მინისტრი მოქალაქეების წინაშე ხელჩართული ჩხუბის მერე კი არა, მანამდე და სრულიად სხვა ამპლუაში გამოჩენილიყო“, — ასე აფასებს პოლიტიკური ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე 8 თებერვალს განვითარებულ მოვლენებს. ამასთან, საჯარო ბიბლიოთეკასთან გამართული ხელჩართული ცემა-ტყეპის მიზეზად, ექსპერტი ყბადაღებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს მიიჩნევს.**

— ეს მოვლენები საკონსტიტუციო ცვლილებების გარშემო ტრიალებს. ისიც ფაქტია, რომ კონსტიტუციაში დღევანდელი ჩანაწერი არჩევნებს, როგორც ხელისუფლების დაკომპლექტების წესს, დიდწილად, აზრს უკარგავს. ჩვენ ხომ პარლამენტს იმისთვის ვირჩევთ, აღმასრულებელი ხელისუფლება დავამტკიცოთ და ვაკონტროლოთ? არსებული ჩანაწერი კი, ხალხს ამ უფლებას, მართლაც, ართმევს და ერთპიროვნულად პრეზიდენტს ანიჭებს. გავიხსენოთ, 2003 წელს არაპრეზიდენტის რანგში მყოფი სააკაშვილი ტრიუმფით როგორ შევიდა პარლამენტში, მაგრამ 10 წელიც არ დასჭირდა, უკვე პრეზიდენტის რანგში მყოფი, არათუ პარლამენტში, საჯარო ბიბლიოთეკაშიც არ შეეშვათ. ვფიქრობ, ეს მის მიერ განვლილი გზის ყველაზე ნათელი შეფასებაა. სხვათა შორის, 2003 წელს, როცა ედუარდ შევარდნაძემ ხალხთან ჩასვლა მოინდომა, მას გზა „ნაციონალების“ ლიდერებმა გადაუღობეს და უთხრეს, ხალხთან საუბრის უფლება არ გაქვსო.

**— ესე იგი, ისტორია მეორდება?**

— დიახ, მეორდება, თან ისტორია გმირების მიმართ ძალიან ცინიკურია: სააკაშვილმაც თვალნათლივ დაინახა, რომ ხალხთან აღარ მიესვლება და მისი აღარ ესმით.

**— შეიძლება, მაგრამ ცემა-ტყეპის შემდეგ, სააკაშვილის გამოსვლა აგრესიული სულაც არ იყო, პირიქით, განაცხადა, მთავრობის გადაყენებას მაინც არ ვაპირებ, რადგან ჩემთვის თვითგანადგურება იქნებაო.**

— სააკაშვილის გამოსვლის მთავარი ქვაკუთხედი სწორედ ამ ერთ ფრაზაშია, ძალიან კარგად ვიცი პოლიტიკური კონიუნქტურა საიმისოდ, რომ მთავრობა დავითხოვოო. სააკაშვილი გადასარევად ხედავს და აღიარებს კიდეც, რომ პარლამენტის დათხოვნა ან მთავრობის გადაყენება, მისი მხრიდან აბსოლუტურად გაუაზრებელი ნაბიჯი იქნება. ასე რომ, ჩანს, ამ ხიფათის წინაშე არ ვდგავართ და ეს მისი მხრიდან საღი აზრის გამოხატვაა. პრეზიდენტს შეეძლო, ბევრი არაგონივრული ნაბიჯი გადაედგა, მაგრამ ეს არ გააკეთა! მის საღ აზრს ხელი ნაციონალური მოძრაობის მიმართ ხალხის დამოკიდებულებამაც შეუწყო. მხოლოდ საჯარო ბიბლიოთეკის წინ განვითარებულ პროცესებს არ ვგულისხმობ. გაიხსენეთ, თეა თუთბერიძის მოწოდებას, შევიკრიბოთო, 15 ადამიანზე მეტი არ გამოხმაურებია. ისე, „ნაციონალებისაც“ მესმის — არჩევნების შედეგები მათთვის პოლიტიკური განაჩენი იყო, ამ მარცხსა და ხალხის ასეთ დამოკიდებულებასთან შეგუება ფსიქოლოგიურად, ძალიან გაუჭირდათ.

**— სააკაშვილის ბოლო ანგარიში პარლამენტმა არ მოისმინა. ეს და, საერთოდ, პირველი ოქტომბრიდან მოყოლებული, საპრეზიდენტო ინსტიტუტის მიმართ არსებული დამოკიდებულება სწორია?**

— პრეზიდენტის ინსტიტუტი, დიახ, დაკნინდა! საქართველოში საპრეზიდენტო ინსტიტუტი მაინცდამაინც პოპულარული არაა, რადგან ვერცერთმა პრეზიდენტმა ის ნდობა ვერ გაამართლა, რაც საპრეზიდენტო მოღვაწეობის დასაწყისში მიიღო. გარდა ამისა, პარლამენტს აქვს უფლება, გამოხატოს თავისი დამოკიდებულება პრეზიდენტის მიმართ. ჩავთვალოთ, ეს პარლამენტის პოლიტიკური პოზიცია იყო.

**— თუ ეს სააკაშვილ-ივანიშვილის პოლიტიკური შეთანხმება იყო? — არც უმრავლესობას აძლევდა ხელს პრეზიდენტის მონოლოგი და არც პრეზიდენტს აწყობდა დებატები ივანიშვილის უმრავლესობასთან...**

— მიშას დეპუტატებისა და მოსახლეობისთვის ახალი რა უნდა ეთქვა? თავად სააკაშვილის ფაქტორიდან გამომდინარეც, იმდენად უმნიშვნელო იყო მისი პარლამენტში მისვლა, ვფიქრობ, შეთქმულება-შეთანხმებასთან არ გვაქვს საქმე. ისე, კახა ბენდუქიძემ ერთი თვის წინ განაცხადა, არ გამოვრიცხავ, ნაციონალური მოძრაობის წიაღში სხვადასხვა პოლიტიკური ინტერესების წარმოიშვასო. 8 თებერვალს, კონტექსტიდან სრულიად ამოგლეჯილად, ამ ცემა-ტყეპის რეჟიმში, ცესკო-ს თავმჯდომარემ განაცხადა, საარჩევნო ბარიერი 1%-მდე უნდა დავწიოთო ანუ „ნაციონალები“ საკუთარ პოლიტიკურ პერსპექტივას ახლა ასე აფასებენ. თუ ცესკო-ს თავმჯდომარის ამ ინიციატივას ბენდუქიძის იდეას დავუკავშირებთ, ე.ი. შეიძლება, „ნაციონალები“ რამდენიმე ფრთად დაიშალონ, ამ ბარიერის პირობებში, რამდენიმე ჯგუფი გავიდეს პარლამენტში და მერე, გაერთიანდნენ. მანამდე კი, 8 თებერვლის მოვლენების შემდეგ, ისინი წამებულის მანტიით შეიმოსებიან, თუმცა ამ მანტიის ქვეშაც გაუჭირდებათ პოლიტიკურ მომავალზე ფიქრი და ეს ნებისმიერს ეხება — უგულავასაც, მერაბიშვილსაც...

**— სხვათა შორის, სწორედ 8 თებერვალს ვანო მერაბიშვილმა თავი „ნაციონალების“ ერთ-ერთ საპრეზიდენტო კანდიდატად გამოაცხადა. ეს რას ნიშნავს?**

— ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს მათი მოქმედების მთავარი მოტივაცია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან თავის არიდებაა. საკუთარი თავის პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელება, გარდა იმისა, რომ ცინიზმია, თავდაცვის საშუალებაცაა, ვინაიდან პრეზიდენტობის კანდიდატის დევნა უფრო რეზონანსული იქნება, თუმცა საკამათოა, დაედება თუ არა ორჯერ მეტი ფასი ამ სტატუსს, რადგან ნული რა ციფრზეც უნდა გავამრავლოთ, ნულად რჩება!

ახლაც კრიტიკის ქარ-ცეცხლში პოლიცია მოექცა, რადგან მეტი კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი მოეთხოვებოდა თუნდაც მისივე ხელისუფლების იმიჯის დასაცავად.

**— რას ნიშნავს „მისივე ხელისუფლება“... სულ იმას არ გავიძახით, რომ პოლიცია კონკრეტული მთავრობას არ უნდა ემსახურებოდეს?**

— გავიხსენოთ მერაბიშვილისდროინდელი პოლიცია და 26 მაისის, 7 ნოემბრის მოვლენები. ამ დროს, პოლიციას საკუთარ ხალხთან საუბრის ერთადერთ საშუალებად ძალა ჰქონდა. პოლიცია ახლაც ასე რომ მოქცეულიყო, საჯარო ბიბლიოთეკის წინ სისხლის ნამდვილი კალო დატრიალდებოდა. მე თუ მკითხავთ, ახალი ხელისუფლება ვალდებულია, რაღაც ფორმით, ხალხის აგრესიის განეიტრალებაზე იზრუნოს. ფსიქოლოგი არ ვარ, მაგრამ ხელისუფლებას ვურჩევ, სპეციალისტებს მაინც დაეკითხოს — თუ ხალხში ნაციონალური მოძრაობის მიმართ აგრესია ამ დოზით შენარჩუნდა, მაშინ, მომავალში, საქმე რა მოვლენებთან შეიძლება გვქონდეს?!

**— მინიმუმ, ვითარებასთან, როცა შს მინისტრის არეულობის ადგილას გამოჩენა ხალხს ვეღარ დაშლის... სხვათა შორის, ღარიბაშვილი ამბობს, „ნაციონალებმა“ ჩემს მიერ მომზადებული კორიდორებით არ ისარგებლესო. „ნაციონალები“ კი ამტკიცებენ, შს სამინისტრომ ჩვენს მიერ გაცილებით ადრე მიწოდებული ინფორმაცია არ გაითვალისწინაო. პროვოკაცია, რეალურად, რომელმა მხარემ მოაწყო?**

— ამ მოვლენის ყველა ფიგურა განვიხილოთ: ხელისუფლებას პროვოკაცია იმ მარტივი მიზეზის გამო არ სჭირდებოდა, რომ დასავლეთის თვალში ეს ინციდენტი მის იმიჯზე ცუდად აისახა. რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, აქ რამდენიმე ფაქტორია: „ნაციონალებმა“ იცოდნენ, ხალხს რა რეაქცია ექნებოდა მათ გამოჩენაზე — ის ხალხი, ვინც აქციაზე იდგა, მათ აწამეს. შესაბამისად, გამოვიდა, რომ ბიბლიოთეკის წინ ერთმანეთს მწამებელ-წამებულები შეხვდნენ და, ბუნებრივია, შეტაკება მოხდა. ისე, ჩემი აზრით, ირაკლი ღარიბაშვილს დილით რომ გაეკეთებინა საჯარო განცხადება და ეთქვა პატივცემული პრეზიდენტისთვის, მიხეილ, 6-ის ნახევარზე მოვალ შენს რეზიდენციაში, ჩაგკიდებ ხელს და ჩემი ხელით მიგიყვან საჯარო ბიბლიოთეკაში, დაგელოდები კართან და დაგაბრუნებ ჩემივე ხელით, ციმციმ უკანო, ამით პროვოკაციის საფუძველი ყველას ხელიდან გამოეცლებოდა. ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილი სრულიად სხვა მანტიით წარსდგებოდა საზოგადოების წინაშე და სხვა შარმით შეიმოსებოდა. კერძოდ, სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე, იგი პრეზიდენტის მეურვე იქნებოდა, აი, დაახლოებით ისეთი, როგორსაც არასრულწლოვნებს ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს უნიშნავენ, თუმცა წმინდა პიარულად, ღარიბაშვილის გამოჩენა, თავისთავად, მაინც ეფექტური იყო. აქვე, ისიც უნდა აღვნიშნო, დღევანდელი ხელისუფლება წინა ხელისუფლების ნაბიჯებით რომ წავიდეს, ხალხი აჯანყდება! ხალხის დარბევა ყველა ხელისუფლებისთვის სასიკვდილო დიაგნოზივითაა!

## ვერსიანიუსი

## კობა ხაბაზი ივანიშვილს „პატარა ასლან აბაშიძეს“ ეძახის



ბნელი და საშიში ძალა მოვიდა ქვეყნის სათავეში პატარა ასლან აბაშიძის პროტოტიპ ბიძინა ივანიშვილის სახით, — ამის შესახებ „ფეისბუქში“ ნაციონალური მოძრაობის წევრი კობა ხაბაზი წერს. მისი თქმით, ივანიშვილი ისევე აზროვნებს, მეტყველებს და მოქმედებს, როგორც აბაშიძე მოქმედებდა.

**„რუსული კლიშეები, მენტალობა, ქმედებები სხვა არაფერია, თუ არა კლასიკური რუსი კრიმინალ-მაფიოზის პორტრეტი. ბიბლიოთეკასთან მომხდარი დარბევა შემაძრწუნებელი სიზუსტით იყო 2003 წელს ბათუმში მომხდარი დარბევის განმეორება (მე ამ აქციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ვიყავი და დამიჯერეთ), მთვრალი კრიმინალების ხროვა, რომელიც სპეციალურად იყო ციხეებიდან გამოშვებული ოპოზიციის დასარბევად. რუსული ჰიმნი, ბილწსიტყვაობა, კასეტები, გზის ჩაკეტვა, მიტინგამდე ცოტა ხნით ადრე სპეცზონდერების მოყვანა, დაუნდობელი ცემა ქალებისა და ასაკიანი ხალხის და, ბოლოს, განცხადებებიც აბსოლუტური სიზუსტით განმეორდა — „სპეციალური კორიდორი იყო და ესენი სხვაგან წავიდნენ“, „ხალხმა ვერ მოითმინა და ანგარიში გაუსწორა“, „აბა, რა ეგონათ“. ეს ყველაფერი გამოვლილი მაქვს, ეს ყველაფერი მინახავს სწორედ ასეთი ქრონოლოგიით. აბაშიძე-ივანიშვილი არა მხოლოდ ფიზიკურად არიან ერთმანეთის მსგავსები, არა მხოლოდ ფულისა და ძალაუფლების სიყვარული აერთიანებთ, არამედ, უმთავრესი — მათი რუსულ-მაფიოზურ-კრიმინალური მენტალიტეტის საოცარი დამთხვევა“,** — წერს ხაბაზი.

მისივე განცხადებით, თავიდან აჭარაშიც ასლან აბაშიძე ერთი „კეთილი ბიძა-ასლან ბაბუ“ ეგონა ხალხს, მაგრამ ის მალე „მონსტრად იქცა“.

**„მოგმართავთ ყველას, რომ ერთად აღვუდგეთ ამ ბნელ ძალას წინ, მიუხედავად იმისა, ვინ ვის უჭერდა მხარს, ვინ ვის მისცა ხმა არჩევნებში, ეს წარსულია, ჩვენ მომავალზე უნდა ვიფიქროთ, ჩვენ ერთად უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ქვეყნის წინსვლა და აღმშენებლობა“,** — წერს ხაბაზი.

***„ინტერპრესნიუსი“***

## „სააკაშვილი როგორც კი ძალას მოიკრებს, არაპროგნოზირებადი ხდება!“



ფილოსოფოსისა და ექსპერტის, ზაზა ფირალიშვილის განცხადებით, როდესაც კოჰაბიტაციის მოთხოვნა საზოგადოებიდან არ მოდის და ყოფილი ხელისუფლების მიმართ ხალხში ისევ რევოლუციური განწყობაა, მხოლოდ პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ბოლოდროინდელი განცხადებები რეალური კოჰაბიტაციის წინაპირობა ვერ იქნება.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას ფირალიშვილმა განმარტა, პრეზიდენტის მიერ კომპრომისებზე წასვლის შეთავაზება, სავარაუდოდ, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარმა ინციდენტმა განაპირობა. მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, თანამშრომლობის სურვილი პრემიერმაც გამოთქვა, დარწმუნებით იმის თქმა, რომ ბიძინა ივანიშვილი მიიღებს სააკაშვილის შეთავაზებას პრეზიდენტის რეზიდენციაში მისვლასთან დაკავშირებით, რთულად სათქმელია.

**„ის, რომ პრეზიდენტმა ბიძინა ივანიშვილი თავისთან მიიწვია და ნეიტრალურ ადგილზე შეხვედრა არ შესთავაზა, შესაძლოა, ეს გარემოება დიალოგის გასამართად ერთგვარ დაბრკოლებადაც იქცეს. ქართულ პოლიტიკაში მსგავსი დეტალები გარკვეულ როლს თამაშობს. წინასწარ იმის თქმა ძნელია, თუ რამდენად დასთანხდება ბიძინა ივანიშვილი პირისპირ დიალოგის დაწყებას, როცა თვითონ ხალხში არ არის ამის სურვილი, რადგან ჯერ კიდევ რევოლუციური განწყობაა შემორჩენილი“,** – აღნიშნა ექსპერტმა.

ფირალიშვილის განმარტებით, 8 თებერვლის ინციდენტის დროს პრეზიდენტი მიხვდა, რომ ის ვერ ახერხებს თავისი მხარდამჭერების მობილიზებას, რადგან ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მისი მხარდამჭერები მხოლოდ რამდენიმე კაცით შემოიფარგლა.

**„გიგი უგულავა რადიკალურად განსხვავებული მოწოდებებით გამოდიოდა. ის საუბრობდა ასევე, სისხლისღვრის საშიშროებაზე, ძალადობაზე, პროვოკაციაზე, დაპირისპირებაზე, თუმცა მისი ჩათვლით, ამ თემებზე განცხადებებს აკეთებენ ისეთი ადამიანები, რომლებიც პირდაპირ კავშირში არიან 7 ნოემბრის და 26 მაისის მოვლენებთან. ამიტომ, მოწოდებებს ფასი უკვე აღარ აქვს, ხალხის ნდობის მანდატი მთლიანად ამოწურეს. ამასთან, ელჩებმა საკმაოდ ნეიტრალური პოზიცია დაიკავეს, ძალადობა დაგმეს, მაგრამ პრეზიდენტის სურვილის მიუხედავად, მისი მხარე არ დაიკავეს. საბოლოოდ, სააკაშვილი მიხვდა, რომ თამაშის წესი უნდა შეეცვალა და კომპრომისებზე წასვლა შესთავაზა. პრემიერმაც იგივე განწყობით უპასუხა, თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ საქმე გვაქვს ადამიანთან, რომელიც ერთ დღეს თუ მშვიდად გვაჩვენებს თავს, როგორც კი პატარა ძალას მოიკრებს, ჭირვეული და არაპროგნოზირებადი ხდება. ამიტომ ძნელია, ენდო ასეთ პიროვნებას და წინასწარ განჭვრიტო, შედგება თუ არა მოლაპარაკებები საკონსტიტუციო ცვლილებებზე“,** – განცხადა ზაზა ფირალიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ, პრეზიდენტის მიერ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა. პრემიერმა თავის განცხადებაში ბიბლიოთეკასთან მომხდარი ძალადობა დაგმო.

**„პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი პოლიტიკური გუნდი მზადაა, მხარი დაუჭიროს იმ კონსტიტუციურ ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც, პარლამენტის მონაწილეობის გარეშე ახალი მთავრობის შექმნა შეუძლებელი გახდება. ახლა საჭიროა სიტყვიდან საქმეზე გადასვლა, რათა გაჩნდეს ნდობა მისი ამ და სხვა სიტყვებისადმიც. შესაბამისად, ველით ამ განცხადების დადასტურებას საპარლამენტო უმცირესობის მხრიდან. მე მზად ვარ, პრეზიდენტთან და მის პოლიტიკურ გუნდთან ურთიერთობისთვის“,** – ნათქვამია პრემიერის განცხადებაში.

ივანიშვილის ამ განცხადებას პრეზიდენტი გამოეხმაურა და პრემიერი და მისი გუნდი ორშაბათს, დიალოგის გასამართად თავისთან მიიწვია.

*„მედიანიუსი“*

# რეალურად დაასაქმებს თუ არა ახალი ხელისუფლება 65 წლამდე ასაკის ადამიანებს



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

**ხელისუფლება ახალი ინიციატივით გამოდის და დაქირავებულთა ასაკობრივ ზღვარს 65 წლამდე ზრდის, რაც იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან, დამქირავებელი თანამშრომელს სამსახურიდან მხოლოდ იმის გამო, რომ მან 40-ს, 50-ს ან 60 წელს გადააბიჯა, ვეღარ დაითხოვს. ეს, ერთი მხრივ, უდავოდ საჭირო და, როგორც იტყვიან, სასიცოცხლოდ აუცილებელი ინიციატივაა, მაგრამ მეორე მხრივ, ჩნდება ლოგიკური კითხვა: არსებობს თუ არა რეალური შანსი, ადამიანები, რომელთა ასაკობრივი ზღვარიც 65 წელს არ აღემატება და რომლებიც ნაციონალურმა მოძრაობამ თავის დროზე შინ გაუშვა, დასაქმდნენ?**



## „ახალგაზრდები, თავიანთი მენეჯერული აზროვნებით, ნამდვილი კრეტინები არიან!“

ნაციონალურმა მოძრაობამ, თავისი მმართველობის პერიოდში, 40 წელს გადაცილებული ადამიანები, რბილად რომ ვთქვათ, „ჩამოწერა“. დღეს ეს „ჩამოწერილები“ იმ ასაკში არიან, რომელ ასაკსაც ბიზნესში „ოქროს ფასი“ აქვს — ნებისმიერმა ბიზნესმენმა იცის, რომ 40-60 წლის პროფესიონალი ფასდაუდებელი განძია. ამიტომაც, განვითარებული ქვეყნის ბიზნესმენსა და მეწარმეს აზრად არ მოუვა, რომ სამსახურიდან 45 ან 55 წლის პროფესიონალი მხოლოდ იმის გამო დაითხოვოს, რომ მის ნაცვლად 22 წლის გამოუცდელი ახალგაზრდა დაასაქმოს. მოკლედ, დღეს ეს თემა საქართველოში სერიოზული პრობლემაა და სწორედ ამ ასაკის ადამიანები სვამენ მარტივ შეკითხვას: რა შანსი აქვთ ახალი ხელისუფლების პირობებში, რომ აუცილებლად დასაქმდებიან?

**„ნაციონალთა“ პარტიული ბოსების ცოლებით, სიძეებით, დედამთილ-მამამთილებით, სიდედრ-სიმამრებით, ცოლის დებითა და ცოლის დების საყვარლებით გამოტენილი ბიზნესოფისები და ქვეყანა, რომელსაც ყველა „სიყვარულმა“ უღალატა**

**„ეს საკმაოდ გლობალური პრობლემა წინა ხელისუფლების 9-წლიანი მზაკვრული პოლიტიკის შედეგია — „ნაციონალებმა“ ადამიანებს დასაქმების პერსპექტივა ხელოვნურად მოუსპეს და აიძულეს, ქვეყანა დაეტოვებინათ. ამ მზაკვრული და კარგად გათვლილი პოლიტიკის გამოსწორება მხოლოდ დეკლარაციის დონეზე არ შეიძლება. რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი უნდა გავითვალისწინოთ: პირველი — ხელისუფლების საშინაო პოლიტიკა ანუ რამდენად კანონდაქვემდებარებულნი ვიქნებით. მეორე — საქართველო რამდენად დემოკრატიული ქვეყანა, საზოგადოებრივი ინსტიტუტები კი, არასამთავრობო სექტორი მყავს მხედველობაში, საზოგადოების შემადგენელი ნაწილი იქნება. ამ ორგანიზაციების უმრავლესობა გარედან ფინანსდება და საზოგადოებრივ ინტერესებს არ გამოხატავს და, შესაბამისად, არც პერსპექტივა აქვს. მესამე — რამდენად შევძლებთ საბაზრო ეკონომიკის აგებას და გვექნება თუ არა კონკურენტული გარემო, რომლის გარეშეც საბაზრო ეკონომიკა არ არსებობს. მეოთხე — იმისთვის, რომ ადამიანის ნიჭი და უნარი გამომჟღავნდეს, შესაბამისი გარემო უნდა ჰქონდეს, ანუ ხელისუფლება ანონიმური თამაშის წესებს უნდა ამკვიდრებდეს და მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, დასაქმების მაძიებელი ადამიანი ხელისუფლების წარმომადგენლის ბიძაშვილ-მამიდაშვილია, სიძეა თუ მეგობარი. საქართველოში იმიტომაა უბედური მდგომარეობა, რომ ნიჭიერი, პროფესიონალი, წესიერი, პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი შეგნებულადაა იგნორირებულია — წინა ხელისუფლებისთვის ასეთი ადამიანი საშიში ფენომენი იყო. „ნაციონალებს“ მხოლოდ დეკლარირებული, ლუმპენიზირებული, მათხოვრადქცეული ადამიანი სჭირდებოდათ, რომელიც 200 ლარის გამო, მზად იქნებოდა, ყველა ფუნქცია შეესრულებინა. ამდენად, სოციალური დაკვეთა ნიჭიერ, პროფესიონალ ადამიანზე უნდა გაჩნდეს, თუმცა ახალ ხელისუფლებას ჯერჯერობით, არაფერი გაუკეთებია, რომ ამ მიმართულებით განვითარდეს, პირიქით, მისი საკადრო პოლიტიკა, ყველაზე ცუდ ვარიანტში, საშინელი ნეპოტიზმია და მეტი არაფერი“,** — ამბობს „ვერსიასთან“ საუბრისას საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ დამოუკიდებელი ანალიტიკოსი დემურ გიორხელიძე.

ამა თუ იმ პროფესიონალზე მოთხოვნა, როგორც წესი, სოციალური დაკვეთით ჩნდება. თუკი ქვეყანაში კონკურენტული გარემოა, მეწარმე-ბიზნესმენისთვის მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი წლისაა ადამიანი, რომელიც საკუთარ საწარმოში უნდა დაასაქმოს. ბიზნესმენისთვის მთავარი დასაქმებულის შესაძლებლობებია, რომლითაც კონკურენტებს უნდა აჯობოს.

**„ქვეყანაში ნულოვანი კონკურენციაა, მსხვილი ბიზნეს-ჯგუფები კი, ხელისუფლების მიერ არიან ხელდასხმულნი და ინტერესი არ აქვთ, ნიჭიერი ადამიანები ეძებონ. ამიტომაც, ოფისები პარტიული ბოსების ცოლებით, სიძეებით, დედამთილ-მამამთილებით, სიდედრ-სიმამრებით, ცოლის დებითა და ცოლის დების საყვარლებითაა გამოტენილი. ამ მარაზმულ სიტუაციაში პრობლემა ისაა, რომ ადამიანი, რომელიც 45-50 წლისაა, რაც პროფესიონალიზმის თვალსაზრისით, ფანტასტიკურად ძლიერი ასაკია, წინა ხელისუფლებამ უვარგისად გამოაცხადა, თუმცა ხალხი ნელ-ნელა მიხვდა, რომ ყველაფერი მასზეა დამოკიდებული და 2012 წლის 1 ოქტომბერს საკუთარი არჩევანი დააფიქსირა. თუ ახალი ხელისუფლება ადამიანს ისევ უპერსპექტივოს გახდის, მაშინ ეს ხელისუფლებაც იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდება, როგორშიც ნაციონალური მოძრაობა და მისი ლიდერები არიან“,** — მიიჩნევს გიორხელიძე.

დემურ გიორხელიძის თქმითვე, ქვეყანაში ადამიანის უფლებები, მათ შორის, მუშაობის უფლებაც დაცული უნდა იყოს. ამასთან, თუ ქვეყანაში თავისუფალი, ამბიციური საზოგადოება და, ასევე, ამბიციური ბიზნეს-ჯგუფები, რომლებიც საერთაშორისო ბაზრების ათვისებაზე იქნებიან ორიენტირებულნი, არ იარსებებენ, საშუალო ასაკს გადაცილებულ პროფესიონალთა დასაქმება კვლავ პრობლემა იქნება:

**„ახალი ხელისუფლება უნდა ჩამოყალიბდეს და გაარკვიოს, არის თუ არა ფასეული ადამიანი, რომელმაც ის ხელისუფლებაში მოიყვანა, თუ რაკილა კაბინეტებში შევიდნენ, ახლა უკვე ნათესავ-მეგობრების, ბიძაშვილ-მამიდაშვილებისა და საყვარლების გარდა, აღარავინ არსებობს?!“**

**„50 წლის ადამიანი ახალგაზრდაა და ამ ასაკის ადამიანის დაწუნება მხოლოდ სიბრიყვე კი არა, სრული აზრობრივი მარაზმია, რადგან ახალგაზრდები, თავიანთი მენეჯერული აზროვნებით, ნამდვილი კრეტინები არიან. მათ მხოლოდ ერთი რამ სჭირდებათ — ხელისუფლებაში ახლობელი ჰყავდეს, რადგან შესყიდვებზე ბიუჯეტიდან თანხები მიიღონ და მერე, „ატკატები“ აკეთონ. ვფიქრობ, ახალი ხელისუფლება უნდა ჩამოყალიბდეს და გაარკვიოს, არის თუ არა ფასეული ადამიანი, რომელმაც ის ხელისუფლებაში მოიყვანა, თუ რაკილა კაბინეტებში შევიდნენ, ნათესავ-მეგობრების, ბიძაშვილ-მამიდაშვილებისა და საყვარლების გარდა, აღარავინ არსებობს?! მენტალური რევოლუციის პრობლემამდე მივდივართ, „ვარდებისა“ და სხვა რაღაცების კი არა, მენტალური რევოლუცია გვჭირდება! ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად პროგრესული ხელისუფლება გვეყოლება, ხელისუფლება კი პროგრესული მაშინაა, თუ ზუსტად ვიცით, დღეს რას ფიქრობს, აკეთებს და არა — ხანგრძლივ პერსპექტივაში. საკმაოდ უხეშად ვსაუბრობ და ასეც უნდა იყოს, თუ ვინმე განაწყენდება და დარწმუნებული ვარ, ჩემი პოზიციის გამო, ბევრი გამინაწყენდება, მზად ვარ, ქუჩაში არ მომესალმონ. ჩვენ ან გავტეხთ სიტუაციას და მივიღებთ ნორმალურ ქვეყანას, სადაც ადამიანი დაფასდება, ან იგივე წრეზე წავალთ უკვე მეხუთედ! სამწუხაროდ, არ ვუკვირდებით იმ საზიზღარ შეკითხვას, ახლა რომ დამისვით: რა ეშველება იმ 45, ან 50 წლის ადამიანებს, რომლებიც საკუთარ სახელმწიფოში, დანაშაულებრივმა ხელისუფლებამ, არაფრისმაქნისებად აქცია? როგორც ჩანს, ამ საშინელების გააზრება არ შეგვიძლია, თორემ ასე მშვიდად არ ვიქნებოდით. თუ გვინდა, ფასეულობები დავიცვათ, ვაჟკაც ერად უნდა ვიქცეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ საკუთარ ხელისუფლებას ვაიძულოთ, ითანამშრომლოს ამ ხალხთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხი ხელისუფლებას კისერს მოსტეხს“.**

მაინც, რას ნიშნავს ახალი ხელისუფლების ზემოხსენებული ინიციატივა? დადგა თუ არა ქვეყანაში დრო, როცა 40-ს, ან 50 წელს გადაცილებული ადამიანი შეავსებს CV-ს, ან დაწერს განცხადებას და შეძლებს, ვთქვათ, საბავშვო ბაღში მომვლელად თუ კომპანიაში დამლაგებლად დაიწყოს მუშაობა? საქართველოში თითქმის არ არსებობს ოჯახი, სადაც ეს პრობლემა, რეალურად, არ დგას — ოჯახების უმეტესობა თავს მხოლოდ საზღვარგარეთ სამუშაოდ წასულ ახლობელთა მიერ გამოგზავნილი ფულით ირჩენს.

**„ვფიქრობ, ახალ ხელისუფლებას ეს პრობლემა ფორმალურად არ წამოუწევია და რეალურად აპირებს სასიკეთოდ გადაწყვეტას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ადამიანები სასიკეთო ცვლილებებს ვერ იგრძნობენ, ანუ ვერ დაინახავენ, რომ შრომა საკუთარი ნიჭისა და უნარის შესაბამისად შეუძლიათ, ყველაფერი ცუდად დამთავრდება. ხელისუფლება თითოეულ ორგანიზაციას ჯოხით ხელში ვერ დაადგება, რამდენი 40-50 წელს გადაცილებული მიიღო სამსახურში. ამ ხალხის დასაქმება საჭიროებამ უნდა გააჩინოს, თუმცა ვფიქრობ, საზოგადოებამ უნდა იაქტიუროს და ხელისუფლებას დაანახოს, რომ საკუთარ ქვეყანაში შრომა უნდა. არ შეიძლება, პოლიტიკაში ვინმე გიყვარდეს, ეს სიბრიყვეა, პოლიტიკაში პატივს უნდა სცემდე იმ ადამიანს, რომელიც იცი, საქმეს წაადგება. თუ სიყვარულის დონეზე დავრჩებით, კისერს კიდევ ერთხელ საშინლად მოვიტეხთ, რადგან აქამდე ქართველს ყველა „სიყვარულმა“ უღალატა! თუ ადამიანები შვილების მომავალზე ფიქრობენ, ამაზე ხელისუფლებასაც მიანიშნებენ და თუ ხელისუფლება ამ მინიშნებას ვერ გაიგებს, ხალხი ქუჩაში გამოვა და, კონსტიტუციური უფლების ფარგლებში, პროტესტს გამოხატავს“,** — მიიჩნევს დემურ გიორხელიძე.



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

# „საკონსტიტუციო ცვლილებისთვის „ოცნებას“ უკვე 108 კაცი გვყავს!“

## ბიძინა გუჯაბიძე არ გამორიცხავს, რომ პარლამენტმა სააკაშვილის იმპიჩმენტი დაიწყოს



**ევაჭრება თუ არა ივანიშვილის უმრავლესობა სააკაშვილის უმცირესობას და რამდენ „გადმობირებულ“ ხმას ითვლის „ოცნების“ საკონსტიტუციო შეთავაზება, რას ფიქრობენ უმრავლესობის ლიდერის, დავით საგანელიძის მიერ „ჩანერგილებზე“ გაკეთებულ განცხადებაზე კოალიციაში შემავალი სხვა პარტიები და რომელ პარტიაში რამდენი „აგენტია“ აღმოჩენილი? — „ვერსიის“ კითხვებს „კონსერვატორი“ ბიძინა გუჯაბიძე პასუხობს.**

**— ბატონო ბიძინა, დავით საგანელიძემ განაცხადა, მხოლოდ ხონში კი არა, აბაშაში, ადიგენსა და სხვა უამრავ რაიონში ჩვენი პარტიები აგენტებით იყო სავსეო. ადიგენში არჩევნები „ჩანერგილების“ გამო წააგეთ?**

— არ ვიცი, საგანელიძემ ადიგენზე ასე რატომ თქვა, ალბათ, არასრული ინფორმაცია აქვს. ადიგენში ნაციონალურ მოძრაობას რაღაც ინტერესები შესაძლოა, მართლაც ჰქონდა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ სადმე ვინმე „ჩანერგეს“. უბრალოდ, ჩილინგარაშვილმა და მისმა ბანდამ არჩევნები ყალბი პასპორტებით, დაშინებითა და შანტაჟით გააყალბეს! ამის უამრავი ფაქტი გვაქვს და, როგორც ვიცი, გამოძიებაც დაწყებულია.

**— ზურაბ ჩილინგარაშვილი ახლა დეპუტატია და გამოძიება მის წინააღმდეგ დაწყებულია?**

— ჩილინგარაშვილი „ნაციონალების“ მაჟორიტარია ადიგენიდან. ეს კაცი ხალხს სახლში დღესაც უვარდება, რაიონის საკრებულოში კი, დეპუტატებს ცალკე ფრაქციის გაკეთების საშუალებას არ აძლევს — ისევ აშინებს, აშანტაჟებს და ეუბნება, მე თუ დამიჭერენ, ხომ ვიცი, თქვენ რა საქმეებიც გაქვთ გაკეთებული, ყველას უკან გაგიყოლებთო. იძულებული ვარ, სამართალდამცავ ორგანოებს მივმართო, ეს პოლიტიკური შანტაჟისტი გააჩერონ!

ისე, რა „ჩანერგილებზეა“ საუბარი? როცა ადიგენში ჩავედი, იქ ერთი პარტიაც არ ფუნქციონირებდა და ვინ, სად უნდა ჩაენერგათ?! შეიძლება, ასეთები სადღაც იყვნენ, მაგრამ გულწრფელად ვამბობ: ასეთს ადიგენში ვერ ვხედავ!.. 17 ოჯახთან მქონდა მოლაპარაკება, რომ ჩვენთვის საოფისე ფართი მოექირავებინა, მაგრამ „ნაციონალები“ ფართის მოცემას ყველას უკრძალავდნენ და, ბოლოს, იძულებულნი გავხდით, პოლიციის შენობის გვერდით კარავი გაგვეშალა და არჩევნების დასრულებამდე, ასეთ საველე პირობებში გვემუშავა.

**— მაშინ, გაუგებარია, საგანელიძემ ადიგენი რატომ ახსენა. ისე, ბატონო ბიძინა, იმ სიაში, რომელიც კოალიციის ლიდერებმა შს მინისტრს „დასასჯელად“ გადასცეს, თქვენი შტაბიდან და, საერთოდ, „კონსერვატორებიდან“ რამდენი „ჩანერგილია“?**

— არ ვიცი, საგანელიძემ ვის რა კონკრეტული ინფორმაცია მისცა, მაგრამ ჩემთან საუბარში კონკრეტული არაფერი უთქვამს, არც გვარები უხსენებია. თუ სია არეულობის შემომტანთა გამოსავლენადაა გადაცემული, ამას მეც მივესალმები. არეულობა და ვითარების დაძაბვა დასჯადი ქმედებაა, მაგრამ პირდაპირ ვამბობ, თუ ადიგენში „ჩანერგილებს“ შს სამინისტრო ეძებს, ეს შეცდომაა და საგანელიძის განცხადებებს ჩვენს პარტიაზე ვერ მივიღებ, ვიდრე არ დადასტურდება, იყო თუ არა ვინმე, მართლაც, „ჩანერგილი“. ყველაფერი თავად ქართულმა ოცნებამ უნდა გაარკვიოს — „ჩანერგილები“ შიდაკოალიციურმა სტრუქტურამ უნდა გამოავლინოს და არა — შს სამინისტრომ, რომლის ფუნქციაც პარტიებს შორის მტყუან-მართლის გარჩევა არაა!

**— მტყუან-მართლის გარჩევას ნურც ჩვენ დავიწყებთ, მაგრამ რამდენად სწორი იყო კოალიციის პოზიცია, როცა პრეზიდენტს პარლამენტში სიტყვით გამოსვლის საშუალება არ მისცა?**

— ქვეყანას დამნაშავე პრეზიდენტი მართავს — სააკაშვილი წაგებული ომის, ახალგაზრდების ხოცვის, სასამართლო სისტემის დაქვემდებარების ავტორია.

**— თუ სააკაშვილს პრეზიდენტად აღიარებთ, მაშინ რატომ არ მოუსმინეთ პარლამენტში და თუ არ აღიარებთ, მაშინ რატომ არ იწყებთ იმპიჩმენტის პროცედურას?**

— საქართველოს ლეგიტიმური პრეზიდენტი არ ჰყავს, რადგან ხალხს სააკაშვილი იმ ვადით არ აურჩევია, რა ვადაზეც მას აქვს პრეტენზია. დიახ, მისი უფლებამოსილება 5 იანვარს შეწყდა, მაგრამ ამის გამო, პოლიტიკური რყევების დაწყება არასწორად მიმაჩნია. სიტუაციის გამწვავებას ვერიდებით, რადგან არ ვიცით, რა დესტრუქციული იდეა დევს სააკაშვილის თავში. ჩვენ ხალხისა და ქვეყნის ინტერესებიდან ამოვდივართ, რომელსაც პოლიტიკური რყევების გადატანა აღარ შეუძლია! სწორედ ამიტომ ვერიდებოდით მიშასთვის იმპიჩმენტის მოწყობას, თუმცა ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, რა ფორმით გაუშვებს სააკაშვილს. ჩვენ იმპიჩმენტის პროცედურის წამქეზებლები და მომწოდებლები ვერ ვიქნებით, მაგრამ თუ სააკაშვილი ყველა ზღვარს გადალახავს, არ გამოვრიცხავ, კოალიციამაც თქვას, მეტის მოთმენა აღარ შეიძლებაო და სააკაშვილის იმპიჩმენტი დაიწყოს!

**— მაინც, რას ჩაუთვლის კოალიცია სააკაშვილს „ზღვრის გადალახვად“?**

— შესაძლოა, დაკარგული ძალაუფლების დაბრუნება მოისურვოს, თუმცა მიშას საფუძველი აქვს გამოცლილი, ისეთი ქმედებები ჩაიდინოს, რისი გაკეთებაც ცოტა ხნის წინ შეეძლო.

**— მაგრამ თქვენ არ გყავთ საკონსტიტუციო უმრავლესობა. ისე, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ სწორედ ამაზე ვაჭრობდით, როცა სააკაშვილს უთხარით, პარლამენტში სიტყვით მანამ ვერ გამოხვალ, სანამ ჩვენს კანონპროექტს ხმას შენი უმცირესობის წევრებიც არ მისცემენო...**

— ჩვენ არ ვვაჭრობთ და ერთ „ნაციონალსაც“ კი, ვინც ამ კანონპროექტს ხმას მისცემს, ცოდვების გამოსასყიდად ინდულგენციას არ მივცემთ. რატომ გგონიათ, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ გვყავს?!

**— მთელი პარლამენტი, მათ შორის, „ოცნებაც“ ამბობს, რომ მთავარი მომლაპარაკებელგადამბირებლები სწორედ „კონსერვატორები“ იყავით...**

— მიხარია, ჩვენზე ძალიან დიდი წარმოდგენა რომ ჰქონიათ. მაგრები რომ ვართ, ვიცით, მაგრამ ამ საქმეში არ ვმონაწილეობთ! პირადი კონტაქტები და პიროვნული ურთიერთობები ყველას გვაქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, კოალიციისგან, ფრაქციისგან, ან პარტიისგან დავალება მივიღეთ. საერთოდ, არ მგონია, ვინმე ვინმეს იბირებდეს, უბრალოდ, შექმნილი სიტუაცია თვითონ განაპირობებს „ნაციონალებიდან“ ხალხის გამოდინებას საკონსტიტუციო ცვლილების მხარდასაჭერად. მეტსაც გეტყვით, ჩვენ უკვე 108 კაცი გვყავს!

> **„იცით, რა კარგ განწყობაზე აყენებს ჩოხა?! — მაღლდები და გგონია, რომ ქართველი ხარ, კაცი ხარ, ცუდ საქციელს არ ჩაიდენ და ეს სტიმულს გაძლევს. იმ უბადრუკ „ნაციონალებზე“ არაფერს ვამბობ, ვინც ჩვენს კანონპროექტს დასცინა, მაგრამ ვიცით უმრავლესობის ფრაქციების ლიდერების, კომიტეტების თავმჯდომარეების, მათ შორის, მანდილოსანი დეპუტატების აზრი და ამ იდეას ყველა მიესალმება... როცა ჩოხის მატარებელი ხარ, ვერაფრით დაუჭერ მხარს რაღაც ანტიეროვნულს, თუნდაც — კანონპროექტს“**

**— დაასახელეთ ეს ხალხი, თორემ რიცხვებზე საუბარი უკვე არასერიოზულია!**

— ვინ უშიფრავს მეტოქეს თავის პოტენციურ მომხრეებს? ვისაც ამ გვარების დასახელება უნდა, ის მიშას მოგზავნილია. საკუთარი თავისა და კოალიციის მტერი ხომ არ ვარ ან იმ ხალხს რას ვერჩი, ვინც ხმის მიცემას აპირებს?! სამარესავით დუმს ყველა, როცა რაღაც იცის, რაც მის საქმეს დააზარალებს და რა ვქნა ახლა, სამარიდან ამოვხტე?! ამ პირთა დასახელება კარტის გახსნას ნიშნავს სააკაშვილისთვის!

**— ეს მაშინ, როცა „ნაციონალი“ დეპუტატები „ოცნების“ მხრიდან ზეწოლაზე ალაპარაკდნენ, მაგალითად, მიშა მახარაძე. გაუგებრობაა მარიკა ვერულაშვილზეც...**

— ჯერ ერთი, ვინც გამოდის და ამბობს, გვდევნიან და „გვავერბოვკებენო“, ჩვენსკენ გადმომსვლელი ისედაც რომ არაა, ხომ ხვდებით? საწყალი მიშა მახარაძე მეცოდება, დიდ გაუგებრობაშია მოხვედრილი. ხნიერი კაცია და არაფერს ვაკადრებ, თუმცა მეტი სერიოზულობა მართებდა და აშკარად ტყუილი თქვა! რაც შეეხება მარიკა ვერულაშვილს, მის მეუღლეზე ზეწოლა ნამდვილად იყო, ოღონდ წინა ხელისუფლების მხრიდან, თუმცა ისე ახლოს არ ვიცნობ, რამე პირადად მეკითხა.

**— ირაკლი ალასანიას ხომ იცნობთ პირადად. მეტიც, მის პარტიას ყველაზე მეტად სწორედ „კონსერვატორები“ ემეგობრებით. ჰოდა, გეცოდინებათ, რატომ ესხმის თავს პრემიერი, უმრავლესობის ლიდერი და კოალიციის ზოგიერთი პარტია.**

— დიახ, ალასანიას პარტიისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას გიდასტურებთ! უბრალოდ, კოალიციაში ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი მიდის, პრინციპით — მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო. მას ბატონმა ბიძინამ შენიშვნა მისცა და ალასანიამაც გაითვალისწინა, მეორე დღეს კი, ძალიან მეგობრული საუბარი ჰქონდათ დახურულ კარსმიღმა, როცა პრემიერი მას სამინისტროში ესტუმრა. ალასანია ხელწამოსაკრავი პიროვნება არაა, უბრალოდ, გეტყვით, რაც მოხდა: როცა კოალიციაში უმრავლესობა ფიქრობს, რომ ქვეყანა მართვის საპარლამენტო მოდელზე უნდა გადავიდეს, ალასანიამ გამოაცხადა, მე მხარს საპრეზიდენტო მმართველობას ვუჭერო. მან დისონანსი შემოიტანა კოალიციაში და ივანიშვილისგანაც შენიშვნა სწორედ ამის გამო მიიღო.

**— ქვეყნის მოწყობის განსხვავებული შეხედულების გამო, შესაძლოა, ალასანიამ კოალიცია დატოვოს?**

— გამორიცხულია, ამის გამო, ალასანიამ კოალიცია დატოვოს. ასეთი რყევებისთვის ჯერ მზად არც ქვეყანაა და არც — კოალიცია! თუ ვინმე კოალიციიდან გავა, მის ადგილს სხვა, რა თქმა უნდა, სიხარულით დაიკავებს, მაგრამ ეს რყევები ქვეყნისთვის საზიანო აღმოჩნდება და სასიხარულო არავის არაფერი ექნება. ამ ნაბიჯს ახლა მარტო ირაკლი კი არა, არც ერთი ჭკუათმყოფელი პარტია არ გადადგამს!

**— ბატონო ბიძინა, ამ პოლიტიკურ ომებში რა დროს ჩოხები იყო — ეროვნული სამოსის პარლამენტში ტარების ინიციატივამ თქვენს კოლეგებშიც კი არაერთგვაროვანი აზრი გამოიწვია.**

— ჩოხის დრო ყოველთვისაა! ჩვენი პარტიის წევრები პირველ სხდომაზეც ჩოხით მივედით. იცით, რა კარგ განწყობაზე აყენებს ჩოხა?! — მაღლდები და გგონია, რომ ქართველი ხარ, კაცი ხარ, ცუდ საქციელს არ ჩაიდენ და ეს სტიმულს გაძლევს. იმ უბადრუკ „ნაციონალებზე“ არაფერს ვამბობ, ვინც ჩვენს კანონპროექტს დასცინა, მაგრამ ვიცით უმრავლესობის ფრაქციების ლიდერების, კომიტეტების თავმჯდომარეების, მათ შორის, მანდილოსანი დეპუტატების აზრი და ამ იდეას ყველა მიესალმება. უბრალოდ, რეგლამენტის მეხუთე მუხლის მერვე პუნქტში, სადაც წერია, რომ პარლამენტის წევრთა ჩაცმულობა საპროტოკოლო-საქმიანი უნდა იყოს, ჩვენ სიტყვა „ეროვნულს“ ვამატებთ — ესაა და ეს. ინიციატივის მიზანი კი, ეროვნული ფასეულობების პოპულარიზაციაა. როცა ჩოხის მატარებელი ხარ, ვერაფრით დაუჭერ მხარს რაღაც ანტიეროვნულს, თუნდაც — კანონპროექტს.

**— ამ კანონის მიღებაც „ნაციონალების“ გადმოსაბირებლად გინდათ?**

— იქნებ, რომელიმე მათგანს, მართლაც, გაუჩნდეს სურვილი და ძველი გზა და მეთოდები მიატოვოს! კარგი იქნება, ნაციონალურმა მოძრაობამ ისე იოცნებოს, როგორც ჩვენ ვფიქრობთ!

## ვერსიანიუსი

### ილია მეორე: „ის უსიამოვნება, რომელიც ამ დღეებში მოხდა, მეტად სამწუხაროა“



**„ის უსიამოვნება, რომელიც ამ დღეებში, პრეზიდენტის გამოსვლის წინ მოხდა, მეტად სამწუხაროა“,** — ბრძანა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას. პატრიარქი დარწმუნებულია, რომ ყველაფერი კარგად იქნება და საქართველოში მშვიდობა დაისადგურებს.

**„ის უსიამოვნება, რომელიც ამ დღეებში, პრეზიდენტის გამოსვლის წინ მოხდა, მეტად სამწუხაროა, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ბოროტება იკურნება სიყვარულით. არ შეგეშინდეთ ამ მოვლენების, ეს ყველაფერი გაივლის და საქართველო სამშვიდობოზე აუცილებლად გავა“,** — ბრძანა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

### თედო ჯაფარიძე: „სააკაშვილმა კარგი განცხადებების შემდეგ, შეიძლება სრულიად სხვა ნაბიჯები გადადგას“

**„სააკაშვილმა კარგი განცხადებების შემდეგ, შეიძლება სრულიად სხვა ნაბიჯები გადადგას“,** — განაცხადა ჟურნალისტებთან პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ პრეზიდენტის განცხადების შეფასებისას და აღნიშნა, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილება ცუდი არ არის.

**„რეალურ შედეგებს უნდა დაველოდოთ. სააკაშვილს უყვარს კარგი განცხადებების გაკეთება და ამ კარგი განცხადებების შემდეგ მან შეიძლება, სრულიად სხვა ნაბიჯები გადადგას“,** — განაცხადა თედო ჯაფარიძემ.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*



## ჩიორა თაქთაქიშვილი: „ნანა კაკაბაძე რომ ვყოფილიყავი, რა თქმა უნდა, ყველას ვაგინებდი!“



ნანა კაკაბაძე ცდილობს, საზოგადოება დააჯეროს, თითქოს, მან შეაგინა აქციის მონაწილეს, — ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრი, დეპუტატი ჩიორა თაქთაქიშვილი სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“, საკუთარ გვერდზე წერს.

**„ნანა კაკაბაძე არ ეშვება ჟაბა იოსელიანის „გამპრავებლობის“ მიზნით „კა-გე-ბე“-ში ნასწავლ უნიჭო მეთოდებს. უნდა, საზოგადოება დააჯეროს, რომ თურმე, მე შემიგინებია ვიღაც არაკაცისთვის! ეს არის არაადამიანობა! ამათ თუ ეს გაუვიდათ, ხვალ, ყველას, ძველი მხედრიონელები და ციხეებიდან გამოშვებული კრიმინალები სახლში შეეჭრებიან, დააუთოებენ, შვილებს გაუუპატიურებენ, სახლ-კარს გადაუწვავენ, დაგაბრალებენ, რომ თურმე, თქვენი ბრალი ყოფილა, ხელგაშლილი რომ არ დახვდით ამ ავაზაკებს! ეს არ უნდა გაუვიდეთ! ამის დაუსჯელად დატოვება ნიშნავს იმას, რომ არც ერთ მოქალაქეს აღარ უნდა ჰქონდეს პოლიციის იმედი და რომ მხედრიონი, ციხიდან გამოშვებული 5 000 კრიმინალი ჯერ ოპოზიციას გაუსწორდება და მერე, თითოეულ პატიოსან ოჯახზე გადავა“!**

თაქთაქიშვილი დეტალურად განმარტავს, როგორ მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა 8 თებერვალს, ეროვნული ბიბლიოთეკის წინ:

**„განვმარტავ, ამ არაკაცმა ხელები გამიკოჭა და ისე დამარტყა სახეში მაშინ, როდესაც ძლივს წამოვდექი. მანამდე კი, სხვა ქვეყნის მოღალატე და კრიმინალმა არაკაცებმა, არაერთი შეურაცხყოფის, გინების, მუქარის, თმების ქაჩვის, ჯიკაობის შემდეგ, ხელი მკრეს და წამაქციეს. იმ მომენტში, როდესაც ამ არაკაცმა სახეში დამარტყა, მინდოდა, სერგო რატიანთან მივსულიყავი, რომელიც მე მიცავდა ამ ხროვისგან და რომელსაც, წაქცეულს, 10 არაკაცი უმოწყალოდ ურტყამდა ფეხებს. ნანა კაკაბაძე რომ ვყოფილიყავი, რა თქმა უნდა, ყველას ვაგინებდი, უშვერი სიტყვებით, რომელსაც შეჩვეულია ეს კრიმინალების ბანდა, მაგრამ ჩემთვის ყველაზე სათანადო სიტყვა ამ არსებების დასახასიათებლად, არის სიტყვა „არაკაცი“ და ამას მომავალშიც გავიმეორებ“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

# ლადო ბედუკაძე მუშაობას სასჯელაღსრულების სამინისტროში იწყებს?






რუსუდან შელია
პოლიტიკა

„ვერსიის“ კონფიდენციალური წყაროს ექსკლუზიური ინფორმაციით, „ციხეების კადრების“ ავტორი ვლადიმერ ბედუკაძე, შესაძლოა, სასჯელაღსრულების სამინისტროში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დაინიშნოს. ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ არცთუ დიდი ხნის წინ, ბედუკაძემ სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ რიტორიკული შეკითხვა „დაასტატუსა“: „როგორ ფიქრობთ, პოლიტიკა უფრო ბინძურია თუ ციხე?“

„ფრენდებმა“ ბედუკაძეს, რომელიც სასამართლომ 2-ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა, რამდენიმე რჩევა მისცეს: „არ მიჰქარო, პოლიტიკა ციხეზე უარესი ბინძური „პონტია“, „ოცნების“ გენდირექტორად კი შენ არავინ დაგნიშნავს“; „ციხე ჯოჯოხეთია, პოლიტიკა კი, ბინძური“...

რეალურია თუ არა „ვერსიის“ წყაროს ინფორმაცია? — ვიდრე ამას გავარკვეთ, შეგახსენებთ, რომ ბედუკაძემ პოლიტიკაში ჩართვის არაპირდაპირი სურვილი ბრიუსელიდან საქართველოში დაბრუნებისთანავე გამოთქვა და ერთ-ერთ საინფორმაციო სააგენტოსთან საუბრისას აღნიშნა: **„საქართველოში განვითარებულმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ყველა დაგვარწმუნა, რომ ამქვეყნად მოულოდნელი და განსაცვიფრებელი არაფერია. რამდენადაც არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არ მაქვს და მარწმუნებენ, რომ პოლიტიკა ციხეზე ბინძურია, ვცდილობ, შევხვდე პარტიის ლიდერებს, არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, თავისუფალ, საღად და ეროვნულად მოაზროვნე ადამიანებს, გავესაუბრო მათ და თუ ჩემი მოსაზრებები მათსას დაემთხვა, ნურაფერს გაიკვირვებთ“.**

რომელი პარტიის ლიდერებს ხვდება და რატომ სტუმრობს ხოლმე ბედუკაძე „გლდანის ციხეს“? — ამის გასარკვევად „ვერსია“ „ციხეების კადრების“ ავტორს დაუკავშირდა.

**„პოლიტიკური პარტიის ლიდერებს ნამდვილად ვხვდები, თუმცა არასოდეს მითქვამს, რომ ისინი „ოცნების“ წარმომადგენლები არიან. ერთადერთი, რაც დანამდვილებით ვიცი, ისაა, რომ ეს ლიდერები სააკაშვილი და მერაბიშვილი არ არიან და არც იქნებიან. მათ, შეიძლება, ციხეში შევხვდე... იმედი მაქვს, 22 თებერვალს ჩემ წინააღმდეგ აღძრული საქმის გამოძიება დასრულდება და ამის შემდეგ ჩემს მომავალ გეგმებზე საუბარს უფრო თამამად შევძლებ“,** — განაცხადა ბედუკაძემ.

რაც შეეხება სასჯელაღსრულების სამინისტროს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე შესაძლო დანიშვნას, ამ თემაზე დასმულ შეკითხვას ბედუკაძემ ღიმილით უპასუხა:

**„საინტერესოა, ვინ ავრცელებს მსგავს ჭორებს? საერთოდ, თავისუფალი ადამიანი ვარ და იმას გავაკეთებ, რასაც ამ ეტაპზე საჭიროდ ჩავთვლი და რაც მთავარია, ქვეყანას წაადგება. პოლიტიკა, სასჯელაღსრულება... აქვს ამას მნიშვნელობა?!“**

„ვერსიის“ კონფიდენციალური წყაროს ცნობით, „გლდანის ციხეში“ ბედუკაძის ვიზიტებს ერთადერთი მიზანი აქვს — ციხის სკანდალური კადრების კიდევ ერთ ავტორზე, პატიმარ ფარულავაზე ზეწოლა.

რატომ ცდილობს ბედუკაძე ფარულავაზე ზეწოლას? — წყაროს ვერსიით, გარკვეული ძალები ფარულავაზე ბედუკაძის საშუალებით ზეწოლას იმ მიზნით ანხორციელებენ, რომ ამ უკანასკნელმა თქვას, „ციხის კადრებში“ „ოცნებამ“ ირმა ინაშვილს ფული გადაუხადაო...

**„მაინტერესებს, დღეს რა სტატუსით უნდა შევიდე გლდანის ციხეში? აბსურდი და სრული სისულელეა, თითქოს ბორის ფარულავაზე ზეწოლას ვახორციელებ. იქნებ, ვინმემ გამაგებინოს, ეს როგორ უნდა მოვახერხო?“** — ამბობს ბედუკაძე.

იმის გასარკვევად, მართლა იწყებს თუ არა „ციხის ვიდეოების“ ავტორი სოზარ სუბარის უწყებაში მუშაობას, „ვერსია“ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელ ირაკლი კორძაიასაც დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა:

**„ამ ინფორმაციას ვერც უარვყოფ და ვერც დაგიდასტურებთ, რადგან კვირაა (მასალა 11 თებერვალს მომზადდა — რ.შ.) და ვერავის ვკითხავ“.**

## ვიქტორ დოლიძე პრეზიდენტის გულწრფელობაში ეჭვი ეპარება



ვიქტორ დოლიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პრეზიდენტის გამოსვლისას მისგან ბევრი ტყუილი მოისმინა, უმრავლესობას ყოველთვის ჰქონდა და აქვს სურვილი იმისა, რომ პრეზიდენტსა და მის გუნდთან დებატები წარიმართოს კონსტრუქციულ ჭრილში, იქნება ეს პარლამენტში, თუ პარლამენტსგარეთ:

**„პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თურმე, საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც მისთვის დიქტატორული უფლებამოსილებების ჩამორთმევას ითვალისწინებს, ნაციონალური მოძრაობის მხრიდან პრობლემატური არ ყოფილა. ეს კონკრეტული განცხადება და ბევრი სხვა, მაძლევს საფუძვლიან ეჭვს იმისას, მისი სიტყვების გულწრფელობაში ეჭვი შევიტანო, მაგრამ თუკი წარიმართება თანამშრომლობა და შედგება მსჯელობა ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, იქნება ეს საკონსტიტუციო ინიციატივები, ასევე, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები, ამ თვალსაზრისით, ჩვენი მხრიდან არავითარი პრობლემა არ არსებობს“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

## საქართველოში აზერბაიჯანული გაზის ექსპორტმა დაიკლო

SOCAR

აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია „სოკარმა“, 2013 წლის იანვარში, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით 1,42 მლნ ტონა ნავთობი დააექსპორტა, რაც 2012 წლის იანვართან შედარებით, 480 ათასი ტონით ნაკლებია. ამის შესახებ, ნავთობკომპანია „სოკარის“ განცხადებაშია ნათქვამია.

„სოკარის“ ინფორმაციით, 2012 წლის განმავლობაში ნავთობის ტრანსპორტირების რაოდენობა 20,199 მლნ ტონას შეადგენდა, რაც 2,77 მლნ ტონით ნაკლებია წინა წელთან შედარებით.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი 1768 კილომეტრის სიგრძისაა, მათგან 443 კილომეტრი აზერბაიჯანის, 248 კილომეტრი საქართველოზე, 1076 კილომეტრი კი თურქეთზე გადის.

*„ივერონი“*

ვერსიანიუსი

## ბობოყვათის საპრეზიდენტო რეზიდენციასთან აქციის მონაწილეებმა ცოცხები გამოფინეს



აქციის მონაწილეებმა ბობოყვათის საპრეზიდენტო რეზიდენციის შესასვლელ კარიბჭესთან ცოცხები მიამაგრეს და პლაკატები გამოფინეს წარწერით — „ძირს ვადაგასული პრეზიდენტი“. მათი განცხადებით, საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, სააკაშვილი საპრეზიდენტო რეზიდენციით აღარ უნდა სარგებლობდეს.

**„ბატონი მიხელ სააკაშვილი 20 იანვრიდან უკანონო პრეზიდენტია. გვაქვს ინფორმაცია, რომ პრეზიდენტი იმყოფება რეზიდენციაში. ვაპროტესტებთ მის აქ ყოფნას, რადგან ის კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტი აღარ არის“,** — აღნიშნა აქციის მონაწილე არჩილ ჯინჭარაძემ.

აქციის მიმდინარეობის დროს, ბობოყვათის საპრეზიდენტო რეზიდენციაში საპრეზიდენტო ესკორტის რამდენიმე მანქანა შევიდა, თუმცა უცნობია, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იმყოფებოდა თუ არა რომელიმე მანქანაში. აქციის დროს, ადგილზე იყო საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟიც.

*„ინტერპრესნიუსი“*

## „ქართული ოცნების“ აქტივისტი ქრთამის აღებაზე დააკავეს



სამართალდამცავებმა, ქრთამის აღების ბრალდებით, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფელ ბაკურციხის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული თემურ ზავრაშვილი დააკავეს. რწმუნებულის დაკავების ფაქტს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი აკაკი ოსიაშვილი ადასტურებს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, სამართალდამცავები ზავრაშვილს, ქრთამის სახით, 300 ლარის აღებაში ადანაშაულებენ. არსებული ინფორმაციით, რწმუნებულმა გორში მცხოვრებ მოქალაქეს მისცა ცნობა, თითქოს, მან შემოდგომით ყურძენი სოფელ ბაკურციხეში იყიდა და დაწურა.

შს კახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში რწმუნებულის დაკავების ფაქტზე კომენტარს ჯერ არ აკეთებენ.

თემურ ზავრაშვილი „ქართული ოცნების“ აქტივისტია. ბაკურციხის რწმუნებულად იგი ერთი კვირის წინ დაინიშნა.

*„ივერონი“*

# სად ინახება „ოცნების“ წევრთა პირადი ცხოვრების ამსახველი ამაზრზენი ფარული ვიდეოჩანაწერების ორიგინალები





რუსუდან შელია
პოლიტიკა

## რა ინფორმაციას ფლობს უშიშროების ექსპერტი და რატომ არ ინტერესდება ახალი ხელისუფლება რუსეთში დაკავებული ქართველი მზვერავის ბედით

**შს მინისტრის განცხადებით, სამინისტროს საიდუმლო არქივში ცნობილი პირების პირადი ცხოვრების ამსახველ ამაზრზენ ვიდეომასალასთან ერთად, საკუთარი საუბრის აუდიოჩანაწერებიც აღმოაჩინა. ირაკლი ღარიბაშვილის მტკიცებით, ეს კადრები არ გასაჯაროვდება — საიდუმლო არქივი განადგურდება, თუმცა საქმეზე კონკრეტული პირები დაიკითხებიან. რა მიზნით დატოვა შს ყოფილმა მინისტრმა „საიდუმლო ქეისი“ და აგრძელებს თუ არა ახალი ხელისუფლება უკანონო ფარულ მოსმენებს? — „ვერსიის“ კითხვებს უშიშროების საკითხების ექსპერტი ბესო ალადაშვილი პასუხობს.**

— საერთოდ, სპეცსამსახურების მუშაობა სხვადასხვა ოპერატიული, აგენტურული და ოპერატიულ-ტექნიკური მეთოდის გამოყენებას გულისხმობს. ოპერატიულ-ტექნიკური მეთოდის ერთ-ერთი ფორმა კი, ფარული ვიდეო და ფოტო გადაღებაა, რომელსაც კანონი მკაცრად არეგულირებს. ფარული გადაღება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დაშვებული, თუ მოსამართლის შესაბამისი ნებართვა არსებობს, თან მაქსიმალურ ვადად, ისიც განსაკუთრებულ შემთხვევებში, 48 საათი განისაზღვრება. კანონში ისიც ხაზგასმითაა მითითებული, რომ თუ ფარული მოსმენისა და ვიდეოგადაღების პერიოდში ოპერატიულმა თანამშრომელმა დაკვირვების ობიექტის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები მოიპოვა, დაუყოვნებლივ უნდა გაანადგუროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონში შესაბამისი სასჯელია გათვალისწინებული. ნაციონალური მოძრაობა ფარულ ვიდეო-აუდიო ჩაწერას კანონის ყველა პრინციპის დარღვევით ახორციელებდა, თუმცა რასაც დღეს ვხედავთ, მხოლოდ აისბერგის თავია. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, სამინისტროში ჩანაწერების „საიდუმლო ქეისს“ მიაგნეს, ვეჭვობ, ეს მასალების ძალიან მცირე ნაწილია, უმეტესობა კი, განადგურებულია ან ქვეყნიდანაა გატანილი.

**— სწორედ აქ ვაწყდებით პარადოქსს: რატომ დატოვეს „ნაციონალებმა“ კომპრომატები. სხვა თუ არაფერი, „ნაციონალთა“ შს უკანასკნელ მინისტრ ეკა ზღულაძეს, არჩევნების შემდეგ, 18 დღე ჰქონდა, ეს „საიდუმლო ქეისი“ რომ გაენადგურებინა?**

— მოდით, დავსვათ კითხვა: რეალურად ვიცით, შს სამინისტრო რამდენ ადამიანს უსმენდა? ამ უწყების სამიზნე უამრავი პირი იყო როგორც პოლიტიკიდან, ასევე — ბიზნესიდან. ამიტომ, შესაძლოა, ზღვა მასალის არსებობის გამო, იმ ოპერატიულ თანამშრომელს, რომელსაც აღნიშნული ქეისი ჩააბარეს, არქივის განადგურება, უბრალოდ, დაავიწყდა. ჩანაწერებს ეკა ზღულაძე ან ვანო მერაბიშვილი თავის კაბინეტში ხომ არ ინახავდა?! საერთოდ, სამინისტროში შესული ჩანაწერები ხარისხდება და შესაბამის საცავში ინახება.

არსებობს მეორე ვერსია, რომ ჩანაწერი შეგნებულად დატოვეს, თუმცა ამის მიზეზს ვერ ვიგებ. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ისაა, რომ „ნაციონალები“ კომპრომატებს იმ მასაზე, რომელიც არგუმენტების არარსებობის მიუხედავად, მათ მხარს დღემდე უჭერს, შესაძლოა, ახლაც იყენებენ. ოღონდ, იმ ადამიანებს არ ვგულისხმობ, რომლებსაც მათი გულით სჯერათ.

**— ბატონო ბესო, ამ ნათქვამის დასადასტურებლად, კონკრეტული ფაქტები გაქვთ ან თუ ოპოზიცია საზოგადოებას დღემდე აშანტაჟებს, შესაბამისი უწყება ამის შესახებ ინფორმირებული არაა?**

— ეს ჩემი ვარაუდია, რომლის შედეგსაც მხოლოდ დრო გვიჩვენებს. სავარაუდოდ, ამის შესახებ შს სამინისტრომ, ჯერჯერობით, არაფერი იცის. ერთდროულად იმდენად ბევრი საქმის განხილვა მიმდინარეობს, ყველა დეტალის გაკონტროლება შეუძლებელია. ამ ვითარებიდან ერთადერთი სწორი გამოსავალი ისაა, რომ შანტაჟის ობიექტი თავისი ფეხით მივიდეს პროკურატურაში და ხმამაღლა განაცხადოს, ვინ და რა მიზნით აშანტაჟებს.

**— სამინისტროში დარჩენილ „საიდუმლო ქეისს“ დავუბრუნდეთ. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ღარიბაშვილს „ოცნების“ წინააღმდეგ შეგროვილი ჩანაწერების ასლები დაუტოვეს და მიანიშნეს, რომ ნაციონალურ მოძრაობას „ოცნების“ წინააღმდეგ არაერთი კომპრომატი აქვს?**

— რა თქმა უნდა! ჯერ ერთი, მსგავსი მასალების დამუშავებისას, რამდენიმე ასლი კეთდება. მეორეც, რეალობასთან ახლოს მეჩვენება ვერსია, რომ ჩანაწერები „ოცნების“ გაფრთხილების მიზნით, მართლაც, შეგნებულად დატოვეს, აი, გიტოვებთ, მაგრამ გახსოვდეთ, ორიგინალები ჩვენ გვაქვსო! როცა უკანონო ჩანაწერების მასობრივი აღმოჩენა ხდება, დამკვეთამდე მისვლა საკმაოდ მარტივია. როგორც ვიცი, ირაკლი ღარიბაშვილი უკანონო ჩანაწერების ავტორების წინააღმდეგ საქმის აღძვრასაც გეგმავს. ერთადერთი, რაშიც ირაკლი ღარიბაშვილს არ ვეთანხმები, პარტიებში პოლიტიკური შპიონაჟის პოლიტიკას ეხება — მან განაცხადა, პარტიებში შეგზავნილი აგენტურა ჩვენთვის პრიორიტეტული არ იქნებაო, რაც ვფიქრობ, არასწორია. პიროვნების პირადი თუ კომერციული ინფორმაციის ფარულად მოპოვება სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია.

**„პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მყოფი სპეცსამსახურები უკანონო ჩაწერებს დღესაც ახორციელებენ!“**

**— რატომ გააკეთა მინისტრმა მსგავსი განცხადება ან თუ ამ მიმართულებით კომპეტენტური უწყება არ იმუშავებს, პოლიტიკური შპიონაჟის წინააღმდეგ პრევენცია რა იქნება?**

— მესმის, ახალი აღმასრულებელი ხელისუფლება ფრთხილობს, რადგან ყველა ჯოხი სწორედ მასზე ტყდება, მაგრამ ნაციონალურ მოძრაობას არ უნდა დაემსგავსოს.

**როგორც ჩანს, ღარიბაშვილი ჩაკეტილ წრეშია მოქცეული. ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში პოლიტიკური მოღვაწეობა საკმაოდ რთულია, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ მოყვარულების დონეზე ვართ — პოლიტიკოსობა პროფესიად ვერ იქცა. არადა, დღეს ქართველი პოლიტიკოსების საქმიანობით ინტერესდებიან როგორც ქართველი, ასევე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები. რატომღაც, ყველას ისიც ავიწყდება, რომ ქვეყანა ჯაშუშებისგან თავისუფალი სრულებითაც არაა, პირიქით, საჯარო სამსახურები აგენტურითაა სავსე, ამიტომაც, თუ შსს ამ მიმართულებით აქტიური არ იქნება, პოლიტიკური შპიონაჟის პრევენციისთვის შესაბამისი სამსახურის არსებობა, თუნდაც ორგანიზაციის შიგნით, აუცილებელია, შეიძლება ამას მონიტორინგის სამსახური დავარქვათ.**

**— დღეს საზოგადოება უკანონო მოსმენებისგან დაცულია?**

— ვფიქრობ, სახელმწიფოს ოფიციალური სტრუქტურები, კერძოდ, ის სამსახურები, რომლებიც მთავრობას ემორჩილებიან, უკანონო მოსმენებს აღარ აწარმოებენ. ყოველ შემთხვევაში, იმედს ვიტოვებ, რომ უკანონო მოსმენებისგან გავთავისუფლდით.

**პოლიტიკოსებს ერთ რჩევას მივცემ: გადით შორს, ტყეში და მნიშვნელოვან საკითხებზე იქ ისაუბრეთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ბოლომდე დაზღვეული არც ამ შემთხვევაში ხართ, რადგან შესაძლოა, მეორე მოსაუბრეს ჩამწერი აქვს!**

როცა უკანონო მოსმენებზე ვსაუბრობთ, არ გამოვრიცხავ, პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მყოფი სპეცსამსახურები უკანონო ჩაწერებს დღესაც ახორციელებდნენ. საერთოდ, „ნაციონალებს“ ხელში დღემდე რამდენიმე ბერკეტი აქვთ, მათ შორის — ფული და კონსტიტუციური უფლება, რითიც სიცრუის ტირაჟირებას მარტივად ახერხებენ. სამწუხაროდ, ხელისუფლებას არ აქვს ძალა, მსგავსი ფაქტების პრევენცია მოახდინოს. მაგალითად, პრეზიდენტმა საჯაროდ იცრუა, როცა აღნიშნა, „ენვერის“ საქმეში დაკავებული ჯაშუშების გათავისუფლება ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან ისინი რუსეთის ტერიტორიაზე დაკავებულ ქართველ მზვერავში უნდა გაგვეცვალაო. რუსული მხარე, 2011 წლის ზაფხულში, საქართველოს იმჟამინდელ ხელისუფლებას ქართველი ოფიცრის, ზაზა ხერგელიძის გაცვლას, 2006 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებულ რუსეთის ერთ-ერთ მოქალაქეზე, მართლაც, სთავაზობდა. ეს უკანასკნელი რუსეთის ხელისუფლების ჯაშუშის ბრალდებით გასამართლდა და სასჯელს დღემდე ქართულ ციხეში იხდის. ახალი ხელისუფლების პირობებში, შედგენილ პოლტიპატიმრების სიაში კი, ვერ მოხვდა.

**— რუსეთში დაკავებული საქართველოს მოქალაქის გამოსახსნელად დღეს რა კეთდება?**

— საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, კონსტიტუციის მოთხოვნა შეასრულოს, რომელიც პირდაპირ ამბობს: „საქართველო ზრუნავს თავის მოქალაქეზე, მიუხედავად მისი ადგილსამყოფელისა“. ჩვენი ოფიცერი ზაზა ხერგელაიძე სასჯელს ნიჟნი ტალინის მკაცრი სასჯელის კოლონიაში იხდის. მას 11 წელი აქვს მისჯილი, ხუთი უკვე გავიდა. სამწუხაროდ, ხელისუფლება მასზე დღესაც არ ზრუნავს, ყოველ შემთხვევაში, ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯი ჯერ არ გადადგმულა. არადა, დღესაც შესაძლებელია მისი გაცვლა საქართველოში დაკავებულ რუსეთის მოქალაქეზე, რომლის ვინაობასაც შეგნებულად არ ვასაჯაროებ. ზაზა ხერგელაიძის დედამ დასახმარებლად აბსოლუტურად ყველა ოფიციალურ უწყებას მიმართა, მათ შორის, — იუსტიციის სამინისტროს, სახელმწიფო კანცელარიას, საგარეო საქმეთა სამინისტროს... ყველა უწყებამ ერთმანეთთან გადაგვამისამართა: შსს-მ მოგვწერა, ეს საკითხი იუსტიციის სამინისტროსა და მთავარი პროკურატურის კომპეტენციას განეკუთვნება, ჩვენ ვერ განვიხილავთო. იუსტიციის სამინისტრომ კი, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართეთო, მაია ფანჯიკიძის უწყებამ ისევ იუსტიციის სამინისტროში გაგვიშვა. ერთი სიტყვით, ისევ ჩაკეტილ წრეში ვართ. ვფიქრობ, უშუალოდ პრემიერმა უნდა იზრუნოს რუსეთში დაკავებულ საქართველოს მოქალაქეზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართულ სპეცსამსახურებში მუშაობის მოტივაცია ბევრს გაუქრება. 2006 წელს, ისრაელმა ლიბანში ომი ერთი ჯარის კაცის გამო დაიწყო. ჩვენ კი საკუთარი მოქალაქის უფლებების დაცვაზეც არ ვზრუნავთ, თან ზაზა ხერგელაიძე ჩვეულებრივი პატიმარი არაა — ის მშვიდობიან პერიოდში, ქვეყნის დავალებას ასრულებდა.

## ვერსიანიუსი

### „აშშ-სთვის ივანიშვილ-სააკაშვილს შორის დაპირისპირება უმნიშვნელოა“




რუსეთის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ფონდის ექსპერტი მაქსიმ მინაევი მიიჩნევს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი მნიშვნელოვნად არ შეიცვლება და ამ კონტექსტში, აშშ-სთვის სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის არსებულ დაპირისპირებას დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

**„ამერიკულ-ქართული ურთიერთობების კონტექსტში დიდ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ. ამერიკელები ითვალისწინებენ ქართულ საზოგადოებაში განწყობის ცვლილებას და მათ ესმით, რომ ამ სიტუაციაში სააკაშვილზე ფსონის გაკეთება არცთუ წარმატებული იქნება. ამ კონტექსტში, გამარჯვებული ოპოზიცია უფრო კონსტრუქციულ პარტნიორს წარმოადგენს და ეს განსაკუთრებით კარგად ჩანდა წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც რიგმა ამერიკულმა სტრუქტურებმა, მათ შორის დემოკრატიის ეროვნულმა ფონდმა მხარი სწორედ კოალიციას დაუჭირეს. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ამერიკელებს საკმაოდ ფხიზლად მიდიოდნენ საქართველოში პოლიტიკურ ძალთა ბალანსამდე. მათ ფსონი ერთდროულად ორ მოთამაშეზე გააკეთეს“,** — აღნიშნავს მინაევი.

მისივე თქმით, ამერიკელებისთვის არ აქვს მნიშვნელობა, როგორ წარიმართება ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის დაპირისპირება და ამიტომ „ის ეკონომიკური და ტექნიკური დახმარებები, რომელსაც საქართველოს ვაშინგტონი აღმოუჩენდა, მომავალშიც გაგრძელდება მიუხედავად იმისა, თუ როგორი იქნება სააკაშვილის პოლიტიკური ბედი“.

**„საქართველო, რომელმაც შეინარჩუნა ევროკავშირისკენ მიმართული ორიენტაცია, ვალდებული იქნება, ვაშინგტონის მოსაზრებები გაითვალისწინოს. ამიტომაც, სააკაშვილის წასვლის შემდეგ, ივანიშვილისა და ქართული ოცნებისგან განწყობის მნიშვნელოვან ცვლილებას არ უნდა ველოდოთ“,** — აღნიშნავს ექსპერტი.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობებს, მინაევის განცხადებით, საქართველო „უკრაინულ მოდელზე“ გადასვლას შეეცდება, ანუ ის რუსეთთან ურთიერთობების დალაგებაზე იმუშავებს, თუმცა ამის მიუხედავად, დასავლეთისკენ მიმართულ კურსს შეინარჩუნებს.

**„რუსეთთან ურთიერთობების კუთხით, ჩვენ ვხედავთ, რომ დაიწყო ეკონომიკური თანამშრომლობა. ქართული პროდუქცია მალე რუსულ ბაზარზე გამოჩნდება. ივანიშვილი ვექტორის შეცვლისა და მოსკოვთან კონსტრუქციული დიალოგის დაწყების აუცილებლობაზე საუბრობს, თუმცა აქაც უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს საგარეო პოლიტიკური არჩევანი. ივანიშვილს ნამდვილად არ სურს მოსკოვით შემოფარგვლა. მას სურს, აწარმოოს დიალოგი რამდენიმე პარტნიორთან, მით უმეტს, თუ გავითვალისწინებთ იმ პოლიტიკურ მემკვიდრეობას, რაც სააკაშვილმა დატოვა — ეს არის მჭიდრო კავშირები ვაშინგტონთან, რომელიც კონკრეტულ, ხშირად სამხედრო-ტექნიკური ხასიათის დახმარებას ახორციელებს“,** — მიიჩნევს რუსი ექსპერტი.

*„ივერონი“*



რუსუდან შელია
პოლიტიკა

# „ქრისტიან-დემოკრატებს“ ლევან ვეფხვაძეც ტოვებს?

**რატომ დატოვეს ზაზა გაბუნიამ და ჯაბა სამუშიამ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა? როდის და ვინ შეცვლის პარტიის თავმჯდომარის პოსტზე გიორგი თარგამაძეს? ვიხილავთ თუ არა „ქრისტიან-დემოკრატთა“ რიგებში ყოფილ „ნაციონალებს“ და რატომ ემზადება თარგამაძის გუნდი 2014 წლის გაზაფხულზე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის? — „ვერსიის“ შეკითხვებს „ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვეფხვაძე პასუხობს:**

ვინ ჩაანაცვლებს გიორგი თარგამაძეს ქდმ-ს თავმჯდომარის პოსტზე და რატომ ახსენდება არჩევნებზე საუბრისას ლევან ვეფხვაძეს ივანიშვილის პინგვინები



— პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, თანაპარტიელთა ნაწილმა „ქრისტიან-დემოკრატებში“ პერსპექტივა, როგორც ჩანს, ველარ დაინახა. საერთოდ, პოლიტიკა გრძელვადიანი ბიზნესია და ამ სფეროში „იყიდე, გაყიდე და მოგება დაგრჩეს“ პრინციპი არ მუშაობს. პოლიტიკოსმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ პარტიაში მისვლიდან ერთ თვეში, პარლამენტის წევრი, ან საკრებულოს თავმჯდომარე ვერ გახდება. ფაქტია: ზოგიერთმა ჩათვალა, ჩვენი პარტიის რიგებიდან გარკვეულ პოლიტიკურ სტატუსს ვერ მიიღებდა და პარტიის დატოვება ამიტომაც გადაწყვიტა. საერთოდ, ვინც ფიქრობს, პარტიაში, გარკვეული პერიოდის შემდეგ, პოლიტიკურ სტატუსს ვერ მიაღწევს, მიდის და ეს ბუნებრივი პროცესია.

**— ანუ ზაზა გაბუნია და ჯაბა სამუშია მოუთმენლები აღმოჩნდნენ?**

— ზაზა გაბუნიამ და ჯაბა სამუშიამ ჩათვალეს, რომ „ქართულ ოცნებაში“ საკუთარი თავის რეალიზაციას ბევრად წარმატებით მოახერხებენ, ვიდრე — ჩვენთან ერთად. ჯაბა სამუშია საკრებულოს თავმჯდომარე, შეიძლება, მართლაც, გახდეს, მაგრამ ვერ გეტყვით, მის მიერ მოპოვებული ეს თანამდებობა რამდენად სტაბილური იქნება.

**— ეჭვობთ, გარკვეული დროის შემდეგ, „ოცნებამ“ ჯაბა სამუშია, შესაძლოა, თამაშგარე მდგომარეობაში დატოვოს?**

— ჯაბა სამუშია საკრებულოს უმრავლესობის ფორმირებაში მონაწილეობას მიიღებს, დანარჩენი კი, დროის ფაქტორია... თუ მათ გადაწყვიტეს, რომ „ოცნებაში“ ბევრად რეალიზებულნი იქნებიან, ბუნებრივია, ქვების სროლას არ დავუწყებ და არც იმას ვიტყვი, რომ მიღალატეს. პირიქით, ვფიქრობ, ჯაბა სამუშიასა და ზაზა გაბუნიას პარტიაში დარჩენა დანარჩენი წევრების დემოტივაციას გამოიწვევდა. ასე რომ, მათ საკმაოდ ცივილურად დავშორდით.

**— ბატონო ლევან, საპარლამენტო არჩევნებში განცდილი მარცხის შემდეგ, „ქრისტიან-დემოკრატებმა“, ასე ვთქვათ, წარმომადგენლობა საკრებულოშიც დაკარგეთ...**

— სამწუხაროდ, საქართველოში პოლიტიკური პარტია ზედმეტად პერსონიფიცირებულია. ვფიქრობ, დადგა დრო, სხვა აზროვნებაზე გადავიდეთ. შესაძლოა, „ქრისტიან-დემოკრატებიდან“ ხვალ მეც წავიდე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, პარტიამ არსებობა უნდა შეწყვიტოს.

**— ამას ბევრი მინიშნებად ჩათვლის...**

— არა, ჩვენგან წასვლას აღარავინ გეგმავს, მაგრამ ზოგადად ვამბობ, ჯაბა იქნება თუ ზაზა, „წმინდა ადგილი ცარიელი არ დარჩება“ და მათ ახალი სახეებით ჩავანაცვლებ. ინგა გრიგოლიას პარტიიდან წასვლა დანაკლისი, მართლაც, იყო, თუმცა ზაზა გაბუნია და ჯაბა სამუშია იმ კალიბრის პოლიტიკური ფიგურები არ არიან, რომლებმაც შეიძლება, პარტიას პოლიტიკური დარტყმა მიაყენონ. მათი პოლიტიკური ცნობადობა, სასურველია, ორჯერ და სამჯერ მეტი იყოს, რასაც ინგას შემთხვევაში, ნამდვილად ვერ ვიტყვი. სამუშიასა და გაბუნიას ცნობადობის პრობლემა ყოველთვის ჰქონდათ. ამ ეტაპზე, პარტიაში ფუნდამენტური რეორგანიზაციის პროცესი დაიწყო. ჩვენ რიგებში მალე ახალ სახეებს იხილავთ, მათ შორის — ყოფილ „ნაციონალებსაც“.

**„ინგა გრიგოლიას პარტიიდან წასვლა დანაკლისი, მართლაც, იყო, თუმცა ზაზა გაბუნია და ჯაბა სამუშია იმ კალიბრის პოლიტიკური ფიგურები არ არიან, რომლებმაც შეიძლება, პარტიას პოლიტიკური დარტყმა მიაყენონ... მათ ცნობადობის პრობლემა ყოველთვის ჰქონდათ. ამ ეტაპზე, პარტიაში ფუნდამენტური რეორგანიზაციის პროცესი დაიწყო. ჩვენ რიგებში მალე ახალ სახეებს იხილავთ, მათ შორის — ყოფილ „ნაციონალებსაც“.**

**— თქვენი პარტიის წევრები „ოცნებაში“ მიდიან, თქვენ კი მათ ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წარმომადგენლებით ანაცვლებთ — ამას საზოგადოება სწორად გაიგებს?**

— ეს ადამიანები „ნაციონალები“ არ არიან, უბრალოდ, არჩევნებში მხარი მიხეილ სააკაშვილს დაუჭირეს. ოქტომბრის არჩევნების შემდეგ კი, პოლიტიკური პოზიცია შეიცვალეს. სხვათა შორის, პოლიტიკურ ტონს ვინარჩუნებთ — ზომიერად კრიტიკულნი ვიქნებით როგორც „ნაციონალების“, ასევე „ოცნების“ მიმართ. საპარლამენტო ოპოზიციის დესტრუქციული განცხადებები ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ვიცით, შექმნილ ვითარებაში ასპარეზზე დაბრუნება გაგვიჭირდება, რადგან საპარლამენტო არჩევნებში მიღებული შედეგის შემდეგ, პოლიტიკურ მეინსტრიმში აღარ ვართ, თუმცა 2014 წლის გაზაფხულზე, ადგილობრივთან ერთად, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას ველოდებით.

**— ვადამდელი არჩევნები „ქრისტიან-დემოკრატებისთვის“ რას შეცვლის, მით უმეტეს, ვრცელდება ხმები, რომ ბიძინა ივანიშვილი ოპოზიციურ გუნდს საკუთარი ფინანსებით შექმნის?**

— მთავარია, სწორედ ეს ეტაპი გავიაროთ. საზოგადოებას ჯერ კიდევ აქვს მოლოდინი, რომ კეთილი მეფე ჩამოივლის და ოქროთი სავსე ქისას ჩამოარიგებს. მოლოდინი, რომელიც ივანიშვილის, როგორც ქისის ჩამომტარებლის მიმართ არსებობდა, უკვე მის ძირითად პრობლემად იქცა. ვფიქრობ, პრემიერ-მინისტრი მომავალში, მეტ წინააღმდეგობას შეხვდება. ივანიშვილმა გვითხრა, პენსიას 150 ლარამდე გაგიზრდითო, მიხეილ სააკაშვილიც იგივეს გვეუბნებოდა... სააკაშვილი ამბობდა, თვეში 20-ლარიან ვაუჩერებს დაგირიგებთო, ივანიშვილმა სიტყვა „ვაუჩერი“ არ მიყვარს, ამიტომ თვეში სამლარიან შეღავათს გთავაზობთო. ასე რომ, ქვეყანაში, რეალურად, არაფერი შეცვლილა, თანაც ბიძინა ივანიშვილმა ნაციონალურ მოძრაობასთან დაპირისპირებისას, ძალიან ბევრი პოლიტიკური ბალასტი აიკიდა, რომლისგან გათავისუფლებასაც ვადამდელი არჩევნებით აუცილებლად შეეცდება. პრემიერი იმ „ნაციონალებსაც“ მოიშორებს, რომლებიც მას პერსონალურ შეურაცხყოფას აყენებენ. იყო მოლოდინი, რომ საპარლამენტო არჩევნები 2013 წლის შემოდგომაზე ჩატარდებოდა, მაგრამ ახლა ამას გამოვრიცხავ — ოქტომბრამდე საარჩევნო რეფორმის განხორციელება ვერ მოესწრება. რაც შეეხება ოპოზიციის დაფინანსების საკითხს, თუ ბიძინა ივანიშვილს რეალურად სურს, საქართველოში მრავალპარტიული პოლიტიკური პლატფორმა ჩამოყალიბდეს, ფული გია ჟორჟოლიანს კი არ უნდა მისცეს და ოპოზიციაში გადასვლა ურჩიოს, პოლიტიკური გარემოს შეცვლაზე უნდა იფიქროს. ბიძინა ივანიშვილი ახლა თვითონ აკეთებს იმას, რასაც ჩვენ გვაბრალებდა, თქვენ რა ოპოზიცია ხართ, მიხეილ სააკაშვილისგან ფულს იღებთო. სხვათა შორის, თუ „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“ ოპოზიციაში გადავლენ, ქვეყნისთვის ძალიან ცუდი იქნება.

**— ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე „პატარა შეცდომაში“ ირაკლი ალასანია უკვე ამხილა, საკუთარ პარტიასთან პრეზიდენტობის კანდიდატურის განხილვისთვისაც დატუქსა და ირიბად, ბრალი „ნაციონალებთან“ გარიგებაშიც დასდო. იზიარებთ მოსაზრებას, რომ ივანიშვილი ალასანიას კოალიციიდან გამოყოფისკენ უბიძგებს?**

— ეს გარდაუვალიც იყო. გავიხსენოთ, ვინ მოიყვანა სააკაშვილი — „რესპუბლიკელებმა“ და „კონსერვატორებმა“, რომლებიც გარკვეული პერიოდის შემდეგ, ოპოზიციაში წავიდნენ. თუ ეს პარტიები ოპოზიციაში გადავლენ, გაუგებარია, ვის ეყრდნობა ბიძინა ივანიშვილის უმრავლესობა? თანაც, კოალიციიდან პროდასავლური ხედვის მქონე პარტიების წასვლა, ავტომატურად, საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის მკვეთრად ჩრდილოეთისკენ გადაწევას გამოიწვევს. ყველაფრის მიუხედავად, ივანიშვილმა კარგად იცის, რომ ხვალ და ზეგ, ბალასტი პარტიები მას პრობლემას აუცილებლად შეუქმნიან, თან სიაში ისეთი ხალხი ჩაწერა, სჯობდა, მათ ნაცვლად, საკუთარი პინგვინები დაესახელებინა. სხვათა შორის, პოლიტიკური ბალასტის პრობლემა ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძესა და მიხეილ სააკაშვილსაც ჰქონდა. გაიხსენეთ, 2008 წლის პარლამენტში ნაციონალურ მოძრაობას რამდენი მოლაპარაკე პირი ჰყავდა — 120 დეპუტატიდან მხოლოდ ათი აქტიურობდა. ამიტომაც ვამბობ, რომ 2014 წლიდან სხვა პოლიტიკური ეტაპი დაიწყება, რისთვისაც ჩვენც ვემზადებით.

**— ახალ პოლიტიკურ რეალობაში, როგორ ფიქრობთ, ნაციონალური მოძრაობის ადგილიც იქნება?**

— საპარლამენტო არჩევნებში განცდილი მარცხის შემდეგ, ნაციონალურმა მოძრაობამ, პირველ რიგში, ლიდერი უნდა შეცვალოს. ვფიქრობ, ამ ადამიანებს პოლიტიკაში რესურსი აქვთ — მათ რიგებში არიან ისეთებიც, რომელთა ინტელექტს დღემდე ვაფასებ, თუმცა „ნაციონალები“ ერთ გუნდად პოლიტიკურ სვლას ვერ გააგრძელებენ — მარგალიტებიც რომ დაიფრქვიონ, ამომრჩეველს მათი ადამიანური ფილტრი დაბლოკავს.

**— არჩევნებში მარცხი თქვენც განიცადეთ. ლიდერის შეცვლაზე ჯერ არ ფიქრობთ?**

— პარტიაში ლიდერის შეცვლის საკითხი იმ შემთხვევაში დადგება, თუ ჩვენთვის სასურველ შედეგს არც 2014 წლის არჩევნებში მივიღებთ. ერთი რამ უნდა გავიაზროთ: გიორგი თარგამაძე და „ქრისტიან-დემოკრატები“ ერთი და იგივე ფენომენი არაა. პარტია კერძო პირის საწარმოს არ წარმოადგენს. ამ ეტაპზე, ჩავთვალეთ, რომ ლიდერის რებრენდინგი აუცილებელი არ არის, შესაბამისად, პარტიული გადაწყვეტილებით, გიორგი თარგამაძე „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერად ჯერ კიდევ რჩება. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანაა, ის სიცარიელე შევავსოთ, რომელიც პოლიტიკურ ასპარეზზე უკვე გაჩნდა.

## ვერსიანიუსი

## ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილთან გონივრული კომპრომისისთვის მზად არის



**8 თებერვალს, საჯარო ბიბლიოთეკასთან განვითარებულ მოვლენებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია.**

„პირველ რიგში, მინდა, უპირობოდ და ცალსახად დავგმო ძალადობის ის ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საჯარო ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე. სამოქალაქო პროტესტის გამოხატვა, რაც კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა, უნდა იყოს მხოლოდ არაძალადობრივი და მხოლოდ კანონის ფარგლებში. შინაგან საქმეთა მინისტრი, ჩემი დავალებით, ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მოძალადეთა და ძალადობის ინსპირატორთა გამოსავლენად და დასასჯელად. მიმდინარეობს პოლიციის მოქმედებების ანალიზიც იმისთვის, რომ დაიხვეწოს მსგავს სიტუაციებში მისაღები ზომები.

უკეთესი იქნებოდა, საქართველოს პრეზიდენტს გაეთვალისწინებინა უმრავლესობის წინადადება და ყოველწლიური მიმართვა გაეკეთებინა პარლამენტის შენობაში ორიოდე კვირის შემდეგ. მიუხედავად ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ პრეზიდენტის გამოსვლაში რამდენიმე საყურადღებო მომენტი შევნიშნე. ეს განცხადებები ადრე რომ გაკეთებულიყო, ზოგ გართულებას თავიდან ავიცილებდით. კერძოდ, პრეზიდენტმა ქართველ ხალხს ბოდიში მოუხადა იმ შეცდომებისთვის, რაც წლების განმავლობაში დაუშვა მან და მისმა მთავრობამ. პრეზიდენტმა აღიარა ისიც, რომ გასულ საპარლამენტო არჩევნებში ხალხმა სამართლიანად ჩამოართვა მათ ძალაუფლება და ხალხის ნდობის დასაბრუნებლად, პირველ რიგში, საჭიროა წარსულის პრობლემების გაანალიზება და სწორი დასკვნების გაკეთება.

ახლა საჭიროა სიტყვიდან საქმეზე გადასვლა, რათა გაჩნდეს ნდობა მისი ამ და სხვა სიტყვებისადმიც. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი პოლიტიკური გუნდი მზადაა, მხარი დაუჭიროს იმ კონსტიტუციურ ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც, პარლამენტის მონაწილეობის გარეშე ახალი მთავრობის შექმნა შეუძლებელი გახდება. შესაბამისად, ველით ამ განცხადების დადასტურებას საპარლამენტო უმცირესობის მხრიდან, რის შემდეგაც, პარლამენტი უმოკლეს ხანში კენჭს უყრიდა ამ კანონპროექტს.

პრეზიდენტმა ისაუბრა სხვა კონსტიტუციურ საკითხებზეც, რომლებიც განსახილველი კანონპროექტის საგანი არ არის და რომლებზეც მას ჩვენგან განსხვავებული მოსაზრებები აქვს. ჩვენ მზად ვართ, ზემოთ ნახსენები კანონპროექტის მიღების შემდეგ, მისი მოსაზრებები ყურადღებით მოვისმინოთ და სათანადო კანონპროექტების განხილვის პროცესში, საერთაშორისო და ქართველი ექსპერტების მონაწილეობით, შევაჯეროთ პოზიციები.

საკონსტიტუციო დონეზე ყველა საკითხის გადაწყვეტამდე კარგი იქნება, თუ პარლამენტში მალე დასრულდება ინტერფრაქციული შეთანხმების გაფორმება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების თაობაზე. საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ინიცირებულ დოკუმენტზე ფართო პოლიტიკური შეთანხმების მიღწევა ხელს შეუწყობდა მთავრობის მცდელობას ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დაჩქარების, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის შეუქცევადობისა და რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის აღდგენის დაწყების მიმართულებით.

მინდა, კიდევ ერთხელ განვაცხადო, რომ მზად ვარ, პრეზიდენტსა და მის პოლიტიკურ გუნდთან ურთიერთობისთვის კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობის პრინციპების განუხრელი დაცვით. ძალადობრივი დანაშაულის პატიების უფლება ჩემთვის არავის მოუცია. ყველა სხვა საკითხზე მზად ვარ, გონივრული კომპრომისებისთვის ჩვენი საერთო სამშობლოს საკეთილდღეოდ“.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ყველანი უმაღლესში?!



## რა პრეტენზიები აქვს ეროვნული გამოცდების ექსპერტს მაია მიმინოშვილთან და რითი ხსნის გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი გამოცდების გამარტივებას

ნელი თორდია

**გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა საზოგადოებას 2013 წლის ეროვნული გამოცდების სიახლეებზე უკვე ამცნო. ამ ინფორმაციით, აბიტურიენტთა რეგისტრაციის დრო გაიზარდა, შესაბამისად, 2013 წლის ეროვნული გამოცდებისთვის აბიტურიენტთა რეგისტრაცია მარტში დაიწყება და მსურველებს ფაკულტეტის შეცვლა აგვისტოს შუა რიცხვებამდე ანუ სააპელაციო განაცხადების მიღებამდე შეეძლებათ. გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი დარწმუნებულია, რომ ამით მეორადი ჩარიცხვების აუცილებლობა მოიხსნება... სიახლეებია გრანტების განაწილების კუთხითაც, რაც იმას ნიშნავს, რომ დიმიტრი შაშკინის განათლების მინისტრობის დროს შემოღებული „პრესტიჟულ ფაკულტეტებზე“ დაწესებული შეზღუდვები გაუქმდა. შეგახსენებთ: ამ შეზღუდვებით, 100%-იანი დაფინანსება ე.წ. მოთხოვნად ფაკულტეტებზე მოქმედებდა, რაც მოსახლეობის სამართლიან პროტესტს იწვევდა. ამიერიდან კი, ყველა პროგრამა თანაბარი ხდება და „პრესტიჟული ფაკულტეტების“ აბიტურიენტებიც, სხვა დანარჩენების მსგავსად, 50-იანი და 70%-იანი გრანტების მოპოვებას შეძლებენ. ამასთან, გაუქმდება 30%-იანი გრანტიც. ეროვნული გამოცდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიახლე 14 ფაკულტეტზე უფასო სწავლების შემოღებაა... გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებულ სიახლეებზე სასაუბროდ „ვერსია“ პირველი ეროვნული გამოცდების ექსპერტს, „ქართული აკადემიის“ წევრს, ფიზიკოს გელა დოლიძეს დაუკავშირდა.**

— 2013 წლის ეროვნულ გამოცდებზე საუბარს პოზიტიური ცვლილებებით დავიწყებ — ძალიან კარგია, მოთხოვნად ფაკულტეტებზე დაწესებული შეზღუდვები რომ მოიხსნა. 14 ფაკულტეტზე უფასო სწავლების შესახებ მინისტრის ინიციატივაც მოსაწონია, რადგან 7 სახელმწიფო უნივერსიტეტში, ძირითადად, ქართველოლოგიურ და საბუნებისმეტყველო მიმართულების ფაკულეტეტზე მაღალი კონკურსი და, შესაბამისად, აბიტურიენტთა მომზადების მაღალი დონე იქნება.

**— რაც შეეხება სხვა სიახლეებს, 2013 წლის ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტებს შეეძლებათ, განაცხადში ყველა ის ფაკულტეტი მიუთითონ, სადაც მათ მიერ არჩეული გამოცდები ბარდება. ამასთან, ასარჩევი ფაკულტეტების რაოდენობა შეუზღუდავი გახდა და რეგისტრაციის ვადა გახანგრძლივდა. ყველაფერი ეს, იმას ხომ არ ნიშნავს, რომ 2013 წლის ეროვნული გამოცდები ადვილად დასაძლევი იქნება?**

— გამოცდებზე „ჩაწყობა“ ზუსტად ეს იყო — ამ ცვლილებებით, ყველა აბიტურიენტი, რომელიც არ ჩაიჭრება, სტუდენტი გახდება. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ და არც დაავადებულ ადამიანებს ვეხები, მაგრამ, უბრალოდ, შედარებისთვის ვიტყვი, რომ არსებობს ოლიგოფრენიის ხარისხები. ოლიგოფრენებში ყველაზე ჭკვიანი დებილია, ნაკლებად ჭკვიანი — იმბეცილი, ამის მერე კი, იდიოტი მოდის. ახალი სისტემით გამოცდებს მხოლოდ იდიოტი ვერ ჩააბარებს, იმბეცილი და დებილი კი, აუცილებლად უმაღლესში მოხვდება. საერთოდ, ეროვნული გამოცდები ისე გააპიარეს, თითქმის გმირობის რანგში აიყვანეს, რეალურად კი, სწორედ ამ გამოცდების წყალობით, იმბეცილს შეუძლია, უმაღლეს სასწავლებელში ჩააბაროს და დიპლომი აიღოს.

**— ბატონო გელა, როგორ ფიქრობთ, ეს საზოგადოების გულის მოსაგებად გაკეთდა?**

— გარკვეულწილად, პოპულისტური ნაბიჯიცაა, მაგრამ მგონი, უფრო საკუთარ თავს გაუადვილეს საქმე. მეორადი ჩარიცხვების გაუქმება ძალიან კარგია, მაგრამ ისეთი ცვლილებები შემოიღეს, რომ აბიტურიენტმა თავი, მეორადი ჩარიცხვების გარეშე, თვითონ უნდა ჩაირიცხოს. ეს კი, არ წაადგება არც საქართველოს, არც — განათლების სისტემას და არც — აბიტურიენტებს. ადამიანი თავის ცხოვრებას უნდა საზღვრავდეს და ორიენტირებული რაღაც პროფესიაზე უნდა იყოს. ეროვნული გამოცდები ცხოვრების საგზური იყო, ახლა კი გამოდის, ახალგაზრდა აირჩევს პროფესიას, რომელზეც არასოდეს უფიქრია. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ცვლილებებზე კარგი შეხედულება მაქვს, ასარჩევი ფაკულტეტების შეუზღუდაობა და რეგისტრაციის ვადების გაზრდა, განათლების სისტემის სრულ პროფანაციამდე მიგვიყვანს.

**— უფასო ფაკულტეტები კერძო უნივერსიტეტების საქმიანობაზე იმოქმედებს?**

— კერძო უნივერსიტეტებში საბუნებისმეტყველო და წმინდა ჰუმანიტარული ფაკულტეტები ისედაც ნაკლებადაა. იურიდიული, ჟურნალისტიკა და ეკონომიკა კი, ყველგან ფასიანია. ამდენად, არ მგონია, უფასო ფაკულტეტების შემოღებამ კერძო უნივერსიტეტების საქმიანობაზე გავლენა მოახდინოს. სამინისტრომ უნდა განსაზღვროს, სახელმწიფოს ფუნდამენტური განათლების მქონე რამდენი ადამიანი სჭირდება და ამა თუ იმ მიმართულებაზე ადგილები ამის მიხედვით გამოყოს, თუმცა ეს გრძელვადიანი დაგეგმარების თემაა...

**— აკადემიის სისტემიდან გამოყოფილი სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტების უკან დაბრუნებაზე რა აზრის ხართ?**

— ეს ინსტიტუტები მეცნიერებათა აკადემიაში ისე, როგორც ადრე იყო, არასოდეს დაბრუნდება. ამას არც გია დვალი დათანხმდება და არც — მეცნიერები. აკადემია, როგორც ვანო კილურაძისგან ვიცი, ისე შენარჩუნდება, როგორც ბრენდი. ამასთან, მეცნიერული კვლევის მართვის სტრუქტურა შეიქმნება, სადაც ზემოხსენებული ინსტიტუტები შევა და ეს კარგია... სრულფასოვანი სწავლებისთვის უნივერსიტეტს სწავლების სამივე საფეხური — ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტურანტურა უნდა ჰქონდეს, რაც ბევრგან არ არსებობს. სწორედ მაგისტრატურისა და დოქტურანტურის მომზადება მოხდება ამ სამეცნიერო ცენტრში, თუმცა ეს ძალიან ნედლი პროექტია და, ჯერჯერობით, ამაზე ლაპარაკი არავის შეუძლია, მათ შორის, არც გია დვალს.

***გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი, „ვერსიასთან“ საუბრისას, „ადვილ გამოცდებს“ გამორიცხავს და განმარტავს, რომ საგამოცდო წესში ცვლილებები იმიტომ შევიდა, რომ აბიტურიენტებს თავიანთი შესაძლებლობების შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება არ გაუჭირდეთ:***

— საგამოცდო პროცესებზე დაკვირვებით გამოიკვეთა, რომ აბიტურიენტი საკუთარ შესაძლებლობებს ხშირად არცთუ ადეკვატურად აფასებს. ერთ შემთხვევაში ფიქრობს, რომ კარგ შედეგს აჩვენებს და პრესტიჟულ ფაკულტეტზე ჩარიცხვის შანსი აქვს, მეორე შემთხვევაში კი, ჰგონია, რომ ცუდი შედეგები ექნება, თუმცა შეიძლება, მაღალი შედეგი აჩვენოს, რითიც პრესტიჟულ ფაკულტეტზე ჩარიცხვას შეძლებდა... არჩევანის შეცვლის შესაძლებლობა აბიტურიენტს სწორი არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება. შესაბამისად, მეორადი ჩარიცხვები აზრს კარგავს...

**— ეს გასაგებია, ქალბატონო მაია, მაგრამ ფაკულტეტების შეუზღუდავი არჩევა პროფესიის შეგნებულად არჩევას ხომ გამორიცხავს?**

— აბიტურიენტს ერთი არჩევანი რომ მივცეთ, უკეთესი შედეგი იქნება? უმაღლეს სასწავლებლებში 35 ათასი ვაკანტური ადგილი რომაა და ამდენივე აბიტურიენტი გვყავს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონკურსი არაა. პრესტიჟულ ფაკულტეტებზე კონკურსი ყოველთვის იქნება და, ბუნებრივია, საუკეთესოების გადარჩევა მოხდება...

## სააკაშვილი ივანიშვილსა და მის გუნდს რეზიდენციაში ეპატიჟება



„მივესალმები იმ ფაქტს, რომ გუშინ პრემიერ-მინისტრმა შეცვალა თავისი ჩვეული მოწოდება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის განადგურების თაობაზე და ჩემს გუნდსა და საპარლამენტო ოპოზიციას დიალოგი შესთავაზა.

ის, რაც 8 თებერვალს მოხდა, ჩვენს ქვეყანაში აღარასოდეს უნდა განმეორდეს. პოლიტიკური ძალადობა უნდა შეწყდეს ისევე, როგორც თავდასხმები ოპოზიციაზე, ზეწოლა პარლამენტის წევრებზე, შეჭრა ადგილობრივ თვითმმართველობებში ან შერჩევითი დევნა. ჩვენ გვჭირდება კოჰაბიტაციის რეალური პროცესის დაწყება, როგორც ამას ითვალისწინებს ჩვენი კონსტიტუცია და როგორც ეს სურს ჩვენს ხალხს.

ჩემი გამოსვლის კვალდაკვალ და იმისთვის, რომ არ გაგრძელდეს მხოლოდ მონოლოგები თუ დეკლარაციები ტელეეკრანებიდან და გადავიდეთ კონკრეტულად საქმის განხილვაზე, ვიწვევ პრემიერ-მინისტრსა და მის გუნდს დიალოგის გასამართად ჩემთან და ჩემი გუნდის წარმომადგენლებთან.

შეგვიძლია, უკვე ორშაბათს დავსხდეთ და ერთად განვიხილოთ მთელი რიგი საკანონმდებლო საკითხები, მათ შორის, საკონსტიტუციო ცვლილებები და სხვა მნიშვნელოვანი ინიციატივები, რომლებიც მოითხოვს კონსენსუსს სხვადასხვა ინსტიტუტების მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფის გზაზე. ეს კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქართული დემოკრატიისთვის.

ეს მოლაპარაკება მაშინვე დაიწყება, როგორც კი პრემიერ-მინისტრი მიიღებს ჩემს შეთავაზებას. ცხადია, პარალელურად, ასევე თანახმა ვარ, მივიდე პარლამენტში და იქიდან მივმართო საზოგადოებას სიტყვით, რაც თავიდანვე არ უნდა გაეუქმებინათ. ჩვენი, როგორც არჩეული ლიდერების, ისტორიული პასუხისმგებლობაა, ყველაფერი გავაკეთოთ ძალადობის პრევენციისთვის, რათა 90-იანების სამოქალაქო დაპირისპირება აღარასოდეს განმეორდეს ამ ქვეყანაში.

ვიმედოვნებ, რომ 8 თებერვლის სამარცხვინო მოვლენა გაკვეთილი იქნება და ბოლოს მოუღებს ძალადობისა და სიძულვილის მთელ სერიას, რომელსაც ბოლო პერიოდში ჰქონდა ადგილი ჩვენს ქვეყანაში“, — ნათქვამია პრეზიდენტის განცხადებაში, რომელიც მისმა ადმინისტრაციამ გაავრცელა.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

# რა პროვოკაციას გეგმავენ „ნაციონალები“ სტუდენტებში

## სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების პროგრამაზე დახარჯული 12 მილიონით შეიძლება, პროკურატურა დაინტერესდეს

ნელი თორდია

**პრეზიდენტის მიერ ინიცირებული სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების პროგრამა სტუდენტთა დაპირისპირების მიზეზი ხდება. ცნობისთვის: საზაფხულო დასაქმების პროგრამა Summer Job 2012 წელს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამოქმედდა და, 20 ივლისიდან 20 აგვისტომდე, 25 000 სტუდენტი დაასაქმა. ერთთვიანი მუშაობისთვის თითოეულ სტუდენტზე ბიუჯეტიდან 500 ლარი გამოიყო, რამაც, მთლიანობაში, 12 მილიონი ლარი შეადგინა. კეთილშობილური მიზნების მიუხედავად, ერთნი მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტის ზემოხსენებული ინიციატივა წინასაარჩევნოდ სტუდენტებისა და მათი ოჯახის წევრების ხმების მოგროვებას ემსახურებოდა. მეორენი კი ამტკიცებენ, რომ სტუდენტებმა ფული ერთთვიანი უსაქმურობისთვის მიიღეს, რაც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა და სისხლის სამართლის დანაშაულია.**

დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაციის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მემანიშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობა საეჭვო მიზნებისა და შედეგების მქონე პროგრამის რეანიმაციას ცდილობს, რაც სტუდენტებს შორის დაპირისპირებასა და ახალი ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილების გაზრდას ემსახურება.

**„სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების პროგრამაში მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის მიმართ ლოიალურად განწყობილი სტუდენტები და თვითმმართველობის წევრები მონაწილეობდნენ. მიმაჩნია, რომ ეს ნაციონალური მოძრაობის მხრიდან სტუდენტთა პირდაპირ მოსყიდვა იყო და ვეთანხმები განათლების სამინისტროს, რომელიც აცხადებს, რომ ეს პროგრამა დროის, ფულის უაზრო ფლანგვაა და, შესაბამისად, მისი გაგრძელება დაუშვებელია“,** — ამბობს ნიკა მემანიშვილი, რომლის ინფორმაციითაც, ილიას უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტმა, სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების პროგრამის აღდგენის მიზნით, აქცია-ბრიფინგი გამართა.



**„ამით ილიას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და „ნაციონალები“ ცდილობენ, სტუდენტები და განათლების სამინისტროს დააპირისპირონ, თორემ თვითონაც მშვენივრად იციან, რომ 12 მილიონი, რაც ამ პროგრამაზე დაიხარჯა, წყალშია გადაყრილი. ამ თანხით რამდენიმე ათასი სტატუსშეჩერებული სტუდენტისთვის სწავლის გადასახადის პრობლემის მოგვარება შეიძლებოდა და საამისოდ ვიბრძოდით კიდეც, თუმცა როცა პრეზიდენტმა ჩვენი ინიციატივის შესახებ გაიგო, სულ ოროსანი სტუდენტები გვეძახა... ნაციონალური მოძრაობა მთლიანად ახალი ხელისუფლების ანტიპიარზეა გადასული და ყველაფერს აკეთებს, რომ მის მიმართ მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვიოს. აქედან გამომდინარე, ვაპირებთ, სტუდენტთა ინფორმირება მოვახდინოთ და აქციებიც გავმართოთ, რათა სტუდენტებს შორის დაპირისპირება ავიცილოთ. სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების პროგრამისთვის გამოყოფილი 12 მილიონი, ჩემი აზრით, სხვა მიზნით იხარჯებოდა და ნაციონალური მოძრაობის პიარ-კამპანიაზე იყო გათვლილი. ისე, არაა გამორიცხული, ამ საქმეზე პროკურატურაში განცხადებაც შევიტანოთ“,** — ამბობს ნიკა მემანიშვილი.

## თეა წულუკიანმა და იური ვაზაგაშვილმა პოლიტიკური რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნის მემორიალი გახსნეს



საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა და 2006 წლის 2 მაისს მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილის მამამ, იური ვაზაგაშვილმა თბილისის იუსტიციის სახლთან, 2004-2012 წლებში პოლიტიკური რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნის მემორიალი გახსნეს.

როგორც იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა აღნიშნა, იური ვაზაგაშვილის სურვილით, პირველი ოქტომბრის შემდეგ, ვაზაგაშვილის დაფა იქცა მემორიალად და ის არა მხოლოდ ზურაბ ვაზაგაშვილისა და საშა ხუბულოვის, არამედ, 2004-2012 წლებში პოლიტიკური რეჟიმის მიერ დახოცილთა ხსოვნას ეძღვნება.

**„ამ ადგილას, 2006 წელს, ხელისუფლების წარმომადგენლებმა მანქანაში ახალგაზრდა ზურაბ ვაზაგაშვილი და საშა ხუბულოვი ჩაცხრილეს. ჩვენ იმისთვის შევიკრიბეთ, რომ პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას და ზავი დავდოთ ყველამ ერთად, საკუთარ წარსულთან და ამ წარსულს ჰქვია წინა ხელისუფლება. მომავალი უნდა ავაშენოთ ერთად. ვიმედოვნებ, ეს მემორიალი იქნება ხიდი წარსულსა და ნათელ მომავალს შორის“,** — აღნიშნა წულუკიანმა.

იური ვაზაგაშვილის თქმით, წინა ხელისუფლების დროს ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლე საფრთხეში იყო. მან მადლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსა და იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს და, ასევე, მოუწოდა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, ხელისუფლებას სხვადასხვა ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დევნას ნუ აბრალებენ.

ღონისძიებაზე, ასევე, იმყოფებოდნენ მოკლული ალექსანდრე ხუბულოვის შვილები, დიდუბის პანთეონთან მოკლული ბუტა რობაქიძის დედა ია მეტრეველი, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები, კოალიცია „ერთსულოვნების“ ლიდერი თეიმურაზ შაშიაშვილი და ლევან გოგიჩაიშვილი.

*„ინტერპრესნიუსი“*

## მაღალჩინოსანმა პოლიციელმა გოგონა სიკვდილს გადაარჩინა




გორის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, ლევან ბიწკინაშვილმა ახალგაზრდა გოგონა სიკვდილს გადაარჩინა.

შსს-ს ინფორმაციით, 1991 წელს დაბადებული მარიამ ნ. სტალინის გამზირზე, ე.წ. სადგურის ხიდებთან, თვითმკვლელობის მიზნით, მდინარე მტკვარში გადახტა. ამ ფაქტს შემთხვევით, ლევან ბიწკინაშვილი შეესწრო და გოგონა წყლიდან უვნებლად ამოიყვანა.

მარიამ ნ-ს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება — სასწრაფო დახმარების ბრიგადამ მას დახმარება ადგილზევე გაუწია. მისი განმარტებით, თვითმკვლელობა, მეუღლესთან დაშორების შემდეგ, ოჯახის წევრებთან არსებული უთანხმოების გამო სცადა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს. საქმეს შსს-ს შიდა ქართლის პოლიციის სამხარეო მთავარი სამმართველოს გორის რაიონული სამმართველო აწარმოებს.

*„პირველი“*

# პოლიციამ ნარკოპაციენტი, რომელმაც ჯარიმა ვერ გადაიხადა, კლინიკაში მკურნალობის დროს დააპატიმრა






ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

**ფართომასშტაბიანი ამინისტიისა და შეწყალების ფონზე, ციხეები ახალი პატიმრებით ივსება — „ვერსიისთვის“ ცნობილი გახდა რომ სამედიცინო ცენტრ „ურანტიდან“, სადაც ნარკომომხმარებლებს მკურნალობენ, პოლიციამ 23 წლის პაციენტი დააკავა. როგორც ცენტრის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ნარკოლოგი ზურა სიხარულიძე ამბობს, პაციენტის დაკავების მიზეზი ის გახდა, რომ ნარკოტიკის მოხმარების გამო, დაკისრებული ჯარიმა ვერ გადაიხადა:**

— სამართალდამცველებს სასამართლოს განაჩენი ჰქონდათ და მათ არაფერს ვერჩი. უბრალოდ, სახელმწიფოს ნარკოპოლიტიკაა ძალიან რეპრესიული — ხალხს ციხეში მხოლოდ მოხმარების გამო უშვებენ. რაც შეეხება ამ პაციენტს, არ ვიცი, რა ბედი ეწია — ციხეში მკურნალობა რომ გაეგრძელებინათ, წესით, უნდა დამკავშირებოდნენ და ეკითხათ, რა პრეპარატებს ვუკეთებდით...

**— პაციენტს „ლომკა“ ჰქონდა?**

— დიახ, და დეტოქსიკაციის კურსს გადიოდა. კლინიკაში სამკურნალოდ 9 დღის წინ შემოვიდა. ის კუსტარული ნარკოტიკის, ე.წ კრაკაძილის მომხმარებელია და საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყო.

**— ბატონო ზურა, ამბობთ, პაციენტი 2000-ლარიანი ჯარიმის გადაუხდელობის გამო დააკავესო. არადა, კლინიკაში დეტოქსიკაციის კურსის გავლაც საკმაოდ ძვირია. თუკი პაციენტს ჯარიმის ფული არ ჰქონდა, კლინიკაში როგორ მკურნალობდა?**

— ეს პაციენტი ჩვენს კლინიკაში სახელმწიფო პროგრამით მოხვდა — კლინიკებს შეგვიძლია, თვის განმავლობაში, 3 პაციენტს, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, უფასოდ ვუმკურნალოთ. ვინაიდან ეს ბიჭი 23 წლისაა, ჯარიმის გადახდის პრობლემა ჰქონდა და, ასაკის გამო, ვერც „მეთადონის“ პროგრამაში მოხვდა, გადავწყვიტეთ, მისთვის გვემკურნალა.

**— მკურნალობის პროცესის შეწყვეტამ რა შეიძლება გამოიწვიოს?**

— დეტოქსიკაციის კურსის გავლის შემდეგ, რეაბილიტაციის პროგრამის გავლა აუცილებელია.

**— თქვენი კლინიკიდან პაციენტი სხვა დროსაც დაუკავებიათ?**

— არასოდეს. პოლიციას ვთხოვე, დეტოქსიკაციის კურსის დასრულებამდე, პაციენტი კლინიკაში დაეტოვებინათ, მაგრამ უარი მითხრეს. ყველაზე გასაცოფებელი, იცით, რა არის? — ადამიანი, რომელმაც ნარკოტიკის მოხმარების გამო, ჯარიმა ვერ გადაიხადა, განგსტერთანაა გაიგივებული და მასზე ძებნაა გამოცხადებული. როცა ავადმყოფი ძებნილად ცხადდება, ეს ძალიან ცუდია!

სხვა დოსაც მოსულა პოლიცია, მაგრამ ამიხსნია, რომ მკურნალობის პროცესში ადამიანის დაკავება არ შეიძლება და გაგებით მოკიდებია...

**— არ შეიძლებოდა, პაციენტს მკურნალობა ბადრაგის თანხლებით გაეგრძელებინა?**

— რასაკვირველია, შეიძლებოდა. მყოლია პაციენტები, რომელთაც ბადრაგი იცავდა...

**— ისე, სამართალდამცავებმა როგორ გაიგეს, ეს ბიჭი თქვენთან რომ მკურნალობდა?**

— ეს ოფიციალური სახელმწიფო პროგრამაა და მკურნალობის ფულსაც — 2 ათას ლარს სახელმწიფო იხდის. საერთოდ, სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს, ადამიანები, რომლებიც ნარკოტიკს მოიხმარენ, მკურნალობაში ფართოდ იყვნენ ჩართულნი. ეს პაციენტი კი არ უნდა დაეჭირათ, რეაბილიტაციის კურსში უნდა ჩაესვათ, თორემ ციხიდან რომ გამოვა, იგივეს გააგრძელებს.

**— ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ითქვა, რომ ნარკომანების მკურნალობა შესაძლოა, მათ მიერვე გადახდილი ჯარიმებით დაფინანსებულიყო.**

— ესეც არასწორი და რეპრესიული მიდგომაა...

**— არც ის მიდგომა მოგწონთ, რომ ამბობენ, ჯარიმას პრევენციის სახე აქვს და მომხმარებელთა გაზრდას აჩერებსო?**

**— ჯარიმით ნარკომომხმარებელი კი არა, მისი ოჯახი ისჯება, რადგან ამ ადამიანების მცირე ნაწილს აქვს საკუთარი შემოსავალი — კვლევით დადგინდა, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა მხოლოდ 3%-ს აქვს თვეში 1000 ლარამდე შემოსავალი. ასეთ სიტუაციაში, ჯარიმის გადახდა, რეალურად, ოჯახს უწევს. არადა, ოჯახს ისიც ეყოფა, ასეთი ავადმყოფი რომ ჰყავს. ჯარიმა პრევენცია კი არა, ოჯახების დაქცევა და კატასტროფაა! დარწმუნებული ვარ, კვლევა რომ ჩატარდეს, სოციალურად დაუცველთა დიდი ნაწილი ნარკოტიკის მოხმარების ჯარიმის გადახდით იქნება გალატაკებული. როცა ნარკომომხმარებელს აიძულებ, ჯარიმა გადაიხადოს, ეს ხელს კრიმინალის ზრდასაც უწყობს — ჯარიმა რომ გადაიხადოს, იძულებულია, რაღაც ან სახლიდან გაიტანოს ან ვიღაცას რამე წაართვას და მოპაროს.**

**— ნარკომომხმარებლები საერთოდ რომ არ დავსაჯოთ, ეს ხომ, პრაქტიკულად, ნარკოტიკების ლეგალიზაცია იქნება?**

— უნდა დავსაჯოთ, ოღონდ მაშინ, თუ კრიმინალს ჩაიდენენ. შეიძლება, C ჰეპატიტით, დიაბეტით, ტუბერკულოზით ან შიდსით დაავადებული ადამიანი დავსაჯოთ?! შიდსით დაავადებულთა 70% ინტრავენური ნარკოტიკის მომხმარებელია და მაშინ, ყველა ინფიცირებული ციხეში ჩავსვათ მხოლოდ იმიტომ, რომ ნარკოტიკი მოიხმარა და შიდსი აქვს.

## ქეთრინ ეშტონი და შტეფან ფულე 8 თებერვლის ინციდენტით შეშფოთებულნი არიან



ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ქეთრინ ეშტონი და ევროკომისარი გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულე, საქართველოში, 8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, შეშფოთებას გამოთქვამენ.

ამის შესახებ ევროკავშირის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაშია აღნიშნული.

**„ევროკავშირი მიიჩნევს, რომ საქართველოს დემოკრატიული მომავლისთვის საჭიროა, პატივისცემით მოექცნენ ნებისმიერ პოლიტიკურ ძალასა და ინსტიტუტს. ჩვენ ასევე შეშფოთებულები ვართ, რომ არ არსებობს ძალაუფლების გადანაწილების საკითხზე შეთანხმება ქართულ ოცნებასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის; კერძოდ, საკონსტიტუციო საკითხებზე შეუთანხმებლობასა და სულ ახლახან პრეზიდენტის მიერ პარლამენტში ყოველწლიურ მოხსენებით გამოსვლის საკითხის ღია კონფრონტაციად ქცევის გამო, კანონმდებლებს ნაციონალური მოძრაობიდან თავს დაესხნენ პრეზიდენტის გამოსვლის ადგილზე შეკრებილი დემონსტრანტები. ევროკავშირი მიიჩნევს, რომ ქართული დემოკრატიის მომავლისთვის უმნიშვნელოვანესია, ქვეყანაში ყველა პოლიტიკურ მხარესა და ინსტიტუტს ეპყრობოდნენ თანაბარი პატივისცემით, როგორც ეს შეეფერება ჩვენს საერთო ევროპულ ღირებულებებს“,** — აღნიშნულია განცხადებაში.

ქეთრინ ეშტონი და შტეფან ფულე მოუწოდებენ საქართველოს თითოეულ პოლიტიკურ ძალას, თავი შეიკავონ სახელმწიფო ინსტიტუტებისა და პოლიტიკური პროცესების პარტიული ინტერესებისთვის გამოყენებისგან.

*„მედიანიუსი“*

## საპატიმროდან გამოსული გურამ დონაძე პოლიციას მადლობას უხდის



25 ათასლარიანი გირაოს გადახდის შემდეგ, შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილმა უფროსმა, გლდანის მე-8 საპყრობილე დატოვა. გურამ დონაძეს გირაო 9 თებერვალს გადაუხადეს. ციხის დატოვების შემდეგ, დონაძემ განაცხადა, რომ იმ მასალას მოიძიებს, რომელიც შსს-მ ბუტა რობაქიძის მკვლელობის ღამეს გაავრცელა.

შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილმა უფროსმა მადლობა გადაუხადა აჭარის პროკურატურასა და პოლიციის ხელმძღვანელობას იმისთვის, რომ მისი დაკავება კანონის სრული დაცვით მოხდა, რასაც იგი არ ელოდა.

**„ჩემს მიმართ წაყენებულ ბრალდებას დეტალურად გავეცნობი. თავს დამნაშავედ არ ვცნობ და ვაპირებ, ყველა კითხვაზე პასუხი გავცე და ვითანამშრომლო გამოძიებასთან. უცხოეთში ჯანმრთელობის მდგომარეობისა და იმის გამო ვიყავი წასული, რომ დავუფლებოდი უცხო ენას“,** — განაცხადა გურამ დონაძემ.

ადვოკატ კახა შონიას განცხადებით, ჯერ უცნობია, როდის დაკითხავენ დონაძეს. ადვოკატის ცნობითვე, გირაოს სანაცვლოდ შსს-ს ის მაღალჩინოსნებიც გათავისუფლდნენ, რომლებიც დონაძესთან ერთად ბუტა რობაქიძის საქმეში ფიგურირებენ, მათ თბილისის საქალაქო სასამართლომ გირაო შეუფარდა.

*„ტაიმერი“*

# ინგილოები აზერბაიჯანულ-ქართული სკოლიდან ქართული სექტორის ცალკე სკოლად გამოყოფას ითხოვენ

მერაბ ბერიძე

**იმ დროს, როცა თბილისში სახელისუფლებო და ოპოზიციური ძალები ერთმანეთს პოლიტიკური განადგურებით ემუქრებიან, ისტორიულ ჰერეთში — საინგილოში ქართული ენა სულს ღაფავს, თუმცა ქართული სპექტრი ამ თემით არ ინტერესდება. ამიტომაც, ადგილობრივები საკუთარი ძალებით ცდილობენ, ასიმილაციას წინ აღუდგნენ — სოფლებში ქართული სკოლის აზერბაიჯანულ-ქართული სკოლისგან გამოყოფას ითხოვენ, რათა საკუთარი უფლებები ამ გზით მაინც დაიცვან.**




## რატომ ავიწროებს მეგობარი აზერბაიჯანი ინგილოებს და რას ფიქრობს საქართველოს ახალი ხელისუფლება საინგილოს პრობლემაზე

ცნობისთვის: დღევანდელ საინგილოში ორი ქართული თემია — ქრისტიანული (კახის რაიონი) და გამაჰმადიანებული (ზაქათალა და ბელაქანი). კახის მიმდებარე სოფლებში ქართული სკოლები ფუნქციონირებს და მათ დახურვა არ ემუქრება, თუმცა ამ ულამაზესი რაიონიდან მასობრივი მიგრაცია მიმდინარეობს და თუ ასე გაგრძელდა, სკოლაში მისაყვანი მალე, ალბათ, არავინ იქნება. ზაქათალა-ბელაქნის სოფლებში — ალიაბადში (ისტორიული ელისენი), მოსულსა და ითითალაში კი, შერეული, ქართულ-აზერბაიჯანული სკოლები ფუნქციონირებს. მრავალი მიზეზის გამო, ქართულ სექტორზე წლიდანწლამდე მოსწავლეთა რაოდენობა მცირდება და ასე გაგრძელების შემთხვევაში, კატასტროფა გარდაუვალია.

**„გამაჰმადიანებულებმა მშობლიური ენა შევინარჩუნეთ და დღემდე, ინგილოებად იმის გამო ვიწოდებით, რომ თავის დროზე, ამ სოფლებში ქართული სკოლები გაიხსნა. ამ მიზნით, ჰერელთა სასიქადულო შვილები თვით სტალინთან იყვნენ შესულები და ამ საქმეში მხარდაჭერის მოპოვებაც შეძლეს. იმ სოფლებში კი, სადაც ქართული სკოლები თავიდანვე ვერ გაიხსნა, დღეს მშობლიურ ენაზე მხოლოდ ღრმადმოხუცებულები მეტყველებენ. ახალგაზრდა თაობა კი, დამახინჯებული აზერბაიჯანულით ლაპარაკობს... რამდენიმე სოფელში, ქართული სკოლების გახსნის შემდეგ, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ რუსული და აზერბაიჯანული სექტორებიც ჩამოაყალიბა. სსრკ-ს დანგრევასთან ერთად, რუსული განყოფილება მატიანეს ჩაბარდა. ქართულ სექტორს თავი ვაი-ვაგლახით გააქვს“,** — აცხადებენ ჰერელები, რომლებიც, გარკვეული მიზეზების გამო, ვინაობას არ ასახელებენ.

ჰერელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამ მხრივ ყველაზე რთული მდგომარეობა დაბა ალიაბადშია, სადაც ოთხი მოქმედი საშუალო სკოლიდან ქართული მხოლოდ ერთში შემორჩა. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, დანარჩენ სკოლებში ქართული განყოფილებები ნელ-ნელა ამოძირკვეს. ერთადერთ სკოლაში დარჩენილი ქართული სექტორი მუდმივი ზეწოლის ქვეშაა — მასწავლებლები მეთვალყურეობის ქვეშ არიან, რომ საკუთარი უფლებების დასაცავად აქტიურობა არ გაბედონ.

**„ნებისმიერი თბილისური დელეგაციის ვიზიტი მკაცრად კონტროლდება, რომ მასწავლებლებმა „რამე ზედმეტის“ თქმა არ გაბედონ. გაბედავენ და, ადგილობრივ ორგანოებში დაბარება-დაკითხვები არ ასცდებათ. აზერბაიჯანული სექტორის მასწავლებლებს კი, კოლეგების წინააღმდეგ მიზანმიმართულად განაწყობენ. ასეთ მძიმე გარემოში მუშაობა ყოვლად წარმოუდგენელია და, შესაბამისად, ქართული სექტორის კონტინგენტი მცირდება — მშობლებს არ სურთ, შვილების განათლება რისკის ქვეშ დააყენონ, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა თბილისის მხრიდან თანადგომა თითქმის განულებულია. მაგალითად, წლებია, საინგილოს სკოლებში ახალი ქართული სახელმძღვანელოები არ შესულა და პედაგოგებსა თუ მოსწავლეებს საზღვარზე წიგნების გადატანა მალულად უწევთ — აზერბაიჯანული მხარისთვის ქართული სახელმძღვანელო კონტრაბანდის ტოლფასია და ისე დასდევენ, როგორც ნარკოტიკს“,** — ამბობენ ინგილოები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პედაგოგები ქართული სექტორის გამოყოფას მოითხოვენ, რათა ამ გზით მშობლიური ენა და წარმომავლობა იხსნან. მათ არაერთხელ მიმართეს საქართველოს ხელისუფლებას, მათ შორის, დიასპორის საკითხებში ახალ სახელმწიფო მინისტრს და რეაგირებას ელიან. დრო კი არ ითმენს — საინგილოში ქართული სკოლა გადასარჩენია!

**„არ შეიძლება, არ გავიხსენოთ ბაქოში ჩვენი ელჩის დამოკიდებულება ინგილოების მიმართ. თავის დროზე ალიაბადის საშუალო სკოლაში ჩასულმა „დიპლომატმა“ ადგილობრივებს, დაახლოებით, ასე მიმართა: თუ ქართველები ხართ, აზერბაიჯანულ გვარებს რატომ ატარებთო. აღსანიშნავია, რომ ამ დროს ქართველ ელჩს გვერდით ადგილობრივი ჩინოვნიკები ედგა. ნაქეიფარი ელჩისთვის ინგილოებს პასუხი არ გაუციათ — ამის ღირსადაც არ ჩათვალეს. რომელ გვარებზეა საუბარი, როცა წლების განმავლობაში, შვილებს ქართულ სახელებს ვერ არქმევდნენ. ყველაფერი ეს გამაჰმადიანებული ქართველების ეროვნული ნიშნით აღიარების პრობლემამდე მიდის. თუ ეს არ მოხდება, ჰერეთში ქართველი აღარ დარჩება და ამ კუთხეს მხოლოდ „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ გაგვახსენებს. აქტიური მუშაობაა დასაწყები — ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა უნდა ჩამოყალიბდეს, რომელშიც უპირველესი ადგილი ადგილობრივ სკოლას უნდა ეკავოს“,** — მიაჩნიათ ინგილოებს.

მეზობელ აზერბაიჯანთან მეგობრული და სტრატეგიული ურთიერთობა, ცხადია, უნდა გაგრძელდეს. უბრალოდ, ის შევიწროება, რომელსაც ქართველები მეგობარ სახელმწიფოში განიცდიან, ყოვლად მიუღებელია, მით უმეტეს, რომ საქართველოში აზერბაიჯანულ სკოლებს განვითარებისთვის მაქსიმალური პირობები აქვთ შექმნილი. საგანმანათლებლო მოძრაობა კი, ორმხრივი უნდა იყოს. არც თბილისში, სამთავრობო სტრუქტურებს არგებთ სირაქლემის პოზაში ყოფნა და რეალური პრობლემების ვერდანახვა. დაიწყეთ, ბატონებო, მუშაობა, მიაღწიეთ აზერბაიჯანელ კოლეგებთან ელემენტარულ შეთანხმებას, საინგილოში ახალი ქართული სახელმძღვანელოები შეიტანეთ, ჯერ იქაურ სკოლებში ქართული სექტორები გააძლიერეთ, მერე, ცალკე სკოლად გამოყოფაზე დაიწყეთ მუშაობა...

დრო არ ითმენს — საინგილო გადასარჩენია. წელიწადში ერთხელ, ქურმუხობაზე ჩასვლა და ცრემლების ღვრა საქმეს არ უშველის!

ცნობისთვის: საინგილო — მხარე ფეოდალური ხანის საქართველოში, ისტორიული კახეთის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც თანამედროვე აზერბაიჯანში მდებარეობს. მოიცავს ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონების ტერიტორიას. ტერმინი „საინგილო“ მე-19 საუკუნეში დამკვიდრდა ინგილოებით დასახლებული მხარის აღსანიშნავად. გამაჰმადიანებულ ქართველს ინგილოს ეძახდნენ, რაც თურქულად „ახლად მორჯულებულს“ ნიშნავს. აქედან წარმოსდგება სახელები „ინგილო“ და „საინგილო“.

საინგილო შედგებოდა კაკ-ენისელისა და ელისუს სასულთნოსაგან. ეს ტერიტორია ადრინდელ საუკუნეებში, ძველი ქართული პროვინცია ჰერეთის შემადგენელი ნაწილი იყო. მე-11 საუკუნის დასაწყისში, ადმინისტრაციულად მაჭის საერისთავოს ფარგლებში მოექცა. მე-16-მე-17 საუკუნეებში, კახეთის სამეფოს პოლიტიკურმა ცვლილებებმა, ოსმალეთისა და სპარსეთის გამუდმებულმა აგრესიამ და დაღესტნელი ფეოდალების თავდასხმებმა, ამ მხარის ეკონომიკური და პოლიტიკური დაცემა გამოიწვია — ნადგურდებოდა მკვიდრი ქართველი მოსახლეობა, მის ადგილზე კი, სახლდებოდნენ წახურელი და ავარელი ლეკები. ერთდროულად ხდებოდა ქართველი მოსახლეობის დაყმევება და გამაჰმადიანება. დროთა განმავლობაში, საინგილო კახეთის სამეფოს საერთოდ მოწყდა. მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში აქ საბოლოოდ ჩამოყალიბდა ავარელი (ჭარი, ბელაქანი, კატეხი, თალა, მუხახი, ჯინიხი) და წახურელი (წახური, ელისუ, სუვაგილო და ყარადულაკი) ლეკების ე.წ. თავისუფალი თემები. კახეთის მეფეების მრავალი ცდა, აღმოსავლეთ კახეთის მიწები გაეთავისუფლებინათ, უშედეგოდ მთავრდებოდა. 1803 წელს ჭარ-ბელაქანი და ელისუს სასულთნო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შევიდა. 1830 წელს ცარიზმმა გააუქმა მათი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და შექმნა ჭარ-ბელაქნის ოლქი, მის ბაზაზე, 1840 წელს კი, — ბელაქნის მაზრა, რომელიც ადმინისტრაციულად საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შევიდა. 1842 წელს იგი კვლავ ცალკე ოლქად გამოიყო, 1844 წლიდან კი, ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქი გახდა. 1860 წლიდან იგი ზაქათალის „ოკრუგად“ იწოდებოდა და ექვემდებარებოდა დაღესტნის ოლქს. ამავე დროს, ყოფილი ელისუს სასულთნოს მთიანი ნაწილი, ე.წ. მთიანი მაღალი სამურის „ოკრუგს“ შეუერთდა. 1921 წლიდან საინგილო აზერბაიჯანის ფარგლებშია.

თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, საინგილო მოიცავს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონებს.

## ზაზა გაბუნია და გიორგი მუსხელიშვილი „კმარელი“ გიგი უგულავას დასჯას ითხოვენ



თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ზაზა გაბუნიამ და „ქართული ოცნება — თბილისის“ თავმჯდომარემ გიორგი მუსხელიშვილმა სპეციალური განცხადება გააკეთეს, რომლითაც მერის 8 თებერვლის ქმედებებს გამოეხმაურნენ.

ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის, ზაზა გაბუნიას განცხადებით, დედაქალაქის მერი საზოგადოებას პროვოცირებისთვის ორგანიზებული ჯგუფის ლიდერად მოევლინა.

**„ჩვენ აქამდე ვიცნობდით დედაქალაქის უპასუხისმგებლო მერს, გიგი უგულავას, რომელიც უპასუხისმგებლო იყო ჩვენი მოქალაქეების ინტერესებთან დაკავშირებით. 8 თებერვალს ვნახეთ დედაქალაქის უპასუხისმგებლო მერი, რომელიც ამჯერად, პროვოცირებისთვის ორგანიზებული ჯგუფის ლიდერად მოგვევლინა მაშინ, როცა პოლიცია წინასწარ შემუშავებული გეგმის საშუალებით, ყველაფერს აკეთებდა შესაძლო დაპირისპირების აღსაკვეთად და საფრთხის ნეიტრალიზაციისთვის, გიგი უგულავამ, საკუთარ თანამზრახველებთან, ნაციონალური მოძრაობის ლიდერებთან ერთად, მოახდინა სიტუაციის ესკალაცია, რომლის გამოყენებას ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური მიზნებისთვის ცდილობს. აღნიშნული ფაქტი არ უნდა დარჩეს სამართლებრივი რეაგირების გარეშე“,** — აღნიშნა ზაზა გაბუნიამ.

ამასთან, ფრაქცია „ქართული ოცნება – თბილისის“ თავმჯდომარის გიორგი მუსხელიშვილის განცხადებით, უგულავამ „ზონდერგუნდთან ერთად, სიტუაცია მაქსიმალურ ესკალაციამდე მიიყვანა“.

**„7 ნოემბრისა და 26 მაისის ავტორმა, „კმარელმა“ გიგი უგულავამ თავის „ზონდერგუნდთან“ ერთად, სიტუაცია მაქსიმალურ ესკალაციამდე მიიყვანა. გიგი უგულავამ კარგად იცის, რომ პასუხი უნდა აგოს ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულების გამო და 8 თებერვალს მისი მოქმედება ბოლო გაბრძოლება იყო ქვეყანაში მდგომარეობის დასაძაბად. მოვითხოვთ, ყველა ის პირი, რომელიც მის ლიდერ ქალაქის მერთან ერთად, ქვეყნის არეულობის მცდელობას ეწეოდა, პასუხისგებაში იქნას მიცემული“,** — აღნიშნა მუსხელიშვილმა.

***„ინტერპრესნიუსი“***

## ვერსიანიუსი

### მელორ ვაჩნაძესა და მიხეილ მესხს 100-100-ლარიანი ჯარიმა შეეფარდათ




თბილისის საქალაქო სასამართლომ მელორ ვაჩნაძესა და მიხეილ მესხს, ადმინისტრაციული სასჯელის სახით, 100-100 ლარის ოდენობის ჯარიმა შეუფარდა. მოსამართლე მირანდა ერემაძის განმარტებით, ჯარიმის გადახდის ვადად განისაზღვრა 7 დღე.

მელორ ვაჩნაძისა და მიხეილ მესხის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი 8 თებერვალს, საჯარო ბიბლიოთეკასთან, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტზე იყო შედგენილი. აღნიშნულთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში პროცესი ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. პროცესის განმავლობაში დაიკითხა რვა მოწმე, რომელთა მოსმენის შუამდგომლობაც დაცვის მხარემ დააყენა. ყველა მოწმემ ვაჩნაძისა და მესხის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა კატეგორიულად უარყო, რაც ბრალდების მხარის მტკიცებით, შეურაცხმყოფელ ხმამაღალ შეძახილებსა და გინებაში გამოიხატებოდა. მოწმეებმა აღნიშნეს, რომ ვაჩნაძე და მესხი სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებს წესრიგის დამყარებაში ეხმარებოდნენ.

ამასთან, სასამართლოზე ბრალდების მხარემ, ორმა პოლიციელმა განაცხადა, რომ ვაჩნაძემ და მესხმა უხეშად დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და აღნიშნულის გამო, მოითხოვეს დაკავებულებისთვის, ადმინისტრაციული სასჯელის სახით, 15-დღიანი პატიმრობის შეფარდება. თავის მხრივ, დაცვის მხარე, ადვოკატი ნათია კორკოტაძე ბრალდების მხარეს არ დაეთანხმა და მოსამართლეს განუცხადა, რომ პროცესზე სამართალდამცველებმა ვერ შეძლეს ვაჩნაძისა და მესხის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და გინების დამადასტურებელი ვიდეომასალის ან სხვა სახის მტკიცებულების წარმოდგენა.

***„ინტერპრესნიუსი“***

# „გაგვიყვანონ სადმე და დაგვხვრიტონ ან მიწა მოგვცენ!“

მერაბ ბერიძე

**გარდაბნის რაიონის სოფელ ქესალოს მოსახლეობა მიწის გარეშეა დარჩენილი. თავის დროზე, ეკონომიკის სამინისტროს გადაწყვეტილებით, 750 ჰექტარი მიწა, როგორც ადგილობრივები ამბობენ, ხელში სოფლის მეურნეობის ყოფილმა მინისტრმა, მიხო სვიმონიშვილმა და პარლამენტარმა არჩილ გეგენავამ ჩაიგდეს და „სანდო პირებზე“ გადააფორმეს. ამ „სანდო პირებში“ არიან გარდაბნელები — შახვალად ხიალოვი და ხანახმედ გარიბოვი, რომლებიც თანასოფლელებს მიწის იჯარაში ხუთას ლარს ახდევინებენ და ეს მაშინ, როცა ადრე ხალხს, წელიწადში, 80-90 ლარის გადახდა უწევდა. ამ უსამართლობის გამო, ქესალოელი გლეხები წელიწადია, საპროტესტო აქციებს მართავენ. ისინი ბოლოს სახელმწიფო კანცელარიის წინ შეიკრიბნენ.**



ქესალოელები მიხეილ სვიმონიშვილსა და არჩილ გეგენავას სოფლის მიწების უკანონო მითვისებაში ამხელენ და დახმარებას ბიძინა ივანიშვილს სთხოვენ

**აღსანიშნავია, რომ სოფლელებს, თავის დროზე, მიწის ნაკვეთების შესასყიდად ფული გადაახდევინეს და დოკუმენტები ნოტარიუსშიც გაუფორმეს, მაგრამ რეალურად, არაფერი მიყიდეს. მოგვიანებით, ამ ფულიდან ზოგს ნაწილი დაუბრუნეს, ზოგს — არა. ქესალოელთა ინფორმაციით, ამ მაქინაციების შედეგად, მათი მიწები ყოფილმა მინისტრმა, დეპუტატმა, გამგებლებმა, მოადგილეებმა და ამ კატეგორიის ხალხმა დაისაკუთრა. რვა თვეა, ამ საქმეს პროკურატურა იძიებს — მოსახლეობას რუსთავსა და გარდაბანში დაკითხვებზე იბარებენ.**

**ქესალოელებს სოლიდარობა თავიდანვე პარტია „მომავალმა საქართველომ“ გამოუცხადა. პარტიის ქვემო ქართლის რეგიონული წარმომადგენლის, ნათელა მშვენიერაძის განცხადებით, თუ ახალი მთავრობა სოფელს სათანადო ყურადღებას არ მიაქცევს, უფრო დიდი მასშტაბის აქციები მოეწყობა:** „ადრე აქცია პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთანაც მოვაწყვეთ და პარლამენტის წინაც, მაგრამ რეაგირება არ ყოფილა. სახელმწიფო კანცელარიასთან კი, პირველად მოვედით და ახალი მთავრობა ამ საკითხის გადაწყვეტაში, ალბათ, დაგვეხმარება. გლეხობა ცუდ მდგომარეობაშია“.

**ადგილობრივი ქარამ ალიევი, „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ გაზაფხულის პირას სოფელი მიწას ითხოვს:** „ე.წ. ინვესტორებმა მიწა უკანონოდ ჩამოგვართვეს და არ გვიბრუნებენ, წელიწადში 400-500 ლარს გვთხოვენ. ეს უკანონობა რამდენ ხანს გაგრძელდება? სოფლელები მიწით ვცხოვრობთ და მიწის გარეშე ჩვენი დატოვება როგორ შეიძლება?! ჩვენი ინფორმაციით, ქესალოში ყველაზე მეტი, სამასი ჰექტარი მიხო სვიმონიშვილს აქვს აღებული. სულ 750 ჰექტარი წაგვართვეს, სოფელს ას ჰექტრამდეღა დარჩა. თითოეულ მოსახლეზე 23 მეასედი დაარიგეს და ჩვენს გაჩუმებას შეეცადნენ. იმედი გვაქვს, ახალი მთავრობა ჩვენს გასაჭირს გაითვალისწინებს. წინასაარჩევნოდ სიტყვა მოგვცეს და უნდა შეასრულონ — „ქართული ოცნების“ გაზეთში ეწერა, რომ ყველა საჭირო ზომას მიიღებდნენ სამართლიანობის აღსადგენად, მათ შორის, — მიწების საკითხში. ახლა ამის დროა და გააკეთონ ეს საქმე“.

**ზახიდ მამედოვის თქმით, ყველაფერი 2011 წელს დაიწყო:** „უცბად, ორი ინვესტორი მოვიდა, მიწა ჩვენია, ვიყიდეთ და თქვენ აქ არაფერი გესაქმებათო. ვუთხარით, თუ გაყიდვაზეა საუბარი, ჩვენ მოგვყიდეთ — აქვე ვცხოვრობთ, ვამუშავებთ, პროდუქციას ბაზარში ვყიდითო... არა, არც სააკაშვილი ვიცით და არც — ივანიშვილი, მიწა ჩვენ გვეკუთვნის და სადაც გინდათ, იქ მიდით და იჩივლეთო. მოვითხოვეთ, სოფლისთვის მავთულხლართი შემოერტყათ, რადგან მიწის გარეშე მაინც ველარაფერს გავაკეთებთ... დავრჩით ასე, გაღლეტილები — არც კოლმეურნეობაა, რა უნდა ვაკეთოთ, რითი ვიცხოვროთ? ქარხანა-ფაბრიკას კი არ ვითხოვთ, მიწა დაგვიბრუნონ, რომ მოვხნათ და დავთესოთ. ამის გამო, სოფელში მასობრივი უმუშევრობაა. ადრე გარდაბანი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული რაიონი იყო — 23 საბჭოთა მეურნეობა მხოლოდ თბილისს კი არა, მაშინდელ ლენინგრადს და სხვა საკავშირო ქალაქებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას უგზავნიდა. დღეს კი, ყველაფერი ჩამკვდარია. სოფლელის ერთადერთი იმედი მიწაა... როცა ადამიანს კბილი სტკივა, სტომატოლოგთან მიდის. ჩვენ კი, ახალი მთავრობა ავირჩიეთ და ამასთან მოვედით. ვეკითხებით, რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ? ჩამოდით ქესალოში და საკუთარი თვალით ნახავთ, რომ ხალხს ელემენტარული სარჩო აღარ აქვს. გაგვიყვანონ სადმე, დაგვხვრიტონ, ან მიწა მოგვცენ, მესამე გზა აღარ დაგვიტოვეს. ამ მიწით ისევ ქალაქს უზრუნველვყოფთ სუფთა პროდუქტით, ზურგზე არ ავიკიდებთ და სხვაგან არ წავიღებთ.

ისიც მინდა გითხრათ, რასაც ამ მიწაზე ინვესტორები აკეთებენ: ყველაფერში ქიმიკატებს იყენებენ. მათ მიერ მოყვანილ პროდუქტს საკვებად არ ვიყენებთ. ჩვენ ყველა საქმეს გულმოდგინედ ვაკეთებთ, დილიდან საღამომდე ვმუშაობთ, მოსავალი მოგვყავს და გასაყიდად ქალაქში ჩამოგვაქვს. ესენი კი, ოღონდ სწრაფად გაყიდონ, ათას ქიმიურ საშუალებას იყენებენ.“

**უმუდ ისკანდაროვს ქესალოს ცენტრში, თავის დროზე, 120 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთს ფლობდა, თუმცა როგორც ამბობს, გარდაბნის გამგებლის მოადგილემ, არაზ მაშოვმა ჩამოართვა და დღემდე, ამ უკანონობის მსხვერპლია:** „ბენზინგასამართი სადგური მედგა და ამ ტერიტორიაზე, ჩემს გარდა, ექვსი კაცის მაღაზია მუშაობდა. მოვიდა გარდაბნის გამგებლის მოადგილე არაზ მაშოვი, მიწა წამართვა და, თვითონ რომ არ გამოჩენილიყო, სხვის სახელზე გააფორმა. ამის შემდეგ, მეორე პიროვნებაზეც გააფორმა მიწის ნაწილი, რომელმაც იქ მაღაზია ააშენა და 30 ათასად გაყიდა. ვითხოვ ჩემი უფლებების აღდგენას, მაღაზია მისი იყოს, მიწა უკან დამიბრუნოს.“

**ამ საკითხზე მომავალი საქართველოს ლიდერმა გიორგი ლაღიძემ პრემიერ-მინისტრის წარმომადგენლებთან პირველი მოლაპარაკება გამართა და მათგან პირობა მიიღო, რომ განცხადების უშუალოდ პრემიერის სახელზე შეტანის შემდეგ, შესაბამის რეაგირებას მოახდენენ:**

„ქესალოელები შვიდას ჰექტრამდე მიწას, წლების განმავლობაში, იჯარით ამუშავებდნენ და გადასახადს კეთილსინდისიერად იხდიდნენ, მაგრამ მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ ეკონომიკის სამინისტრომ მიწის ეს ნაკვეთები ჩუმად გაასხვისა. თუ ვინმეზე მიწის გადაცემა უნდა მომხდარიყო, უპირატესობა გლეხებს უნდა მინიჭებოდა, ვინაიდან მათ ჰქონდათ იჯარით აღებული, მაგრამ ეკონომიკის სამინისტრომ კანონი დაარღვია და გლეხები საარსებო არეალის გარეშე დატოვა... ამასთან, მიწის დასაკანონებლად, გლეხებისგან რამდენიმე ასეული ათასი ლარი აკრიფეს, მაგრამ ნაკვეთები ვერ დაუკანონეს, თუმცა თანხა უკან ნაწილობრივ დაუბრუნეს. ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და გამოძიება მიმდინარეობს... ყველაფერ ამაში სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრის, მიხო სვიმონიშვილისა და არჩილ გეგენავას ინტერესებიც იკვეთება. პრაქტიკულად, ეს მიწები მათ შეიძინეს და შემდეგ, იჯარით სხვებზე გასცეს. მიწების რამდენიმეჯერ გასხვისება ცნობილი ფანდია, რომ ველარ აღმოაჩინო, ვინ დაარღვია კანონი... თუ საკითხი სასწრაფოდ არ გადაწყდება, ხალხი ფართომასშტაბიან აქციებს დაიწყებს. სხვათა შორის, მიწის დღევანდელი ე.წ. მეპატრონეები მიწას ვერ ამუშავებენ და გლეხებს იჯარით სთავაზობენ...“

**„მიწა გლეხებს, ქარხნები — მუშებს!“ — ეს საბჭოური ლოზუნგი, ალბათ, ბევრს ახსოვს, თუმცა სხვა საკითხია, რეალურად, როგორ ხდებოდა მაშინ „მიწიერი სიკეთეების“ გადანაწილება. დღევანდელ „დემოკრატიულ წყობილებაში“ კი, ყველაფერს ხელში ე.წ. ინვესტორები იგდებენ და მერე, ამ ქონებით სარფიანად ვაჭრობენ. როგორც ჩანს, ბატონ-ყმობა გრძელდება! საერთოდ, ეს მხოლოდ გარდაბნის რაიონის პრობლემა არაა. ქვემო ქართლის მსგავსად, კახეთის მიწებიც ელვისებურად გადადის ინდოელი „ინვესტორების“ ხელში, თან — 99-წლიანი ვადით. არავინ უწყის, ეს პროცესი ქვეყანას სადამდე მიიყვანს... სამართლიანობა მიწების განაწილების სფეროშიც აღსადგენია.**

## რიჩარდ ნორლანდის აზრით, რაც 8 თებერვალს მოხდა, დემოკრატია არაა



**„ის, რაც 8 თებერვალს მოხდა, არ არის დემოკრატია“,** — ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა პრეზიდენტის რეზიდენციის წინ შეკრებილ მოქალაქეებთან საუბრისას განაცხადა. მისი თქმით, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ძალადობას ჰქონდა ადგილი, რაც ელჩის განცხადებით, არ არის დემოკრატია. ესმის, რომ მოსახლეობა შეიძლება, ბევრ რამეზე იყოს განაწყენებული, მაგრამ მთავარია, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდეს.

***„ინტერპრესნიუსი“***

# დედოფლისწყაროელი მუშები 6 თვის ხელფასს ითხოვენ

## რატომ იმალება „გრიმლაინის“ ხელმძღვანელი ირაკლი ძნელაძე

ილია მარტყოფლიშვილი
„ვერსიისთვის“ კახეთიდან

**ტენდერში გამარჯვებულ სარეაბილიტაციო სამუშაოების მწარმოებელ კომპანიასა და დედოფლისწყაროელ მუშებს შორის დაპირისპირება არ ცხრება — მეექვსე თვეა, დედოფლისწყაროში, საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგებაზე დასაქმებული მუშები სახელფასო დავალიანების — 22 ათასი ლარის დაფარვას ითხოვენ და აცხადებენ, თუკი დავალიანება არ დაიფარება, შპს „გრიმლაინის“ წინააღმდეგ სარჩელს სასამართლოში შეიტანენ.**

მუშების განცხადებით, დედოფლისწყაროს შვიდ ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემის აღდგენა-რეკონსტრუქცია შარშან, ოქტომბერში დაასრულეს... სარეაბილიტაციო სამუშაოები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე ჩატარდა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. ბიუჯეტიდან კომპანიისთვის თანხის დაგვიანებით გადარიცხვა ხომ არ გახდა ხელფასების დაგვიანების მიზეზი? — ამის გასარკვევად „ვერსია“ დედოფლისწყაროს გამგებელ ირაკლი შიოლაშვილს დაუკავშირდა, რომელიც ირწმუნება, რომ კომპანიას ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა ვადის დაცვით ჩაერიცხა და, შესაბამისად, ხელფასების გაუცემლობა თვითმმართველობის ორგანოს მიზეზით არ მომხდარა.

მუშებმა, როგორც თვითონ ამბობენ, შპს „გრიმლაინის“ ხელმძღვანელ ირაკლი ძნელაძეს, გასული თვეების განმავლობაში, არაერთხელ მიმართეს, თუმცა მისგან სათანადო პასუხი დღემდე ვერ მიიღეს. მუშების ნაწილი მრავალშვილიანი ოჯახის უფროსია, ნაწილიც — სოციალურად დაუცველი. სიღატაკის ზღვარსმიღმა მყოფთ კი, ოჯახის საკვებით უზრუნველყოფის პრობლემა აქვთ...

აღსანიშნავია, რომ ირაკლი ძნელაძე ჟურნალისტთა სატელეფონო ზარებს არ პასუხობს. მუშების ნაწილი ამბობს, რომ კომპანიის ხელმძღვანელთან დაკავშირებას ვერც ისინი ახერხებენ. მათი თქმით, ძნელაძე მათთან კონტაქტს გაურბის.

**„ექვს-შვიდ ქუჩაზე ვმუშაობდით. ზოგან გავარემონტეთ, ზოგან მთლიანად ახალი საკანალიზაციო სისტემა აშენდა. ხელფასი ამ დრომდე ასაღები გვაქვს. 20 მუშა ვართ დარჩენილი... დავალიანება ყოფილი გამგებლის მამის, ნოდარ შანშიაშვილის ორგანიზაციისთვისაც დასაფარი აქვთ... ტელეფონზე არ გვპასუხობს... თუ ასე გაგრძელდა, იძულებულნი გავხდებით, უფლებების დასაცავად, სასამართლოს მივმართოთ. აღარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ“,** — აღნიშნავენ უკმაყოფილო მუშები.

დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი ამბობს, რომ ხელფასების დაგვიანება მუნიციპალიტეტის მიზეზით არ მომხდარა. მისივე თქმით, კომპანიის ხელმძღვანელი ირაკლი ძნელაძე აღებულ ვალდებულებებს არ გაურბის.

**„კომპანიამ გარკვეული ნაბიჯები ვერ გათვალა — ვადებში ვერ ეტეოდა, რის გამოც მუშახელი და ტექნიკა დაამატა, რამაც ხარჯები გაზარდა და გარკვეული პრობლემები წარმოიშვა. მინდა გითხრათ, რომ კომპანიის ხელმძღვანელი ამ გაურკვევლობით წუხს და პირობა დადო, რომ ხელფასები დედოფლისწყაროში უახლოეს მომავალში გაიცემა“,** — აღნიშნავს საკრებულოს თავმჯდომარე.

კომპანიის ადგილობრივი კოორდინატორი ნოდარ ხატიაშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას ადასტურებს, რომ შეწუხებული მუშები მასთან თითქმის ყოველდღე მიდიან და როგორც კი კომპანია თანხებს მოიძიებს, პირველ რიგში, ხელფასებს დაფარავს.

**„სახელფასო ანაზღაურების დიდი ნაწილი დაფარულია და, როგორც ჩემთვისაა ცნობილი, მხოლოდ ბოლო პერიოდის თანხაა დასაფარი, თუმცა დავალიანება მხოლოდ სახელფასო არ გახლავთ, ადგილზე წარმოებული ბეტონის კომპანიის თანხაც გადასახდელი აქვთ. მთავარი ისაა, რომ ხელმძღვანელობა ამ დავალიანებას აღიარებს და პასუხისმგებლობას არ გაურბის. ვფიქრობ, ყველაფერი თვის ბოლომდე უნდა მოგვარდეს. რამდენიმე დღის წინ ვესაუბრე „გრიმლაინის“ ხელმძღვანელს, რომელიც ამბობს, რომ ერთ თეთრს არ შეირჩენს. როგორც ამიხსნეს, ამ კომპანიას რომელიღაც კონტრაქტორთან რაღაც სასამართლო დავა აქვს და თანხის ჩარიცხვას უახლოეს დღეებში ელოდება“,** — აღნიშნავს ნოდარ ხატიაშვილი.

# რა პრობლემებს იწვევს არასწორად შერჩეული საღებავი და რომელი ფირმის საღებავი უნდა იყიდოთ თქვენი სახლის რემონტისთვის?!

ეკა სეხნიაშვილი

**მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ბაზარზე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისთვის განკუთვნილი საღებავების ბუმია, ხარისხიანი საღებავის შეძენა კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება. მომხმარებლისთვის მთავარი თავსატეხი, ხარისხიანი და გამძლე საღებავის ყიდვაა. არის შემთხვევებიც, როცა ოჯახებში სარემონტო სამუშაოების დროს გამოყენებული საღებავების წყალობით, ინტოქსიკაციის შემთხვევებიც ფიქსირდება: სად და რომელი ხარისხის საღებავი უნდა შეიძინოს მომხმარებელმა, რომელია ყველაზე ხელმისაწვდომი და ამავე დროს, ხარისხიანი საღებავი საქართველოში და რა უნდა იცოდეს რიგითმა მოქალაქემ, როცა საღებავს ყიდულობს. ამ და სხვა პრობლემატურ საკითხებზე „კაპაროლ ჯორჯიას" გაყიდვების მენეჯერი ნიკოლოზ არაზაშვილი გვესაუბრება.**




**— ბატონო ნიკოლოზ, ქართულ ბაზარზე დღეს, ერთი შეხედვით, სამშენებლო-სარემონტო საღებავების ფართო არჩევანია, თუმცა მომხმარებლისთვის მაინც პრობლემად რჩება ხარისხიანი საღებავის შეძენა. რას ურჩევდით მათ, რაზე უნდა გააკეთოს აქცენტი სარემონტო სამუშაოებისთვის საღებავის შერჩევისას?**

— პირველ რიგში, მომხმარებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს საღებავის ხარისხს, რომლის მიმანიშნებელი, გარკვეულწილად, გახლავთ ისიც, სად და რომელი კომპანიის მიერაა ნაწარმოები ეს პროდუქცია.

„კაპაროლ ჯორჯიამ" დანერგა გერმანული სტანდარტის, ხელმისაწვდომი საღებავებისა და ლაქების №1 საღებავების ბრენდი — „ალპინა". ჩვენ ქართველ მომხმარებელს სწორედ ასეთ რენტაბელურ ვარიანტად „ალპინას" წყალდისპერსიულ საღებავებს ვთავაზობთ.

**— ვიდრე გადავალთ „ალპინას" უპირატესობებზე, სად შეუძლია იყიდოს მომხმარებელმა აღნიშნული საღებავი?**

— რა თქმა უნდა, „კაპაროლის" სადილერო ქსელში. ასევე ელიავასა და სხვა ბაზრობებზეც დახურული მაღაზიის ტიპის, საცალო ვაჭრობაშიც, ოღონდ არა ქუჩაში, ისეთ გამყიდველთან, რომელსაც ძირს აქვს გამოდგმული საღებავები.

**— „ალპინას" გამორჩეულ უპირატესობებში რას გულისხმობთ?**

— უპირველესად, ეს გახლავთ საღებავის ეკოლოგიური სისუფთავე. ის გარემოსთვის მავნებელი არაა. ამას ემატება ისიც, რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის სრულიად უსაფრთხო პროდუქტია. როგორც წესი, საღებავს ზიანი მოაქვს მისი კედელზე ან სხვა ობიექტზე დატანიდან 1 თვის განმავლობაში, როდესაც ის ორთქლდება და გამოყოფს მავნე ნივთიერებებს. „ალპინას" შემთხვევაში, ეს გამორიცხულია. მეტსაც გეტყვით, „ალპინას" საღებავები ჩამოსხმულია ისეთ პლასტმასის ჭურჭელში, რომელიც გამოიყენება კვებით ინდუსტრიაში.

ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტია „ალპინას" მედეგობა ანუ გამძლეობა. ჩვენ თბილისშიც გვაქვს წარმომადგენლობა და ლაბორატორია, სადაც ამ წყალდისპერსიული საღებავის ხარისხი მუდმივად კონტროლდება. ამას გარდა, „ალპინას" საღებავი იტესტება ადგილზე, გერმანულ ლაბორატორიაში, თუ რამდენად მედეგია და მდგრადუნარიანია. რამდენიმე ათეული ტესტიდან მაგალითისთვის ერთ-ერთი სასინჯი ტექსტი ასეთია: საღებავი დაიტანება ფირფიტაზე, ზემოდან დამაგრებული ჯაგრისი 10 000 მოხეხვას აწარმოებს და მიღებული შედეგიდან ვიღებთ ზუსტ სურათს, რამდენად მდგრადუნარიანია საღებავი. ზოგადად, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა საქართველოში. ამ მოთხოვნებს ზუსტად პასუხობს „ალპინას" საღებავები, რომელიც მედიუმ-სეგმენტის საღებავია და ხელმისაწვდომია საშუალო ფენის მომხმარებლისთვისაც.

**— ფერების არჩევანი, მოგეხსენებათ, მნიშვნელოვანია. ამ მხრივ ხომ არ აქვს შეზღუდვები „ალპინას"?!**

— კიდევ ერთი უპირატესობა, რომელიც ახასიათებს „ალპინას", ეს გახლავთ ფერების ფართო არჩევანი — გემოვნებისა და სურვილის მიხედვით. გვაქვს უამრავი კატალოგი, რომლის მიხედვითაც ხდება ფერების არჩევა. ასევე მნიშვნელოვანი უპირატესობაა, რომ „ალპინას" არჩევის შემთხვევაში, ჩვენ ყოველგვარი საფასურის გარეშე, ვთავაზობთ მომხმარებელს, ავტომატის მიხედვით, შეფერადებისა და ე.წ. ფერის დასმის მომსახურებასა და ამ ტიპის კონსულტაციას. სპეციალური ავტომატის შეფერადების სისტემით ხდება ზუსტად იმავე ფერის მიღება, რომელიც სურს მომხმარებელს. ხშირია შემთხვევები, როცა უკვე გამოყენებული ფერის იდენტურ საღებავს მომხმარებელი ვეღარ ყიდულობს, ამიტომაც „ალპინას" საღებავის არჩევანის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ, ავტომატის მიხედვით სასურველი ფერის მიღება. ჩვენს ქსელში ფერის შერჩევის კონსულტაცია და მომსახურება უფასოა. მომხმარებელს სრულ ანოტაციას ვატანთ არჩეული საღებავის მოხმარების წესის შესახებ.

**— გარდა „ალპინას" წყალდისპერსიული საღებავებისა, რა ასორტიმენტს სთავაზობთ მომხმარებელს?**

— მომხმარებელი ჩვენთან არც ასორტიმენტის შერჩევაშია შეზღუდული. საღებავების გარდა, მათ შეუძლიათ, შეიძინონ პარკეტის ლაქი, რკინისა და ხის საღებავები. აღნიშნული საღებავები გახლავთ როგორც სტანდარტული ფერის, ასევე შეიძლება სასურველი ფერის მიღება კომპიუტერული პროგრამის მიხედვითაც, გვაქვს ანტიკოროზიული (ჟანგსაწინააღმდეგო) საღებავებიც.

**— „ალპინას" უპირატესობები აშკარაა, მაგრამ დღეს ბაზარი, მაგალითად, იგივე ელიავას ბაზრობა გაჯერებულია სხვადასხვა ტიპის საღებავებით..**

— „ალპინას" გამორჩეულობის უპირველესი კომპონენტი სწორედ ის გახლავთ, რომ მომხმარებელი დაზღვეულია ფალსიფიკაციისგან. „ალპინას" არჩევანისას ის ღებულობს სასურველ ფერს ეფექტურად და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით. ჩვენთან მომსახურების ხარისხი და პასუხისმგებლობა არის ის უპირატესობა, რაც ბაზარზე დღეს, მართლაც დეფიციტურია. „ალპინას" საღებავების ხელმისაწვდომობა და მისი მედეგობა ანუ გამძლეობა გახლავთ უმთავრესი გამორჩეული კრიტერიუმი. ამაში მომხმარებელი თავადაც დარწმუნდება, როდესაც „ალპინას" საღებავზე შეაჩერებს არჩევანს. ჩვენთვის უმთავრესი ტესტი სწორედ მომხმარებელია და ქართველი მომხმარებელი „ალპინას" არჩევის შემთხვევაში, კმაყოფილი დარჩება.

საზოგადოება

# სასამართლომ დომენტი გაგნიძე უდანაშაულოდ სცნო?!

დავით დევიძე

**ცნობილი სახალხო მკურნალის, დომენტი გაგნიძის მრავალთვიანი სასამართლო პროცესი დასრულდა — წინა ხელისუფლების დროს არალიცენზირებული მედიკამენტების წარმოებასა და გადასახადებისაგან თავის არიდებაში ბრალდებული მკურნალი სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო და ყველა ბრალდება მოუხსნა. ასეთ შემთხვევაში, ამბობენ ხოლმე, სამართალმა იზეიმაო, მაგრამ სამედიცინო კლანების მიერ უსაფუძვლოდ შელახული რეპუტაციის აღსადგენად გამამართლებელი განაჩენი საკმარისია? სასამართლოსგან გამართლებული დომენტი გაგნიძე, „ვერსიასთან" საუბრისას აცხადებს, რომ საკუთარ მიზნებს აუცილებლად განახორციელებს.**



სახალხო მკურნალი თელავში „უფლის ბაღის" აშენებასა და ქვეყანაში ინვესტიციების შემოტანას აპირებს

**დომენტი გაგნიძე:** „პირველ რიგში, ადამიანს ადამიანური გრძნობების მოთოკვა უნდა შეეძლოს და მხოლოდ საკუთარ „მე"-ს მიმდევარი არ უნდა იყოს. ასეთი ისაა, ვინც მილიონებს ბანკებში ინახავს. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და, უფრო მეტი უნდა — ქვეყნის დაპყრობაზე ფიქრობს. ეს მოჩვენებითი ადამიანობაა და ასეთებს არც ხალხი უყვართ, არც — სამშობლო და თუ დასჭირდა, დაჰკრავს ფეხს და, საკუთარი ტყავის გადასარჩენად, საზღვარგარეთ გაიქცევა. ისეთი ქართველები, როგორიც ახალაიები და ადეიშვილები არიან, არავის სჭირდება. თუკი სამშობლო გიყვარს, საქმეს გასაქცევად რატომღა იხდი?

თუკი ზემოხსენებული გარეწრებისნაირი ხალხი ხელს არ შემიშლის, ქვეყანაში მილიარდების შემოტანა ადვილად შემიძლია. იმას კი არ ვამბობ, რომ ამ თანხას ჩემს ანგარიშზე შემოვიტან, სახელმწიფო ბიუჯეტს ვგულისხმობ, თორემ მე ცოტაც მეყოფა. თუ ჩემი მდგომარეობა გამოსწორდა და ხელს აღარავინ შემიშლის, ვფიქრობ, თელავში გავაკეთო „უფლის ბაღი", რომელიც ჯვარში გამოსახული და ეკლესიებით დამშვენებული იქნება. ყველაფერი ეს 20 ჰექტარს დაიკავებს. ამ „უფლის ბაღში" აღმართული იქნება ყველა სახელმწიფოს დროშა, რაც ხაზს ინტერნაციონალურობას გაუსვამს. ბაღის თავზე საბაგირო გზა იქნება გადაჭიმული და ხალხს საშუალება ექნება, ბაღი ზემოდანაც დაათვალიეროს. ყველაფრის თქმა შორს წაგვიყვანს, მაგრამ გპირდებით, ეს მსოფლიოში უნიკალური ბაღი იქნება, რომელიც აუარება ტურისტს მოიზიდავს და რომელიც ჩემს მედიკამენტებზე — „დომენტოლზე", „გაგენოლსა" და „ლევანოლზე" ნაკლებშემოსავლიანი არ იქნება.

ბაღის ნახაზი რომ გავაკეთე, ჩემმა ტყუპისცალმა ძმამ მკითხა, ნახაზი ვინ შეგიდგინაო? ვუპასუხე, ჩემი გაკეთებულია-მეთქი, მაგრამ ისეთი გრანდიოზული ჩანაფიქრია, რომ ვერ დაიჯერა. თელავთან ახლოს, სალაურში ხალხი ნაკვეთებს 300-400 ლარად ყიდდა, მაგრამ როცა გაიგეს, რისთვისაც ვყიდულობდი, ფასი ათმაგად გაზარდეს. ყველაზე დიდი დარტყმა ის იყო, რომ წინა მთავრობამ ყადაღა დამიდო. ახლა, საბედნიეროდ, სასამართლომ გამამართლა და ამაში ერთი კაცის დამსახურებას ვხედავ: დიდი მადლობა ბიძინა ივანიშვილს! 2013 წლის 16 იანვარს ყადაღა მომიხსნეს. არადა, მთავრობაში ბიძინა ივანიშვილი რომ არ მოსულიყო, ციხეს ველოდი. ნურავის გაუკვირდება, თუ ამ კაცს ვუმადლი... ფული რომ წამართვეს, ცინიკურად მითხრეს, ბიუჯეტში შეიტანეს შენი ფულიო. განა, ეს ადამიანური საქციელია? ის ფული, რომლითაც ბაღი უნდა გამეკეთებინა და მედიკამენტები მეწარმოებინა, უსინდისოდ წამართვეს. მოვითხოვ, ვინც ეს გააკეთა, პასუხი აგოს!"

**იმედია, შესაბამისი ორგანოები დომენტი გაგნიძის მოთხოვნას დროულად შეისწავლიან და ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებენ. ეს აუცილებელი, ჯერ ერთი, სამართლებრივადაა, მეორეც, ამ თანხის დახარჯვას დომენტი გაგნიძე ისევ ქვეყნის ინტერესებისთვის აპირებს.**



**შალვა რამიშვილი**

მოქალაქევ, ეგენი („ნაციონალები“) არ უნდა სცემო, არ უნდა შეეხო საერთოდ, მაგრამ ზიზღი უნდა გამოხატო მაგათ მიმართ!

უნდა გრძნობდნენ, რომ იმ ამაზრზენი მთავრობის წევრები არიან, რომელმაც ორი კაცი ცემით მოკლა, მათი გვამები ფარდულის სახურავზე შეყარა და მეორე დღეს იქვე, აღლუმი ჩაატარა!



**ნანა ზარდიაშვილი**

ყველაზე ცუდი ის არის, რომ იმის შიშით არაპროგრესულობა არ დაგვბრალდეს, ჩვენი საზოგადოების „სვეცკი“ ნაწილი ტოლობის ნიშანს სვამს აღშფოთებული, ნაწამები ადამიანების რეაქციასა და ძალადობრივი სახელმწიფო მანქანის ქმედებებს შორის, ერთმანეთს უთანაბრებს 26 მაისს, 7 ნოემბერს, მასობრივ წამებას ციხეში და 8 თებერვლის ინციდენტს. ადამიანის უფლებების ტერმინებში ლაპარაკი, შეიძლება, მხოლოდ რეპრესიული სისტემის კონტექსტში, მხოლოდ ამ შემთხვევაში. რა გჭირთ, ხალხნო? ეს რა უსუსური სნობიზმია? ვის ეპრანჭებით? „ნაცმოძრაობაა“ თქვენი რეფერენტული ჯგუფი? ძალადობა ყოველთვის ცუდია, მაგრამ სახელმწიფო მანქანის, სისტემის ძალადობა ყველაზე საშინელი რამეა — ჰიტლერი, პოლ პოტი, სტალინი და უბნის ხულიგანი ერთნაირი საფრთხის შემცველები არიან? აბსოლუტური აღრევაა ცნებების, ფასეულობების, ყველაფრის, საერთოდ.



**ნანა გაგუა**

პოლიცია არასათანადოდ იქცეოდაო... და რა უნდა ექნა? — ჩვეულებისამებრ და ტრადიციისამებრ, კბილებამდე შეიარაღებული, ნიღბიანი სპეცრაზმები უნდა შეესიათ გამწარებული ხალხისთვის და შემდეგ, გვამები სახურავებზე შეეწყოთ?! შემდეგ, დაგლეჯილი და ნაწამები მომიტინგეები მუხადგვერდის სასაფლაოზე უნდა მიეგდოთ? მტკვრისთვის უნდა გაეტანებინათ რუმბებივით დასიებული გვამები?

ერთი, ხელი მოისვით, რაა!



**კოკა ყანდიაშვილი**

ამ განცხადების (სააკაშვილმა მიმართა ივანიშვილს) სათაური უნდა იყოს შემდეგი: შეგვარჩინეთ ყველაფერი და დავთმობთ დარჩენილ ძალაუფლებას.

ვაჭრობა, უტიფრობა, ბოზობა!



**თამუნა ლეფსვერიძე**

მოდაშია 25 000-ლარიანი გირაო... ქართული მართლმსაჯულება „მოწოდების სიმაღლეზე“ დგას!

# „ქართულმა კინომ ეროვნულობა დაკარგა!“

## რატომ აკრიტიკებს კინოსა და თეატრის უნივერსიტეტს, რით ხიბლავს უცხოელ პროდიუსერებს და რას მიიჩნევს თანამედროვე ქართული კინოს მთავარ პრობლემად წარმატებული რეჟისორი გიორგი ოვაშვილი



ნათია ვასაძე

**თანამედროვე ქართული კინოინდუსტრიის პრობლემებზე ბევრი თქმულა და დაწერილა. ისიც ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, ქართველ რეჟისორებს ღირებული თითქმის აღარაფერი შეუქმნიათ, თუმცა არსებობს რამდენიმე გამონაკლისი. მაგალითად — გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირი“. მართალია, ახალგაზრდა რეჟისორის სადიპლომო ნამუშევარმა — „ვაგონეტი“ 40-მდე კინოფესტივალი მოიარა და სტუდენტურ ნომინაციაში გრანპრიც აიღო, მაგრამ გიორგის საერთაშორისო აღიარება მაინც „გაღმა ნაპირმა“ მოუტანა — ბერლინური პრემიერიდან მოყოლებული, ფილმის ჩვენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიმართა და უამრავი ჯილდოც დაიმსახურა, მათ შორის, საუკეთესო რეჟისურისთვის, ოპერატორული ნამუშევრისთვის, დებიუტისთვის... მესამე წელია, გიორგი ოვაშვილი ახალ მხატვრულ ფილმზე მუშაობს, რომელსაც „სიმინდის კუნძული“ ჰქვია და საფრანგეთის, გერმანიის, შვეიცარიისა და საქართველოს ერთობლივი პროექტია. როგორ მოახერხა ახალგაზრდა რეჟისორმა უცხოელი პროდიუსერების დაინტერესება, რა ეტაპზეა ფილმის გადაღება და, საერთოდ, რას ფიქრობს წარმატებული ქართველი რეჟისორი ქართული კინოს პრობლემებზე, „ვერსია“ რეჟისორ გიორგი ოვაშვილს ესაუბრა.**

— „სიმინდის კუნძული“ ურთულესი პროექტია, რომელიც, „გაღმა ნაპირის“ მსგავსად, აფხაზეთის თემაზეა. ესაა ფსიქოლოგიური დრამა, რომლის სცენარზე მუშაობაც საკუთარი იდეით, მწერალმა ნუგზარ შატაიძემ დაიწყო, მაგრამ, სამწუხაროდ, გარდაიცვალა და საქმის ბოლომდე მიყვანა, ჰოლანდიელ სცენარისტ რულოვ იან მიმებოსთან ერთად, მე მომიწია... სამი წელია, ამ პროექტზე ვმუშაობ. საერთოდ, ჩემს პროექტებს წლები იმიტომ მიაქვს, რომ მათში შესაძლებლობების მაქსიმუმს ვდებ.

**— ამით აიხსნება თქვენი ფილმების წარმატება?**

— კარგი პროექტის გაკეთებასა და წარმატებას, გარკვეულ დროსთან ერთად, დიდი ენერგია და ძალების მაქსიმალური რეალიზებაც სჭირდება. მარტივი ჭეშმარიტებაა — ადამიანი, რომელიც საქმეში მთელ ენერგიას დებს, აუცილებლად მიიღებს საუკეთესო შედეგს, თუმცა შედეგებზე ნაკლებად ვფიქრობ, უბრალოდ, ჩემი ბუნებაა ასეთი — სხვანაირად არ შემიძლია.

**— რამდენიმე ხნის წინ, კულტურის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე რომელსაც ქართული კინოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ, გამოითქვა მოსაზრება, რომ ქართულმა კინომ დაკარგა ეროვნულობა. ბატონო გიორგი, ამ მოსაზრებას იზიარებთ?**

— გარკვეულწილად, ვიზიარებ — ქართულმა კინომ ეროვნულობა, მართლაც, დაკარგა, ქართული კინო იმას არ ნიშნავს, მასში ქართული დიალოგები იყოს. კინო ერის ფესვებსა და ტრადიციებზე უნდა იდგეს. რითი შეიძლება ქართულმა კინომ უცხოელი მაყურებელი დააინტერესოს? — მხოლოდ ეროვნულობით. წარმოუდგენელია, ქართველები ამერიკულ, ევროპულ ან აზიურ კინოს „ვაკეთებდეთ“. ისიც შეუძლებელია, სხვა ქვეყნებმა ქართული ფილმი გადაიღონ...

ქართულ კინოში ხანგრძლივი წყვეტა იყო და ამიტომაც, ყველაფერი თავიდანაა დასაწყები. ისე, მძიმე პერიოდები სხვა ქვეყნების კინემატოგრაფსაც გაუვლია. მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ეს პერიოდი ჩვენზე ადრე გაიარეს, თუმცა ფესვებს ნელ-ნელა უბრუნდებიან.

**— ქართული კინო, აღმავლობის დროს, საბჭოთა კინემატოგრაფზე იყო მიბმული. აქედან გამომდინარე, ზოგი მიიჩნევს, რომ პატარა ქვეყანა ძველი დიდების დაბრუნებას დამოუკიდებლად ვერ შეძლებს...**

— მართალია, ქართული კინო საბჭოთა კინემატოგრაფიის ნაწილი იყო, ეროვნულობას მაინც ინარჩუნებდა. ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, კინო კომერციულად მომგებიანი ვერასოდეს იქნება. საფრანგეთშიც კი, სადაც წელიწადში 100-მდე ფილმს იღებენ, კინო სახელმწიფო დოტაციაზეა. მეტიც, საფრანგეთის მთავრობა მხოლოდ ფრანგულ კინოს კი არა, მეორე-მესამე კატეგორიის ქვეყნების კინოპროდუქციის დიდ ნაწილსაც ინახავს. რაც უნდა პარადოქსად მოგეჩვენოთ, ჩემი ახალი ფილმის ერთ-ერთი პროდიუსერი ფრანგული მხარეცაა, აქედან კი, მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, კინოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სახელმწიფო მხარდაჭერა.

**— ბოლო დროს გადაღებული მცირებიუჯეტიანი ქართული ფილმები კინოთეატრებს წარმატებით ავსებს. მცირე ბიუჯეტით ხარისხიანი ფილმის გადაღება შესაძლებელია?**

— კარგმა ხელისუფალმა უნდა იცოდეს, რომ კარგი კინო ქვეყნის მსოფლიო ასპარეზზე წარსადგენად ერთ-ერთი მოკლე გზაა. ვფიქრობ, ეს გზა გაცილებით ეფექტურია, ვიდრე — პოლიტიკა, რადგან კინოს გასვლა გაცილებით ფართო მასებზე გასვლა და საჭირო მესიჯების ადრესატამდე მიტანა შეუძლია, ამიტომ აუცილებელია, არსებობდეს ორი სახის კინო: პირველი — კინო, რომელსაც ექნება სახელმწიფო მხარდაჭერა და ქვეყნის სახე იქნება და მეორე — დამოუკიდებელი კინო, რომლის მთავარი ფუნქციაც სწორედ კინოთეატრების გავსებაა. ჩემი აზრით, ასეთი ტიპის ფილმებსაც აქვთ არსებობის უფლება, რადგან მათზე საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მოთხოვნა არსებობს.

**— კი, ბატონო, მაგრამ მდარე ხარისხის ფილმები მაყურებლის გემოვნებას ხომ აქვეითებს?**

— მაყურებელს კარგსა და ცუდს შორის არჩევანის საშუალება უნდა ჰქონდეს. მდარე ხარისხის ფილმი ბევრი რომ იყოს, ღირებული კი — რამდენიმე, ამით სელექცია და მაყურებლის გემოვნების დახვეწა მოხდება, შესაბამისად, გაჩნდება აუცილებლობა, რეჟისორებმა რაოდენობაზე კი არა, ხარისხზე იმუშაონ.

**— არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა კინოცენტრთან დაკავშირებითაც. მისი საქმიანობით კმაყოფილი ხართ?**

— ორივე ფილმის ნაწილობრივი დაფინანსება კინოცენტრიდან კონკურსით მივიღეთ, თუმცა ის დაფინანსება, რასაც კინოცენტრი გასცემს, მიზერულია და ფილმის ბიუჯეტის მხოლოდ 20-25%-ია. დანარჩენი თანხა რეჟისორმა თვითონ უნდა მოიპოვოს. მართალია, კინოცენტრის დებულებაში წერია, რომ ფილმის დაფინანსება 75%-ით უნდა მოხდეს, მაგრამ რეჟისორის მაქსიმუმით დაკმაყოფილება იშვიათობაა.

**— როგორ მოახერხეთ დარჩენილი თანხის მოძიება, პარტნიორები რით დააინტერესეთ?**

— „სიმინდის კუნძული“, როგორც გითხარით, ოთხი ქვეყნის პროდუქციაა. რაც შეეხება პროდიუსერების დაინტერესებას, მათ რამდენიმე კრიტერიუმი აქვთ — რა გაუკეთებია რეჟისორს, როგორია მისი ახალი პროექტი და, რაც მთავარია, სცენარი საინტერესო უნდა იყოს. თუ ეს კრიტერიუმები დამაკმაყოფილებელია, მათი ნდობაც მოპოვებულია.

**— ბატონო გიორგი, არსებობს თუ არა ქართულ კინოში კარგი სცენარის პრობლემა?**

— ამ მხრივ საქმე, მართლაც, რთულადაა. სამწუხაროდ, არ არსებობს ნორმალური დრამატურგიული სკოლა, სადაც შეიძლება, კარგი სცენარისტები გაიზარდონ. მხოლოდ კარგი მთხრობელი აღარავის სჭირდება, სცენარი სტრუქტურულად გამართული უნდა იყოს და გარკვეულ პარამეტრებს აკმაყოფილებდეს, რომ დამფინანსებელმა ჩათვალოს, პროექტში ინვესტიციის ჩადება ღირსო.

**— დრამატურგიული სკოლა ახსენეთ და, ქართულ კინოში პროფესიონალი კადრების ნაკლებობა კინოსა და თეატრის უნივერსიტეტში სწავლების დაბალი დონით ხომ არაა გამოწვეული?**

— თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი ერთადერთია, სადაც ახალგაზრდამ შესაბამისი ცოდნა უნდა მიიღოს, თუმცა ეს უნივერსიტეტი ხარისხიანი ცოდნის მიღების საშუალებას ვერ იძლევა. ამას რომ ვამბობ, ძალიან ვწუხვარ და, შეიძლება, კოლეგებიც გამინაწყენდნენ, მაგრამ ეს შენიშვნა ჩემზეც ვრცელდება, რადგან ამ უნივერსიტეტში ვასწავლი. ტექნიკური ბაზის გაძლიერებაა საჭირო. შეუძლებელია, რეჟისორი გახდე, თუ პრაქტიკის შესაძლებლობა არ გაქვს — ამ ბავშვების სწავლას აზრი ხომ უნდა ჰქონდეს და კარგი რეჟისორი 100-დან ერთი მაინც უნდა გახდეს?!

**— რა აზრის ხართ კინოში თაობათა დაპირისპირებაზე, რომელიც კულტურის სამინისტროში გამართულ ზემოხსენებულ შეხვედრაზე ნათლად გამოჩნდა?**

— ამ შეხვედრაზე ორმხრივი ბრალდებები იყო, მაგრამ არც ერთი მხარის პოზიციას ვიზარებ და არც — მეორისას. ვალდებულნი ვართ, ერთმანეთს პატივი ვცეთ. არ შეიძლება, ადამიანზე მხოლოდ პიროვნული წყენიდან გამომდინარე ვიმსჯელოთ და ის არ გავითვალისწინოთ, რაც ქართული კინოსთვის გაუკეთებია. ასეთი ზღვარგადასული და შეურაცხმყოფელი ურთიერთმიმართვები ორივე მხარის სისუსტეზე მეტყველებს...

**— ყველაფერი ეს კინოკრიტიკოსების უმოქმედობის ბრალიც ხომ არაა?**

— ეს ორი საკითხი გადაჯაჭვულია — თუ არ იქნება კინოწარმოება, კინოკრიტიკოსიც ფუნქციის გარეშე დარჩება. რამდენიმე კარგი კრიტიკოსი გვყავს და მათი მოსაზრებები ნებისმიერ რეჟისორს უფრო მობილიზებულს გახდის. კინო მათემატიკა არაა, სადაც 2-ჯერ ორი აუცილებლად ოთხია, აქ აზრის დაფიქსირება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. ყოველთვის მინდა, ჯანსაღი კრიტიკა მოვისმინო. ისე, ჩემი ნამუშევრების ყველაზე დიდი კრიტიკოსი თავად ვარ. საერთოდ, მგონია, კრიტიკა ხელოვანს პროფესიულ ზრდაში ეხმარება.

**— რამდენიმე დღის წინ, თემურ ჭკუასელის ახალი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. ბატონო გიორგი, წიგნში შესული კინოსცენარის მიხედვით ფილმის გადაღებას მართლა აპირებთ?**

— ეს სცენარი დიდი ხნის წინ წავიკითხე და მიმაჩნია, რომ ეროვნული ფილმისთვის ძალიან კარგი სცენარია. მე და ბატონი თემური დიდი ხანია, ვმსჯელობთ ფილმზე და შევთანხმდით, რომ პირველ რიგში, სცენარი უნდა ითარგმნოს, რათა უცხოელი პროდიუსერები დავაინტერესოთ. „სიმღერით გამთბარი მიწა“ უზარმაზარი პროექტია, რომელსაც აქვს პოტენციალი, კომერციულად მომგებიან კინოდ იქცეს, თუმცა ამ ფილმის გადაღებას, მინიმუმ, 50 მილიონი მაინც დასჭირდება. ეს იქნება სანახაობრივ-სათავგადასავლო ეპოქალური საგა, რომელიც მნიშვნელოვანი მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის კი არა, მსოფლიოს მასშტაბით იქნება.



ქვათა მატიანე

# დიდოსტატ საკოცარის მარჯვენა

## ცენტრალური ჯავახეთი

გელა ქოქიაშვილი


ანგელოზის ბარელიეფი

**არტაანის მტკვრის აღმოსავლეთით, ამჟამინდელი წუნდა-ნაქალაქევის თავზე და ზედ კანიონის პირზე, არის მოზრდილი ისტორიული სოფელი, რომელსაც კუმურდო ჰქვია. ტოპონიმის წარმომავლობა ძნელი დასადგენია, თუმცა გამორიცხული არ არის, საფუძვლად ედოს სიტყვა კუმევა (კმევა). სოფელი ზღვის დონიდან 1740 მეტრის სიმაღლეზეა და ერთ-ერთი უმშვენიერესი ეკლესიითაა ცნობილი.**


კუმურდოს ტაძარი შიგნიდან და გარედან (დასავლეთიდან)

დღეს **კუმურდო** მთავარმართებელ პასკევიჩის მიერ 1829 წელს არზრუმიდან მოყვანილი ეთნიკური სომხების შთამომავლებითაა დასახლებული. იმ დროს, როგორც ჩანს, ქართული ოჯახები კარგა ხნის აყრილი ან გადაგვარებული იყვნენ ოსმალოს 300-წლიანი ბატონობის პირობებში. ბოლო ისტორიული საბუთები აქ მცხოვრები მართლმადიდებელი ქართველების შესახებ XVI საუკუნის მიწურულით თარიღდება. ერთი ასეთი ცნობა კუმურდოს ტაძრის წარწერაა (მას ქვევით გავეცნობით), მეორე — „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომლის თანახმად სოფელში 20 კომლი აბორიგენი მოსახლე აღირიცხა. ამ დროს კუმურდო მხოლოდ აჩრდილი ყოფილა ძველი დიდებისა. **ჯერ კიდევ VI საუკუნის დასაწყისში, წყაროსთავთან ერთად, იგი ჯავახეთის ერთ-ერთი საეპარქიო ცენტრი გახლდათ! დვინის 506 წლის საეკლესიო კრებაში, რომელიც მერე ანტიქალკედონური გამოდგა, 33 ქართველ მწყემსთავართაგან 24 მონაწილეობდა და მათში ორი ჯავახეთიდან იყო: იოვანე წყაროსთაველი და იოსებ კუმურდოელი** (VII საუკუნეში სომხურად დაწერილ ეპისტოლეთა კრებულში იგი მოხსენიებულია როგორც ეპისკოპოსი კუხურდოსი). ეს იმას მოწმობს, რომ კუმურდო VI საუკუნის დასაწყისში უკვე გამოცდილი, „სტაჟიანი“ საეკლესიო ცენტრი ყოფილა. აქ ერთი საკითხია ბურუსით მოცული: ჩამონათვალში ვერ ვხედავთ წუნდელ მწყემსთავარს, რომელიც იმ 12 ეპისკოპოსში ჰყავს დასახელებული ჯუანშერს, რომელიც დვინის კრებამდე დაადგინა ვახტანგ გორგასალმა: **„და დასუა ერთი ეპისკოპოსად წუნდას.“** იმის კვლევამ, თუ რატომ არ დაესწრო დვინში გამართულ სომხურ-ქართული ეკლესიების კრებას 9 ქართველი ეპისკოპოსი და მათ შორის წუნდელი, შეიძლება ჩიხში მოგვაქციოს. ჩვენ სხვა რამ უფრო გვაინტერესებს: **არსებობდა თუ არა საერთოდ 506 წელს წუნდის ეპისკოპოსი და ხომ არ შეცვალა იგი კუმურდოელმა? ან კიდევ: წუნდა და კუმურდო ერთი საეპარქიო ცენტრისა და ტაძრის ორი სხვადასხვა სახელი ხომ არ იყო?** თუ დავუშვებთ, რომ კუმურდოსა და წუნდის ეპისკოპოსები ერთდროულად მოღვაწეობდნენ და ორ სხვადასხვა ეპარქიაში მწყემსმთავრობდნენ, მაშინ ისე გამოდის, რომ 506 წლისათვის შედარებით მცირე ჯავახეთში სამი ეპარქია იყო: წყაროსთავის, კუმურდოსი და წუნდის. უფრო მეტიც: ამ ორი უკანასკნელი ეპარქიის — წუნდის და კუმურდოს საკათედრო ტაძრები გვერდიგვერდ იდგა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მატიანეებში, გორგასლის ეპოქის შემდეგ, წუნდელი ეპისკოპოსის სახელი აღარ გვხვდება, ხოლო კუმურდოელი ნიადაგ ფიგურირებს. მას საქართველოს ერთიანობის ჟამს, დარბაზობის დროს, ქართველ მამამთავართა შორის VII ადგილი ეკავა.



ზევით მოტანილი ანალიზი კიდევ ერთხელ მაძლევს უფლებას გამოვთქვა ვარაუდი, რომ წუნდა, ისევე როგორც დიდი მცხეთა, ძველ დროში ჯავახეთის საკმაოდ ვრცელი დასახლება იყო, ხოლო კუმურდო მის სამხრეთ უბანს წარმოადგენდა.

ისტორიის ლაბირინთებში ექსკურსიდან დღევანდელ მოგზაურობაზე გადავერთოთ. მანქანას სოფლის ცენტრში ვაჩერებთ, სადაც გასული საუკუნის ბოლოს ე.წ. პრეზიდენტის წყარო გადმოდინდა და კუმურდოელებს ნაწილობრივი შვება მოუტანა. საფიხვნოზე შეყრილ სოფლის კაცებს ჯერ ორი ღერა სომხურით ვესალმები, მერე რუსულს გამოვურევ და ბოლოს ქართულზე გადავდივარ, რომელიც უფროსი თაობის სომხებს, ასე თუ ისე, ესმით. ასეთია რეალობა. ვიღებთ სოფლის პეიზაჟებს, ბავშვებს, მოხუცებს და ნელ-ნელა დიდებულ ტაძარს ვუახლოვდებით. მისი ვიდეოფირზე დეტალური გადაღება აქამდე ვერავის მოუხერხებია ადგილობრივთა წინააღმდეგობის გამო. წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა ერთი ასაკოვანი სომეხი დახმარებას გვთავაზობს. ლამის ნახევარი სოფელი გვიყურებს და ისეთი სამარისებული სიჩუმეა, რომ სამუშაოდ უკეთეს პირობას ვერც ინატრებ.

**კუმურდოს ტაძარი— განვითარებული შუასაუკუნეების დასაწყისის ეს უნიკალური ნაგებობა კიდევ უფრო ძველი, მაგრამ მცირე საყდრის ნაცვლად, მის ადგილზე უნდა იყოს აგებული.** ძეგლდაქცეული, უგუმბათოდ დარჩენილი ეკლესია ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შედევრია. რა გონს ჩაუფიქრებია, რა ხელს გაუთლია ლოდები, რა საჭრეთელს ამოუკვეთავს რელიეფები?! ეს არის ქვათა პოლიფონია, უფრო სწორედ პოლიქრომია. აქ არც ერთი ქვა არ ჰგავს მეორეს არც ზომით და არც ტონალობით. ძირითადად ვარდისფერი, აქა-იქ კი ღვინისფერი, ოქროსფერი და რუხი კვადრები ისე ენაცვლება ერთმანეთს (თუ შეკეთების კვალს არ მივიღებთ სათვალავში), რომ თვალს აამებს. **თანამედროვე ტაძართა მშენებლებს, რომლებიც ერთფეროვანი პერანგით მოსავენ ეკლესიებს, ვინძლო ჰგონიათ, რომ განვითარებული შუასაუკუნეების ოსტატებს ან გემოვნება აკლდათ, ან სამშენებლო მასალა. ნურას უკაცრავად, პირიქით იყო: ისინი საგანგებოდ ეძიებდნენ სხვადასხვა შეფერილობის ქვებს და სწორედ მათი მონაცვლეობით ამეტყველებდნენ ტაძრის კედლებს.** გიორგი ჩუბინაშვილის დაკვირვებით, კუმურდოს ხუროთმოძღვარს სხვადასხვა ფერის სამშენებლო ქვა აქედან 40 კილომეტრით დაშორებულ აბულის მთაზე შეურჩევია და უზიდია ურმებით. წარმოიდგინეთ, რა ფასად დაუჯდებოდა მას ეს ძიება და მერე მასალის ტრანსპორტირება!

გარედან კუმურდოს ტაძარს ოთხმკლავა, ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის ფორმა აქვს, მაგრამ მომდევნო პერიოდის ჩვენი საყდრებიდან მის ფასადებს ის გამოარჩევს, რომ აღმოსავლეთის ორი მაღალი და ღრმა სამკუთხა ნიშის გარდა, თითო-თითო ასეთივე ნიში ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზეც აქვს. მსგავსი ნიშები ჩაშენებულია მკლავების შეერთებაშიც. ყველა ნიში თავში სიღრმისეული მარაოთი სრულდება. ამასთანავე, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნიშებში, მარაოთა ქვეშ, ადამისა და ევას პორტრეტული ბარელიეფებია გამოქანდაკებული, ხოლო აღმოსავლეთ კედლის ორ ნიშში — ცისა და დედამიწის, „ანის“ და „ჰაეს“ გამომსახველი წვეროსანი კაცები. ამავე ფასადზე, ფრონტონში ბროწეულისფერი ქვით მოზრდილი ჯვარი ელავს. აქვე, ორ ნიშს შორის, დახვეწილი ხელით გამოკვეთილია ტაძრის ყველაზე მსხვილმასშტაბიანი რელიეფური წარწერა: **„ქრისტე, შეიწყალე იოვანე ეპისკოპოსი ამისა მაშენებელი დღესა მას“** (ამ წარწერას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით). წარწერის ქვევით, საკურთხევლის სარკმელი გამოდის, რომელიც ჩუქურთმიან ორმაგ ჩარჩოში ზის. სამკაულებში ჩართულია ლომებზე აღზევებული არწივისა და ანგელოზის გამოსახულებები. სამკაულებიანია ტაძრის ყველა სარკმლის ქუსლიანი თავსართი. ტაძარს ორი შესასვლელი აქვს — დასავლეთისა და სამხრეთისა. ეს უკანასკნელი საყდრის აგებისთანავე კარიბჭით აღუჭურვიათ, რომელიც ამჟამად სანახევროდ დანგრეულია. როცა ამ კარიბჭით ტაძარში შედიხარ და ზევით აიხედავ, აღფრთოვანებას ვერ დამალავ. ექვსი თაღსვეტი მორღვეული გუმბათის ყელიდან ზეცისკენ ისწრაფვის და შენც ექვსქიმიანი ვარსკვლავის კონტურებიდან უმზერ ლაჟვარდს. ექვსი სვეტი, რომელიც აბსიდების მხრებიდანაა გამოზრდილი, დეკორატიული კაპიტელებით სრულდება. გუმბათი სწორედ ამ ექვს სვეტს ეკავა. შემორჩენილ აფრებში ერთგან ქალის ბარელიეფია, მეორეგან მამაკაცის. სავარაუდოდ, ქალი ბაგრატ III-ის დედა გურანდუხტია, მამაკაცი კი ან ბაგრატის მამა გურგენ ქართველთ მეფე, ან ბიძამისი (გურანდუხტის ძმა) ლეონ აფხაზთა მეფე, რომელიც მთავარ წარწერაშია მოხსენიებული. გარედან ოთხმკლავა, ჯვარგუმბათოვანი ტაძარი შიგნიდან დაახლოებით ექვსაბსიდიანია. აღმოსავლეთის მკლავში ერთი აბსიდი (საკურთხევლის) და ორი ვიწრო ოთახია (სამკვეთლო და სადიაკვნე განყოფილებებს), ჩრდილოეთ და სამხრეთ მკლავებში ორ-ორი აბსიდური სივრცეა, ხოლო დასავლეთის მკლავი ერთიანი და სწორკუთხა ყოფილა. იგი დღეს მთლიანად მორღვეულია. მსგავსი გეგმარების ტაძრები იშვიათად გვხვდება ჩვენში (კაცხი — ჭიათურის რაიონში, ნიკორწმინდა — ამბროლაურის რაიონში, ბოჭორმა — თიანეთის რაიონში, გოგიუბა — თურქეთში), მაგრამ შიდა სივრცის დახვეწილობით და გაფორმებით კუმურდო, ალბათ, ყველას სჯობს. გაოცებული დგახარ ტაძარში და ფიქრობ, რა ხელმა ააგო ეს შედევრი? კუმურდოს ტაძრის ხუროთმოძღვრის ვინაობა ცნობილია: საკოცარი. იგი სამხრეთ კარის ტიმპანის ვრცელმა ასომთავრულმა წარწერამ შემოგვინახა. ამ წარწერას და საერთოდ კუმურდოს დანარჩენ ისტორიას მომდევნო წერილში შემოგთავაზებთ.

ავტორის ფოტოები


გურანდუხტ დედოფალი


გურგენ (ან ლეონ) მეფე


აღმოსავლეთ სარკმელი და მისი ორი ბარელიეფი

# ტრანსფერები — ათასი უცხო სახე საქართველოში



ზამთრის მოსამზადებელი ეტაპი დაიწყო და ქართულმა გუნდებმა გულშემატკივრები საინტერესო ტრანსფერებით გააოცეს.

მნიშვნელოვანი სიახლეებია „ზესტაფონში“. საქართველოს ჩემპიონმა, მოსამზადებელ ეტაპზე, ლეგიონერების მიწვევის რეკორდი დაამყარა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, კახა კაჭარავამ ათამდე უცხოელი გასინჯა: გუნდთან ერთად ვარჯიშობს 26 წლის სერბი მცველი სლავკო ჩულიბრკი (სერბული უჟიცეს „სლობოდაში“ ასპარეზობდა), „ბარსელონას“ სკოლის აღზრდილი, 18 წლის კამერუნელი ნახევარმცველი ოლივიე მუსიმა ებონგე; „ვილა ნოვასა“ და „გუარანის“ ყოფილი ნახევარმცველი, 24 წლის ბრაზილიელი ვიტორ როსინი და კუნაი.

„ზესტაფონმა“ ახალი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა 23 წლის სერბ ნახევარმცველთან, იგორ იელიჩთან, რომელიც ბელგრადის ოფკ-



ში თამაშობდა. ამას გარდა, „ზესტაფონელებს“ თურქულ შეკრებაზე შეუერთდნენ 31 წლის ესპანელი ცენტრალური მცველი მოქალაქე ორიოლ ლოსანო, რომელიც მრავალი წელი ესპანეთის პრიმერა დივიზიონის სანტანდერის „რასინგში“ თამაშობდა, მისი გოლით კანტაბრიელებმა 2007 წლის 17 მაისს „მესტალიაზე“ ადგილობრივ „ვალენსიასთან“ 2:0 მოიგო; სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა 19 წლის ალჟირელ ფორვარდთან, მოჰამედ რეკრუკთან, რომელიც ესპანური „რეალ სარაგოსას“ მეორე გუნდის შემადგენლობაში, ხოლო 2010-2011 წლებში ბერძნულ „არისში“ ასპარეზობდა და გუნდს უეფა-ს ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებაშიც დაეხმარა, ხოლო ბოლო სეზონი სეგუნდადივიზიონელ „მურსიაში“ გაატარა; 20



წლის სენეგალელი ნახევარმცველი პაპე აბდუალიე დიაკიტე, რომელიც ბოლოს სლოვაკურ „ტრენჩინში“ თამაშობდა; სერბი მარცხენა მცველი ივიცა მილუტინოვიჩი.

ესპანელი მოთამაშით გაძლიერდა თბილისის „დინამოც“: თურქეთში მოსამზადებელ ეტაპზე, გუნდს 29 წლის ბასკი ცენტრალური მცველი ალდეკოა ოტალორა ასტარლოა უსტარიცი დაემატა, რომელმაც ფაქტობრივად, მთელი კარიერა ესპანეთის პრიმერადივიზიონელ ბილბაოს „ატლეტიკში“ გაატარა. ბასკურ გუნდში პრიმერადივიზიონის, „კოპა დელ რეისა“ და უეფა-ს ტურნირებში 150-მდე შეხვედრა აქვს ჩატარებული. მცველმა განვლილი სეზონი იჯარით, ბეტისის „რეალში“ გაატარა, 2012 წლის ზაფხულში კლუბთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, „ატლეტიკთან“ კონტრაქტი გაწყვიტა და თავისუფალი აგენტი გახდა.



„დინამოში“ ჩაირიცხა 28 წლის გერმანელი მარცხენა ფლანგელი პატრიკ მილხრაუმიც, რომელიც ბოლოს „ზესტაფონში“ თამაშობდა. იგი სხვადასხვა დროს გამოდიოდა „კარლსრუეში“, „აუეში“, „ალემანიაში“, „მიუნჰენ 1860“-სა და „შტუტგარტ კიკერსში“.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა გორის „დილაში“ – საქართველოს თასის მფლობელს ცნობილი ლიტველი სპეციალისტი, ვალდას ივანაუსკასი გაწვრთნის. მან თურქულ შეკრებაზე ესპანელები, ალვარო და ალექსი გასინჯა, მაგრამ რამდენიმედღიანი სინჯების შემდეგ, სამშობლოში გააბრუნეს.

სამაგიეროდ, ივანაუსკასის მოწონებას იმსახურებს რიგის „სკონტოსა“ და „დაუგავას“ ლატვიელი მეკარე კასპარს იქსტენსი, რომელმაც უკვე ორ საკონტროლო მატჩში მიიღო მონაწილეობა. ასევე აგრძელებს დაკვირვებას კამერუნელ ლობეზე.

მოკლედ, სატრანსფერო სეზონი სახალისოდ და საინტერესოდ მიმდინარეობს და თამამად შეიძლება ითქვას, ამდენი უცხოელი საქართველოში არასოდეს გვყოლია.



# ქეცბაიას წარმატებული სტარტი

## ყველა შეხვედრაში ახალი კაპიტნით?

**ალბანეთი 1:2 საქართველო**

7 თებერვალი. 2013. ტირანა. „ქემალ სტაფა“. 75 000 მაყურებელი.

**გოლები:** 1:0 ბოგდანი (26), 1:1 ვაწაძე (41), 1:2 ლობჟანიძე (83)

**საქართველო:** კვასხვაძე, ლობჟანიძე, ხიზანიშვილი, გრიგალავა (კანკავა 46), ილია კანდელაკი (კვირკველია 46), კაშია, ს. კობახიძე (ძარია 63), თარგამაძე, ყენია (გელაშვილი 61), ძალამიძე (ოქრიაშვილი 46), მჭედლიძე (ვაწაძე 21. — თომაშვილი 78).

**გაფრთხილება:** კანკავა (67);

**მსაჯი:** დ. ნაკაროვსკი (მაკედონია).



საქართველოს ნაკრებმა 2013 წელი გამარჯვებით დაიწყო: თემურ ქეცბაიას გაწვრთნილმა გუნდმა ალბანეთს მისივე მოედანზე, 2:1 სძლია. მოხდა ის, რაც ჩვენი ნაკრების ისტორიაში იშვიათად მომხდარა — საქართველო აგებდა, მაგრამ მატჩი თავის სასარგებლოდ შემოატრიალა.

ალბანელებმა ანგარიში პირველივე სახიფათო შეტევით გაიხსნეს. 26-ე წუთზე იტალიური „სიენას“ თავდამსხმელის, ერიონ ბოგდანის თავური დარტყმა შედეგიანი აღმოჩნდა – 1:0.

41-ე წუთზე ქართველებმა თანაფარდობა აღადგინეს: მარცხენა ფლანგზე ჩინებულად ითამაშა ლევან ყენიამ, რომელმაც საჯარიმოსკენ დაძრული დანიის „ორჰუსის“ თავდამსხმელი მათე ვაწაძე შენიშნა, რომელიც მცველებს დაუსხლტა და თავით კარის ბადე შეარხია — 1:1.

გადამწყვეტი გოლი 83-ე წუთზე ალბანელთა კარში გავიდა და ის კურიოზული გამოდგა. თორნიკე ოქრიაშვილი მარცხენა ფლანგზე მისთვის ჩვეული უცნაური მოძრაობებით ორ მოწინააღმდეგეს გასცდა და ბურთი კარისკენ ჩააწოდა. მეკარის საჯარიმოში, მოულოდნელად, მარჯვნივ უჩა



ლობჟანიძე აღმოჩნდა, რომელმაც რატომღაც, კარს ზურგი შეაქცია. ეტყობა, ქეცბაიას დავალება გაახსენდა, რომ მხოლოდ კარის დაცვაზე ეზრუნა და საკუთარი საჯარიმოსკენ შებრუნებულმა, ბურთს ქუსლი მიარტყა და მეტად უცნაური დარტყმით, მეორე გოლი გაიტანა — 1:2.

საქართველოს ნაკრებმა მე-12 მატჩში ალბანელებს მეშვიდედ სძლია. შეგახსენებთ, რომ 2012 წლის 29 თებერვალს მეტოქეები თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და თემურ ქეცბაიას გუნდმა მაშინაც 2:1 გაიმარჯვა.

ცნობისთვის: ალბანელთა წინააღმდეგ სათამაშოდ ნაკრები ახალმა კაპიტანმა გაიყვანა — ჯაბა კანკავას მოედანზე მეორე ნახევარში გამოჩნდა, ხოლო სამკლავური ჰოლანდიის ერედივიზიეს არნემის „ვიტესის“ გუნდის კაპიტანმა, გურამ კაშიამ მოირგო.

სწორედ ეს უნდა აღვნიშნოთ: თემურ ქეცბაიამ ეროვნული ნაკრებში მეოთხე კაპიტანი დანიშნა. მისი დანიშვნის დროს, სამკლავური კახა კალაძეს ეკვეთა, კარიერის დასრულების შემდეგ, ეს პოსტი ზურაბ ხიზანიშვილმა გადაიბარა, მაგრამ ქეცბაიამ მალევე ჩამოართვა. ამტკიცებენ, რომ მიზეზი მათ შორის მომხდარი კონფლიქტი იყო.

მთავარმა მწვრთნელმა მოედანზე გუნდის გაყვანის პატივი დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ საყრდენ ნახევარმცველს, ჯაბა კანკავას არგუნა, თუმცა 2012 წელს ფინეთსა და ბელორუსში გამართული მატჩების შემდეგ, ქეცბაიამ ისიც დაიწუნა, ამტკიცებენ, რომ მასთანაც კონფლიქტი ჰქონდა.

რა მოხდა, რეალურად, არავინ უწყის, ფაქტი ისაა, რომ ქეცბაია ახლა კაშიას ენდო და იმედია, სტაბილური კაპიტანი ახლა მაინც გვეყოლება. „ვიტეისის“ ერთ-ერთი ლიდერი ეროვნული ნაკრების რიგით მე-17 კაპიტანია.

კარგია გამარჯვება, ახალი კაპიტანი და წლის მოგებით დაწყება, მაგრამ სანამ ქეცბაია არასტაბილური იქნება, მანამ სტაბილური ვერც ჩვენი ნაკრები გახდება. მან ბოლო ერთ წელიწადში კაპიტანი სამჯერ შეცვალა.

საქართველოს ეროვნული გუნდი მომდევნო შეხვედრას 22 მარტს, „სტად დე ფრანსზე“ ჩაატარებს – „ჯვაროსნები“ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფურ ეტაპზე დიდიე დეშამის საფრანგეთს დაუპირისპირდებიან.

*გვერდი მოამზადა გიორგი მაისურაძემ*

# „ბორჯღალოსნებმა“ პორტუგალიაც დააჩოქეს

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა „ერთა თასის“ მიმდინარე გათამაშებაში ზედიზედ, მეორედ მოიგო. პირველში მილტონ ჰეიგის შეგირდებმა სტუმრად ბელგიას 17:13 აჯობეს ამჯერად, „ბორჯღალოსნებმა“ პორტუგალია 25:12 დაამარცხეს.

შეხვედრა დაძაბულად წარიმართა და სტუმრებმა დიდი წინააღმდეგობა გაგვიწიეს. მე-3 წუთზე ლელო ლაშა ხმალაძემ დადო, ხოლო მერაბ კვირიკაშვილმა ზუსტად შეასრულა გარდასახვა 7:0.

რამდენიმე წუთში სტუმრებმა ჯარიმა გაიტანეს და სხვაობა შეამცირეს, მეორე ტაიმში კი ჯარიმა ზუსტად შეასრულეს და ანგარიში სახიფათო გახდა – 7:6.

მალე მერაბ კვირიკაშვილმა საქართველოს ნაკრებს ჯარიმით კიდევ სამი ქულა მოუტანა, თუმცა მალევე პორტუგალიელებმაც მორიგი სამი ქულა აიღეს – 10:9.

ეს თამაშის ყველაზე დაძაბული ეპიზოდი იყო. 69-ე წუთზე თედო ზიბზიბაძემ ლელო გაიტანა. მართალია, კვირიკაშვილმა უხერხული პოზიციიდან ვერ გარდასახა (15:9), სტუმრებმაც ჯარიმა ზუსტად შეასრულეს — 15:12, მაგრამ ქართველებმა მაინც მოიგეს.

ჩვენებმა ამის მერე აიწყვიტეს. კვირიკაშვილმა ჯარიმა გამოიყენა (18:12), ხოლო მატჩის ბოლოს, თედო ზიბზიბაძემ მეორე ლელო დადო, რასაც კვირიკაშვილის ზუსტი გარდასახვა მოჰყვა – 25:12.

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის მორიგ შეხვედრას 23 თებერვალს, სოჭში, რუსეთის ეროვნულ გუნდთან გამართავს.

**23 თებერვალი**
რუსეთი — საქართველო;
ესპანეთი — რუმინეთი;
პორტუგალია — ბელგია.
**9 მარტი**
საქართველო — ესპანეთი;
პორტუგალია — რუსეთი;
ბელგია — რუმინეთი.
**16 მარტი**
რუმინეთი — საქართველო;
ესპანეთი — პორტუგალია;
რუსეთი — ბელგია;





მიკრო ორგა ნიზმი
აქრო პოლიკი
კონტი ნენტი
კვამლი ანუ..
მონატ რება
ტროპი კული ხილი
საწოლის ატრი ბუტი
ქართველი მომღე რალი
ფეხსაც მელების მაღაზია
სპირტ. სასმელი
სოსისის მსუქანი ნათესავი
გამაყუ ჩებელი
კრივის მოედანი
აზრი, გემგა
თუთაშხიას პროფესია
სისხლ ძარღვი
მკვდარი სხეული
შთამო ნების ქაღალ.
კანის დაავა დება
თოფის წამალი
ცხოველის ორგანო
სხვის ხარჯზე მცხოვრები
კონფ ლიქტი ანუ..
ქალის სახელი
ზოლიანი ცხოველი
პატარა ლელე
ქართული ტელე არხი
შავკა ნიანი
ანტი ლოპა
სევდა ანუ..



## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | 5 | 9 | 1 | 3 | 4 | 8 | 2 |
| 4 | 3 | 1 | 2 | 8 | 7 | 6 | 5 | 9 |
| 2 | 9 | 8 | 6 | 5 | 4 | 1 | 3 | 7 |
| 1 | 5 | 9 | 3 | 6 | 8 | 2 | 7 | 4 |
| 8 | 4 | 7 | 5 | 9 | 2 | 3 | 6 | 1 |
| 3 | 2 | 6 | 7 | 4 | 1 | 5 | 9 | 8 |
| 9 | 1 | 4 | 8 | 3 | 6 | 7 | 2 | 5 |
| 7 | 8 | 3 | 4 | 2 | 5 | 9 | 1 | 6 |
| 5 | 6 | 2 | 1 | 7 | 9 | 8 | 4 | 3 |

რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 8 | 4 | 3 | 7 | 2 | 1 | 9 | 6 |
| 9 | 7 | 6 | 1 | 4 | 8 | 5 | 3 | 2 |
| 2 | 3 | 1 | 5 | 9 | 6 | 8 | 4 | 7 |
| 7 | 1 | 9 | 8 | 3 | 5 | 6 | 2 | 4 |
| 6 | 5 | 2 | 4 | 1 | 9 | 7 | 8 | 3 |
| 8 | 4 | 3 | 2 | 6 | 7 | 9 | 1 | 5 |
| 4 | 9 | 5 | 7 | 2 | 1 | 3 | 6 | 8 |
| 3 | 6 | 8 | 9 | 5 | 4 | 2 | 7 | 1 |
| 1 | 2 | 7 | 6 | 8 | 3 | 4 | 5 | 9 |

სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 6 | 3 | 1 | 2 | 9 | 5 | 8 | 7 |
| 9 | 2 | 1 | 8 | 5 | 7 | 6 | 4 | 3 |
| 8 | 7 | 5 | 4 | 6 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 3 | 1 | 4 | 9 | 8 | 5 | 7 | 2 | 6 |
| 6 | 9 | 2 | 3 | 7 | 4 | 8 | 5 | 1 |
| 5 | 8 | 7 | 2 | 1 | 6 | 9 | 3 | 4 |
| 2 | 5 | 9 | 7 | 4 | 1 | 3 | 6 | 8 |
| 7 | 4 | 8 | 6 | 3 | 2 | 1 | 9 | 5 |
| 1 | 3 | 6 | 5 | 9 | 8 | 4 | 7 | 2 |

ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 1 | 6 | 9 | 8 | 2 | 5 | 4 | 7 |
| 4 | 9 | 5 | 3 | 7 | 6 | 2 | 1 | 8 |
| 2 | 8 | 7 | 5 | 4 | 1 | 3 | 6 | 9 |
| 8 | 7 | 4 | 2 | 3 | 5 | 1 | 9 | 6 |
| 1 | 6 | 3 | 8 | 9 | 7 | 4 | 2 | 5 |
| 5 | 2 | 9 | 1 | 6 | 4 | 8 | 7 | 3 |
| 7 | 4 | 2 | 6 | 5 | 3 | 9 | 8 | 1 |
| 9 | 3 | 1 | 7 | 2 | 8 | 6 | 5 | 4 |
| 6 | 5 | 8 | 4 | 1 | 9 | 7 | 3 | 2 |



# ჰოროსკოპი
11 თებერვალი

**ვერძი** — ამ ნიშნის ბევრი წარმომადგენელი დღეს ადგილს ვერ პოულობს: ახლობლებში თავს უცხოდ გრძნობს, უცნობებთან კი — კომფორტულად. სავარაუდოა, ახალი სამსახური შემოგთავაზონ. ნუ იჩქარებთ დათანხმებას, ყველა პლუს-მინუსი აწონ-დაწონეთ, რადგან, შესაძლოა, შემოთავაზებული საქმე არ შეესაბამებოდეს თქვენს ცხოვრებისეულ ღირებულებებს. დღის მეორე ნახევარი ახლობლებთან ერთად გაატარეთ, მათ თქვენი ყურადღება და მზრუნველობა სჭირდებათ.

**კურო** — დღე ემოციურად დაძაბული იქნება, შესაძლოა, რაღაც ვერ გათვალოთ საქმეში ან პარტნიორის არჩევაში შეცდეთ. დღეს ინტუიციაც გღალატობთ. მოგიწევთ, არჩევანი სასიამოვნოსა და აუცილებელს შორის გააკეთოთ. ნუ დაემორჩილებით ნეგატიურ აზრებსა და გრძნობებს, არავითარ შემთხვევაში, არ დაკარგოთ ოპტიმიზმი.

**ტყუპები** — შესაძლოა, დღე ძალიან მძიმე აღმოჩნდეს. მამაკაცებისთვის ახალი ნაცნობობა მეტად ხანმოკლე იქნება. უნდობლობა ძლიერი ემოციებისადმი, თავშეკავებულობა, ასევე ეჭვიანობა ურთიერთობას გაგიფუჭებთ საყვარელ ადამიანთან. სუსტი სქესის წარმომადგენლებმა ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჯანმრთელობას. დღის მეორე ნახევარში შეგიძლიათ, მოდუნდეთ და მეგობრებთან ერთად, გასართობად წახვიდეთ.

**კირჩხიბი** — დღეს თქვენი ფინანსური მდგომარეობა, შესაძლოა, გაუმჯობესდეს. პასუხისმგებლობის გრძნობა და მათემატიკური აზროვნება წარმატებას მოგიტანთ პროფესიულ საქმიანობაში ან მნიშვნელოვნად აგიმაღლებთ ავტორიტეტს უფროსობასა და კოლეგებში. საღამოს დიდია ალბათობა რომანტიკული შეხვედრისა ან ახალი ნაცნობობისა, რაც შესაძლოა, სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზარდოს.

**ლომი** — ლომებისთვის რთული დღეა, არასასურველი გარიგებებისთვის, საყიდლებისა და ურთიერთობების გარკვევისთვის. დღეს ძალიან გაგიჭირდებათ, ფეხი აუწყოთ სამუშაო რიტმს. სჯობს, აზრები მოიკრიბოთ, ცხოვრება კი თავად გიკარნახებთ გამოსავალს შექმნილი სიტუაციიდან. დღის მეორე ნახევარში გადადეთ ყველა ვიზიტი და ნუ დაიშურებთ დროს გამოსაძინებლად.

**ქალწული** — თქვენთვის კარგი დღეა, თუკი გადაწყვეტთ, დაწყებული საქმე კონკრეტულ შედეგამდე მიიყვანოთ. იზრდება თქვენი შემოქმედებითი და ენერგეტიკული პოტენციალი, თუმცა დღის მეორე ნახევარში, შესაძლოა, პრობლემები ახლობლებთან ურთიერთობაში.

**სასწორი** — თქვენი ბიუჯეტი ნელ-ნელა ივსება. დღეს არ ღირს, რაიმე ახლით დაკავდეთ, სჯობს, ძველი ქაღალდები გადაარჩიოთ, ჩანაწერები მოძებნოთ, რადგან შესაძლოა, ეს ახლა საკმაოდ აქტუალური იყოს. სასიკეთო დღეა ასევე კონფლიქტური საკითხების მოსაგვარებლად.

**ღრიანკალი** — დღეს სასიცოცხლო პოტენციალი არც ისე მაღალ დონეზეა, რაც ხელს შეუშლის თქვენი ორგანიზატორული ნიჭისა და საქმის ცოდნის კარგად წარმოჩენას. ნუ შეეცდებით, ახლავე დაიპყროთ ახალი მწვერვალები, ვარსკვლავები ასევე არ გირჩევენ სამსახურის შეცვლას ან დამატებითი შემოსავლის ძიებას საქმიანობის სხვა სფეროებში, რადგან დიდია იმის ალბათობა, რომ მოგატყუებენ და იმედგაცრუებული დარჩებით.

**მშვილდოსანი** — ცვლილებების, მოლაპარაკებების, ახალი კონტაქტების დღეა, გამოსწორდება თქვენი ფინანსური მდგომარეობაც. შესაძლოა, გარკვეული თანხა მიიღოთ, მაგრამ უპირველესად, გათავისუფლდით ვალდებულებებისგან. დღის პირველ ნახევარში საქმის წარმატებას ხელი შეიძლება ზედმეტმა სიმკაცრემ შეუშალოს, მეორე ნახევარში კი — სიჩქარემ.

**თხის რქა** — სახლში არსებული სიყვარული და ჰარმონია მატერიალურ მდგომარეობაზეც აისახება. თქვენი თავდაჯერებულობა დაგეხმარებათ, სწორი გადაწყვეტილებები მიიღოთ მნიშვნელოვან საკითხებზე. ნუ შეეცდებით პრობლემის უმალ გადაჭრას, ცხოვრება თავად გიკარნახებთ საჭირო დროს. დღის მეორე ნახევარი, უმჯობესია, მყუდრო გარემოში, მეგობრების წრეში გაატაროთ.

**მერწყული** — შანსი გეძლევათ, გაიუმჯობესოთ ფინანსური მდგომარეობა. დღე სასიკეთოდ ვითარდება და შეგიძლიათ, თავი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში წარმოაჩინოთ. ენერგეტიკული, შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალი მატულობს — ეს, განსაკუთრებით, მანდილოსნებს ეხება. კაცებს კი ვარსკვლავები დაწყებულ საქმეებთან მიბრუნებას ურჩევენ. აუცილებელია, უფრო სერიოზულად მიუდგეთ თქვენს მოვალეობებს. ეს გაგიუმჯობესებთ ფინანსურ მდგომარეობას — შესაძლოა, გარკვეული თანხა მიიღოთ, რომელიც სჯობს, სარფიან პროექტებში დააბანდოთ.

**თევზები** — თქვენი ბიუჯეტი ნელა, მაგრამ მაინც უმჯობესდება. ვარსკვლავები სწორედ დღეს გირჩევენ კონტაქტების დამყარებას საქმიან პარტნიორებთან, თუმცა საბოლოო შედეგი დამოკიდებული იქნება მხოლოდ თქვენს შრომისუნარიანობაზე. დრის მეორე ნახევარში მოსალოდნელია კამათი ახლობელ ადამიანებთან.

# ლუდის სპა-ოტელი გიწვევთ



ესპანეთის ერთ-ერთ რეგიონში, ვალენსიაში პირველი ლუდის სპა-ოტელი გაიხსნა. ეს უჩვეულო სასტუმრო ბუნებაში მდებარეობს და ერთდროულად 290 სტუმრის მიღება შეუძლია. კომპლექსი შედგება საცხოვრებელი კორპუსისგან, რესტორნისა და ბალნეოლოგიური კლინიკისგან, სადაც ლუდის სპა-პროცედურებს იყენებენ. მას „სიამოვნების ადგილს“ უწოდებენ. აქ ჩატარდება სადღესასწაულო, სპორტული და გასართობი ღონისძიებები. ახალი ოტელი კლიენტებს სპა-პროცედურებს სთავაზობს თერმული წყაროებისა და ლუდის გამოყენებით, ამასთან, ეს ქარვისფერი სასმელი გამოიყენება, როგორც დანამატი აბაზანის მიღებისას და კოსმეტიკური პროცედურებისას.



# ფიზიკური ვარჯიში ინტელექტს ამაღლებს



კანადელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ აქტიური ფიზიკური ვარჯიში ინტელექტს ამაღლებს. სპეციალისტები ექსპერიმენტისას ასობით მოხალისეს აკვირდებოდნენ და აღმოაჩინეს, რომ ადამიანები, რომლებიც ვარჯიშობენ, შედარებით სწრაფად იღებენ გადაწყვეტილებებს. მიზეზი კი ისაა, რომ ვარჯიშის დროს ტვინის სისხლით მომარაგება იზრდება. ექსპერიმენტში მონაწილეთა საშუალო ასაკი 49 წელი იყო. ყველა მათგანს ჭარბი წონა და პასიური ცხოვრების სტილი ჰქონდა. ექსპერიმენტის დაწყებამდე მათ ნეიროფსიქოლოგიური ტესტი გაიარეს. მონაწილეები კვირაში ორჯერ ველოტრენაჟორზე ვარჯიშობდნენ. ორი კვირის შემდეგ კი მათ ორგანიზმში ცხიმის მარაგი საგრძნობლად შემცირდა და ტვინმა მუშაობა უკეთ დაიწყო. გარდა ამისა, გამოკვლევის ავტორების თქმით, ეს პროცესი არ ჩერდება ანუ ფიზიკური დატვირთვა და სწრაფად ფიქრის შესაძლებლობა ურთიერთკავშირშია. ასე რომ, რაც მეტს ვარჯიშობს ადამიანი, მით უფრო იზრდება მისი ინტელექტი. სწავლულები აღნიშნავენ, რომ ინტელექტუალური ფუნქციების დაქვეითება, დიდწილად, სიბერის ბრალია, თუმცა ფიზიკური ვარჯიშებით ამ პროცესის შენელება შესაძლებელია.

# რესტორანში მობილური ტელეფონი აიკრძალეს



ქალაქ შტუტგარტში, რესტორან Brauns-ის მეპატრონემ კლიენტებს დაწესებულებაში მობილური ტელეფონით სარგებლობა აუკრძალა. თუ ვინმემ ეს მოთხოვნა რესტორანში შესვლისას კარზე ვერ შენიშნა, მას მენიუში აღმოაჩენს. გვინდა, ჩვენი კლიენტები მშვიდი საღამოთი დატკბნენ და მომაბეზრებელ ზარებსა და ჭორაობას თავი აარიდონ, — აცხადებს რესტორნის დირექტორი. მისი განცხადებით, გამონაკლისს არავისზე უშვებენ. Brauns-ის ამ ინიციატივამ ქალაქის სარესტორნო სფერო ორად გაყო. ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ მობილური ტელეფონის გამოყენება საზოგადოებრივი კვების დაწესებულებაში პრობლემას არ ქმნის, ადამიანებს კი სჭირდებათ, ყოველთვის ხელმისაწვდომნი იყვნენ. მეორე ბანაკი კი მხარს უჭერს ამ წამოწყებას და აცხადებს, თუ კლიენტების მხრიდან იყო მოთხოვნა მობილურის აკრძალვაზე, დაწესებულების მფლობელი ვალდებულია, მოაგვაროს ეს პრობლემა.

# ტელევიზორი კაცის ჯანმრთელობას ვნებს



მამაკაცებს, რომლებიც ტელევიზორის წინ კვირაში 20 საათზე მეტს ატარებენ, სპერმის უხარისხობა ემუქრებათ. მედიკოსები აღნიშნავენ, რომ ცხოვრების მჯდომარე წესი მძიმე დარტყმას აყენებს კაცის რეპროდუქტიულ ჯანმრთელობას, რეგულარული ვარჯიში კი უფრო ზრდის სპერმატოზოიდების ხარისხ. ეს დასკვნები სწავლულებმა გამოკვლევების შედეგად დადეს, რომლის დროსაც 18-დან 22 წლამდე ასაკის 200-მდე ჯანმრთელი მამაკაცი გამოიკვლიეს. აღმოჩნდა, რომ გარდა ტელევიზორთან ჯდომისა, სპერმის ხარისხზე მოქმედებს, ასევე, სტრესი, არაჯანსაღი კვება, სიგარეტი. უფრო მეტიც, რეგულარული ფიზიკური აქტიურობა ბათილდებოდა, თუკი ადამიანი დიდ დროს ატარებდა ტელევიზორთან.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 3 | 9 | | 8 | | 2 |
| 3 | | 1 | | 7 | | | 5 | 4 |
| | | | | | | | | |
| | | 9 | | | 8 | 6 | | |
| | 6 | | | | | | 1 | |
| | | 8 | 6 | | | 2 | | |
| | | | | | | | | |
| 8 | 4 | | | 6 | | 5 | | 3 |
| 7 | | 5 | | 2 | 4 | | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | 9 | 2 | 6 | | 8 | | |
| | 7 | | | | 3 | | 1 | |
| | | | 7 | | | | | |
| | | 7 | 5 | | 1 | | | 8 |
| 9 | | | | | | | | 2 |
| 5 | | | 3 | | 8 | 9 | | |
| | | | | | 6 | | | |
| | 1 | | 9 | | | | 2 | |
| | | 6 | | 7 | 2 | 4 | 8 | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | | 4 | | | | 1 | |
| | | 4 | | | | 7 | | |
| | 2 | | | | | 8 | | 4 |
| | | 5 | 7 | | | 3 | | |
| | 3 | | 9 | | 4 | | 7 | |
| | | 7 | | | 5 | 4 | | |
| 6 | | 9 | | | | | 2 | |
| | | 3 | | | | 1 | | |
| | 4 | | | | 7 | | | 6 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | 8 | 2 | | 9 | 6 | | |
| | | | | | | | | |
| | 5 | | 7 | 6 | | | | 8 |
| | 7 | 5 | 6 | | | 4 | | |
| | | | | 3 | | | | |
| | | 3 | | | 7 | 8 | 1 | |
| 6 | | | | 4 | 2 | | 8 | |
| | | | | | | | | |
| | | 9 | 5 | | 1 | 7 | | 3 |




## „კოკა-კოლამ" კბილები დააკარგვინა

ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ავსტრალიის სამხრეთში ცხოვრობს, სამი წლის განმავლობაში, დღეში 6-8 ლიტრ „კოკა-კოლასა" და სხვა მსგავს სასმელს სვამდა. 25 წლის ასაკში მან ყველა კბილი დაკარგა და ახლა იძულებულია, პროთეზით იაროს. უილიამ კენეველი აცხადებს, რომ ცოცხალი მტკიცებულებაა იმისა, რა ზიანის მოტანა შეუძლია ადამიანის ჯანმრთელობისთვის ტკბილი გაზიანი სასმელის მოხმარებას. ამ სახის სასმლის მიღება დამოკიდებულებად მექცა, ღრძილები დამიჩირქდა, ამის გამო სისხლი მომეწამლა და ძალიან ცუდად ვიყავი, — აცხადებს უილიამი. ავსტრალიელი ექსპერტები დიდი ხანია განგაშს ტეხენ და ცდილობენ, ბავშვებს მაინც აარიდონ ჭარბი რაოდენობით ტკბილი გაზიანი სასმელის მოხმარება. მედიკოსები ინიციატივით გამოდიან, ბოთლების ეტიკეტებზე ინფორმაცია განათავსონ სასმელის მავნებლობის შესახებ. თანაც გასათვალისწინებელია ისიც, რომ „მწვანე კუნძულზე" მცხოვრები ბავშვების 52% დღეში ერთ ლიტრ ტკბილ გაზიან სასმელს, „კოკა-კოლას" ან სხვა პროდუქტს მიირთმევს.



## გარდაცვლილ ჩინელებს ფულს „უგზავნიან"

თუ იმქვეყნიურ ცხოვრებაში მატერიალური სიმდიდრე არსებობს, ყველაზე უზრუნველყოფილები ჩინელები და ვიეტნამელები იქნებიან. ამ ქვეყნებში ტრადიციაა, გარდაცვლილებზე მათი დაკრძალვის შემდეგაც იზრუნონ და იმქვეყნად გარკვეულ თანხას ატანენ, რომელსაც ცეცხლში ყრიან. საბედნიეროდ, ამ ტრადიციით, ქვეყნების ეკონომიკა არ ზიანდება, რადგან მიცვალებულებისთვის განკუთვნილი ფული უბრალოდ კაშკაშა, ლამაზი ქაღალდია, რომელსაც „აჩრდილთა ბანკნოტს" უწოდებენ. ჩინელები და ვიეტნამელები მიიჩნევენ, რომ გარდაცვლილთა ფულით უზრუნველყოფა მათ ახალ ადგილზე არაფერს გაუჭირვებს. ჩვეულებრივ, ასეთ ფულს ბრინჯის ან ბამბუკის ქაღალდისგან ამზადებენ. ფონი აუცილებლად თეთრი უნდა იყოს, რაც გლოვის სიმბოლოა. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს მკვდრებს არა მხოლოდ ეროვნულ ვალუტას, არამედ დოლარსა და ევროსაც კი უგზავნიან. ნომინალები კი როგორიც სურთ, ისეთი შეიძლება იყოს: ერთი მილიონიდან 5 მილიარდამდე.

## კალამი გრამატიკულ შეცდომებს გაგისწორებთ




გამჭრიახი გერმანელების ჯგუფმა საწერი კალმის Lernstift პროტოტიპი შექმნა, რომელიც ჩამონტაჟებული ელექტრონული მოწყობილობების მეშვეობით, ნაწერის გამართულობასა და ხელწერის სილამაზეს აკონტროლებს. როგორც კი მომხმარებელი „თავს აიშვებს" და ისე იწყებს წერას, როგორც სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენელი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მოწყობილობა აქტიურად მიანიშნებს მას და ვიბრირებს ყოველ არასწორ მოძრაობაზე. ახალი გამოგონება იდეალურია ბავშვებისთვის, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ წერასა და კალიგრაფიულ ხელოვნებაში. სწავლულები ახლა ცდილობენ, კალმის შემდგომი დახვეწისთვის საჭირო თანხა მოაგროვონ.

## სპორტულ ფეხსაცმელზე გადასახადს შემოიღებენ



აშშ-ს ილინოისის შტატის ხელისუფლებას სურს, დამატებითი გადასახადი შემოიღოს კედებზე, ბოტასებსა და სხვა სპორტულ ფეხსაცმელზე. მიუხედავად იმისა, რომ თანხა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელოა (25 ცენტი ყოველ წყვილზე), ის შტატის ბიუჯეტს წელიწადში 3 მილიონ დოლარს მოუტანს. ამ თანხას პარლამენტარები ახალგაზრდობის პროფესიული მომზადების სახელმწიფო პროგრამისთვის გამოიყენებენ. გარდა სხვა საქმიანობისა, ახალგაზრდა ადამიანებს, ამ პროექტის ფარგლებში, მშენებლობის ძირითად უნარ-ჩვევებს შეასწავლიან. ვინც სერტიფიკატის მიღებას შეძლებს, მათ სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სახლების მშენებლობაზე დაასაქმებენ. როგორც იდეის ავტორები აცხადებენ, მათი ყურადღება სპორტულმა ფეხსაცმელმა იმის გამო მიიქცია, რომ ძირითადი მყიდველი სწორედ ახალგაზრდობაა. მიიღებს თუ არა შტატის ხელისუფლება ამ კანონს, ჯერჯერობით, უცნობია. ისე კი, ეს პირველი უცნაური კანონშემოქმედება არ არის ილინოისელებისთვის. შტატში უკვე არსებობს გადასახადები საავტომობილო საბურავებსა და უფქვილო ტკბილეულზე.

## ყველი ნარკოტიკივით იზიდავს



ამერიკელმა მეცნიერება გამოთქვეს ვარაუდი, რომ ზოგიერთი საკვები პროდუქტის მიმართ ადამიანს შეიძლება მიდრეკილება ჩამოუყალიბდეს, რაც ნარკოტიკულ დამოკიდებულებას უთანაბრდება. მკვლევარებმა ასეთი პროდუქტების რამდენიმე ჯგუფი გამოავლინეს, მათ შორის შოკოლადი და გაზიანი ტკბილი სასმელი, თუმცა სწავლულებისთვის, ამ მხრივ, მთავარ აღმოჩენად ყველი იქცა. გაირკვა, რომ ეს პროდუქტი დიდი რაოდენობით შეიცავს კაზეინს — ცილას, რომლის დაშლის შედეგადაც გამომუშავდება ოპიუმური ნივთიერება. თავისი შემადგენლობით ეს ნივთიერება ძალიან მოგვაგონებს მორფიუმს. ასაკის მატებასთან ერთად, ადამიანი, რომელიც დიდი რაოდენობით ყველს ჭამს, ამ მისწრაფების ტყვე ხდება. ამასთან დაკავშირებით, ამერიკელმა ექიმებმა შეიმუშავეს სამკვირიანი დიეტა და ცხოვრების წესის პროგრამა, რომელიც ადამიანებს დაეხმარება, თავი დააღწიონ „საკვებ" ნარკოტიკებს.



# ჰოროსკოპი

## 12 თებერვალი

**ვერძი** — აქტიური და ენერგიული დღე გელით. საშუალება მოგეცემათ, კარიერაში მწვერვალები დაიპყროთ, მხოლოდ საქმიანი სფერო მკვეთრად გამიჯნეთ სხვა საქმეებისგან და ჩარევის უფლებას ნურავის მისცემთ. დღეს გაგიმართლებთ ასევე საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში, ამიტომ თამამად დათანხმდით რომანტიკული შეხვედრის შემოთავაზებას. ენდეთ საკუთარ ინტუიციასაც.

**კურო** — შესაფერისი დღეა საკუთარ თავზე სამუშაოდ, მით უმეტეს, თუ მუსიკით, ხელოვნებით დაკავდებით, მოდის სიახლეებითა და ხალხური ტრადიციებით დაინტერესდებით. საკუთარი ძალები ჯეროვნად შეაფასეთ და უკიდურესობებს მაქსიმალურად აარიდეთ თავი. გსურთ, სამსახურში მოულოდნელად წარმოქმნილი პრობლემები მალევე მოაგვაროთ, მაგრამ ვარსკვლავები გირჩევენ, თავი შეიკავოთ, რადგან ამისთვის არასახარბიელო დღეა. დღის მეორე ნახევარი, სჯობს, პატარებს დაუთმოთ და დრო ოჯახში გაატაროთ.

**ტყუპები** — დღის განმავლობაში რთული საშინაო საქმის შესრულება მოგიწევთ, რაც გამოცდილებასა და ცოდნას მოითხოვს. არ არის გამორიცხული დამატებითი ფინანსური ხარჯი, სამაგიეროდ, ოჯახის წევრები კმაყოფილები დარჩებიან. სამსახურშიც იზრდება თქვენი ავტორიტეტი. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში. პირად ცხოვრებაში კი რადიკალური ნაბიჯებისგან თავი შეიკავეთ.

**კირჩხიბი** — კარგი დღეა, რაიმე ახალი და პერსპექტიული, საინტერესო საქმის წამოსაწყებად. შეგიძლიათ, ენდოთ თქვენს დამხმარეებსა და პარტნიორებს: ისინი საკუთარ თავზე აიღებენ ყველაზე მოსაწყენ და რთულ საკითხებს, თქვენგან კი მხოლოდ შემოქმედებითი აზროვნება და იდეებია საჭირო. დღეს დიდია ოჯახური კონფლიქტების ალბათობა. შეეცადეთ, თავი აარიდოთ ახლობლებთან კამათს.

**ლომი** — განსაკუთრებით გამახვილებული გაქვთ ინტუიცია, წინათგრძნობა, რაც სწორად უნდა გამოიყენოთ თქვენს სასიკეთოდ. წარმატებული იქნება გამოძიებები, საიდუმლო საქმეების ამოხსნა, შესაძლოა, ვინმეს საიდუმლო შეიტყოთ და ამით საკმაო თანხაც იშოვოთ. ბოლო პერიოდში ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები დადებით მუხტს მოგიტანთ პირად ურთიერთობებში. გაითვალისწინეთ, რომ დღეს თქვენი დახმარება ყველაზე მეტად, ოჯახის წევრებს სჭირდებათ.

**ქალწული** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის საკმაოდ წარმატებული დღეა. სწორად ახერხებთ არსებული რესურსების — ფინანსების, დროის, საკუთარი ენერგიის განაწილებას და ამიტომ, ყველაფერი გამოგდით, რასაც ხელს მოკიდებთ. დღეს კარგია ტაქტიკური და სტრატეგიული საკითხების მოგვარება, მსხვილი კაპიტალდაბანდებისა და უძრავი ქონების შეძენისგან კი თავი შეიკავეთ. ენდეთ ოჯახის წევრების ან უახლოესი მეგობრების რჩევებს, ამით მოსალოდნელ საფრთხეს აიცილებთ თავიდან.

**სასწორი** — სასწორებს ვარსკვლავები ურჩევენ, სიფრთხილე გამოიჩინონ ახალ ნაცნობებთან: დღეს ძალიან გაგიჭირდებათ, სწორი წარმოდგენა შეიქმნათ ადამიანებზე, რომელთაც პირველად ხედავთ. გელით ფინანსური დანაკარგი, გაუთვალისწინებელი ხარჯი... საყიდლებისგან სჯობს, თავი შეიკავოთ, რადგან სწორი არჩევანის გაკეთება გაგიჭირდებათ.

**ღრიანკალი** — ვარსკვლავები მიიჩნევენ, რომ თქვენთვის კარგი დღეა, იმიჯთან დაკავშირებით ექსპერიმენტები ჩაატაროთ, გარდერობის განახლებასა და ბინის ახლებურად მოწყობაზე იზრუნოთ. თქვენთვის მნიშვნელოვანია კომფორტი და სიმყუდროვე, მის გარეშე ძალებს ვერ აღიდგენთ. სასიცოცხლო პოტენციალი შესამჩნევად იკლებს. ეს კი თქვენში გაუცნობიერებელ აგრესიასა და გაღიზიანებას იწვევს. იზრდება კონფლიქტური სიტუაციების რისკიც. შეეცადეთ, მეტი თანაგრძნობით მოეკიდოთ უფროსი თაობის ახლობლებს, მათ თქვენი სითბო და ყურადღება სჭირდებათ. თუ ტოლერანტული იქნებით გარშემომყოფებისადმი, უარყოფითი ენერგიაც გაქრება.

**მშვილდოსანი** — წარმატებული დღე გელით პირად ურთიერთობებში. ძნელი არ იქნება გაწონასწორებული დამოკიდებულების შენარჩუნება ახლობლებთან — ურთიერთგაგება თავისთავად წარმოიშობა, საამისოდ არანაირი ძალისხმევა არ დაგჭირდებათ. საქმე თქვენგან სპონტანური გადაწყვეტილებების მიღებასა და მაქსიმალურ რისკს მოითხოვს, თუმცა ყველაფერი გამოგივათ. საყვარელ ადამიანს ნუ დაღლით ლოდინითა და ეჭვებით, დროა, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოთ. საღამოს კი სასიამოვნოდ გაატარებთ.

**თხის რქა** — შეგიძლიათ, ყურადღება არ მიაქციონ მოღუშულ და მკაცრ სახეებს. არაა გამორიცხული, სწორედ დღეს შეხვდეთ თქვენთვის მნიშვნელოვან ადამიანს და მასთან ურთიერთობა გააგრძელოთ. სამსახურში არსებულ ყველა პრობლემასა და გაუგებრობას დღეს საბოლოოდ, წერტილი დაესმება. პირად ურთიერთობებში შერიგებისა და სიმშვიდის პერიოდი დგება. ოპტიმიზმი კი საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას უფრო გაგიმყარებთ.

**მერწყული** — კარგი დღეა მგზავრობისთვის. ნებისმიერი საქმე წარმატებით დასრულდება, თუკი ის სატრანსპორტო საშუალების მეშვეობით განხორციელდება. თქვენი პროფესიონალიზმი და მომხიბვლელობა საკუთარ წვლილს შეიტანს საქმის წარმატებაში. კარგი დღეა ბიზნეს-პარტნიორების მოსაძებნად და გადადებული საქმეების დასასრულებლად. გქონდეთ შესაძლებლობა, საყვარელ ადამიანთან დაათბოთ ან უფრო გაამყაროთ ურთიერთობა.

**თევზები** — დღეს, შესაძლოა, გააქტიურდნენ კონკურენტები და ოპონენტები, რომლებიც მოისურვებენ, ხელი შეგიშალონ ახალი იდეების განხორციელებაში, თუმცა თქვენი ჯანსაღი აზროვნება, მონდომება და მოლაპარაკებების გამართვის უნარი, ნებისმიერი რთული სიტუაციიდან გამოგიყვანთ. არ არის სასურველი ახალი ნაცნობობა. სჯობს, თქვენთვის უსიამოვნო ადამიანებთან ემოციები მოთოკოთ.

## ამინდის პროგნოზი

| | ორშაბათი | სამშაბათი |
|---|---|---|
| თბილისი | +13 | +14 |
| ქუთაისი | +20 | +13 |
| ბათუმი | +16 | +12 |
| სოხუმი | +19 | +19 |
| თელავი | +12 | +14 |
| ზუგდიდი | +2 | 0 |
| ბაკურიანი | +4 | -1 |
| მესტია | +9 | +5 |

## შობლიურ დედალფიწინდა ღვთისმშობლის „ყოვლთა დედოფლის – პანტანასას" სახელობის დედათა მონასტერი „ყოვლთა დედოფლის სავანე"

„ყოველთა დედოფალი პანტანასას" ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი" ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი" კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**




**ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.**

**რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.**

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**


**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი" გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



იკითხეთ თქვენი www.versia.ge

# ვერსია

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი — ნათია მჭედლიშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699



მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com